# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 7 მარტი 2005 №49 (2372) ფასი 50 თეთრი

## ექსჩემპიონთა ქიშპის შევარდნაძისეული ვარიანტი

### დინამომ ტორპედო გაანეიტრალა




ბაჩო კორინთელის ფოტო

## მიხო და მახო თასებს აგროვებენ

რუსეთის პრემიერლიგა ჯერ არ დაწყებულა, მოსკოვის „ლოკომოტივს“ კი უკვე ორი ტიტული აქვს მოხვეჭილი. იანვარში მოპოვებულ თანამეგობრობის ჩემპიონობას, მიხეილ აშვეთიასა და მალხაზ ასათიანის გუნდმა გუშინ რუსეთის სუპერთასიც მიაყოლა. ჩვენიანთა გუნდმა ლოსკოვის გვიანი გოლით 1:0 მოუგო გროზნოს „ტერეკს“.



## კოლინა? არის კოლინა!

ჩელსი — ბარსელონას იტალიელი იმსაჯებს

11

## დიდი ფორმულის ტექსიახლეები

F1 სეზონი დაიწყო

15

## ჰერმინატორმა ტომბას ბომბა განაღმა

ჰერმან მაიერს იქნებ ხელი ჰქონდეს ჩაქნეული მსოფლიოს თასის მოგებაზე, მაგრამ ცალკეულ ეტაპებზე კიდევ შეუძლია სხვათა ჩამოტოვება. 32 წლის ავსტრიელმა სამთომოთხილამურემ ნორვეგიის კურორტ კვიტფიელში შაბათს მოგებულ სწრაფდაშვებას გუშინ სუპერგიგანტიც მიაყოლა და ტიტულებით სავსე კარიერაში 50 გამარჯვება მოუგროვდა, რითაც გაუტოლდა ცხოვრებაში ასევე 50 ეტაპის მომხვეჭ იტალიელ ალბერტო ტომბას.

„იმედი მაქვს, კიდევ მოვიგებ ეტაპებს და ტომბას გადავუსწრებ. ალბერტო ჩემზე უფროსიც პირველობდა.“

რაც შეეხება მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლას, აქ „ჰერმინატორი“ მესამე ადგილზეა ამერიკელი ბოდე მილერისა და თანამემამულე ბენიამინ რაიხის შემდეგ.



# ალანიას წლიური არითმეტიკა
## კანკავამ ოსური აიტანა

*ვლადიკავკაზის „ალანია“ დღეს ახალ სეზონს იწყებს, რუსეთის თასის მერვედფინალში „ხიმკის“ მასპინძლობს. „ალანიას“ ქართველების ყურადღება აქამდეც არ აკლდა და, ამ კლუბის მიმართ ჩვენი ინტერესი ახლა უფრო განსაკუთრებული იქნება. ერთი თვის წინ ხომ ოსებმა თბილისის „დინამოდან“ ლადო ბურდული, დავით კვირკველია და ჯაბა კანკავა გადაიბირეს, ვიტალი დარასელია კი ვლადიკავკაზში შარშანაც თამაშობდა.*

*ქართველთაგან „ალანიასთან“ კონტრაქტი ბოლოს ჯაბა კანკავამ გააფორმა. აქაოდა, ასეთი ახალგაზრდა და ნიჭიერი ფეხბურთელი ჩვენთან ჩამოვიდაო, ოსებმა ჯაბასთან წინასწარ შეთანხმებული პირობა გატეხეს და ტრანსფერიც კინაღამ ჩაიშალა.*

*ჯაბა ახლა ვლადიკავკაზშია და „ხიმკისთან“ სათამაშოდ ემზადება, თუმც...*



— ვერ ვიტყვი, „ალანიაში“ ჩემი დებიუტი ორშაბათსვე შედგება. არ ვიცი, ვითამაშებ თუ არა, მწვრთნელს არაფერი უთქვამს. ისე კი, „ხიმკისთან“ ერთი ქართველი მაინც ნაღდად იქნება, ლადო ბურდული ისეთ ფორმაშია და მწვრთნელები ისე ემადლიერებიან, ნაღდად ათამაშებენ. დავით კვირკველიას მსუბუქი ტრავმა აქვს და მას ალბათ დაასვენებენ, ვიტალი დარასელია კი ახალგამოჯანმრთელებულია და სასურველ ფორმაში ჯერ ვერ არის — გვითხრა ჯაბა კანკავამ.

**— თვლი, რომ „ალანიას“ ძირითადში ადგილი გარანტირებული არ გაქვს?**

— ძალიან კი მსურს მუდმივად ძირითადში ვითამაშო, მაგრამ მწვრთნელი რას ფიქრობს, არ ვიცი. „ალანიაში“ საკმაოდ დიდი კონკურენციაა. საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე ოთხი ფეხბურთელი ვართ და ჩვენგან მწვრთნელი ვის უფრო ენდობა, ჩემპიონატის დაწყების შემდეგ გამოჩნდება. ენერგიას არ ვზოგავ და დანარჩენი უკვე მწვრთნელმა იცის.

**— „ალანია“ შენთვის პირველი უცხოური გუნდია. გაგიჭირდა შეგუება?**

— არანაირი პრობლემა არ მქონია. ქართველებიც მრავლად ვართ და ისედაც, „ალანია“ ძალიან მეგობრული გუნდი ყოფილა.

**— „დინამოს“ და „ალანიას“ შორის რა სხვაობაა?**

— დიდი და განსაკუთრებული არაფერი. აქ უკეთესი პირობებია და „ალანია“ უკეთეს ჩემპიონატში თამაშობს. ვარჯიშები კი თითქმის იგივეა, რაც „დინამოში“.

**— რუსეთის ჩემპიონატში მონაწილე გუნდს, ფიზიკური დატვირთვები, ალბათ, „დინამოზე“ მეტი აქვს.**

— „ალანია“ ფიზიკურად მართლაც „დინამოზე“ კარგადაა მომზადებული, მაგრამ ვერ ვიტყვი, ვარჯიშებზე გამიჭირდაო. დატვირთვის პრობლემა არ მქონია.

**— ქართველები ბაზაზე ერთად ცხოვრობთ?**

— ჯერჯერობით ყველა ერთად ვართ, მაგრამ მალე კვირ...ლიას და ბურდულს, ალბათ, ბინებს მისცემენ, მე კი ისევ ბაზაზე ვიცხოვრებ.

**— რატომ?**

— ასე მირჩევნია. თავისუფალ დროს ვვარჯიშობ ხოლმე და ამიტომ ბაზაზე ყოფნა ჩემთვის უკეთესი იქნება.

**— კონტრაქტზეც გვითხარი. როგორც გავიგეთ, „ალანიადან“ წამოსვლას აპირებდი და მერე კლუბმა პირობები შეცვალა.**

— „ალანიას“ ესპანურ შეკრებაზე შევუერთდი და პირობებზე პირველსავე ვარჯიშის შემდეგ მოვილაპარაკეთ. კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი უნდა გამეფორმებინა. თუმც როცა საქმე საქმეზე მიდგა, სოჭში „ალანიამ“ უკვე 4+1 წლიანი ხელშეკრულება შემომთავაზა. უარი ვუთხარი და თბილისისკენ წამოსასვლელად გავემზადე, როცა გუნდის ხელმძღვანელები ჩემ პირობას დასთანხმდნენ და საბოლოოდ 3+1 წლიანი კონტრაქტი გავაფორმეთ.

**— გამოდის, „ალანია“ გატყუებდა.**

— არ ვიცი, რა გამოდის, თუმცა ფაქტია, რომ თავდაპირველი შეთანხმებით „ალანიაში“ სამი წლით უნდა დავრჩენილიყავი, მერე კი მათ ჩემი ოთხი წლით დატოვება გადაწყვიტეს.

**— მწვრთნელ ბახვა თედეევთან არ გისაუბრია?**

— თედეევი ესპანეთში ერთხელ ვნახე. მეორე დღეს კი ის გუნდთან ერთად აღარ იყო და დღემდე არც გამოჩენილა. ახლა ედგარ გესი გვავარჯიშებს და „ხიმკისთან“ სათამაშოდაც ის გვამზადებს.

**— ესე იგი, თედეევი გუნდიდან წავიდა?**

— როგორც უფროსები ამბობენ, თედეევმა გუნდი ესპანეთში რაღაც პრობლემების გამო დატოვა. იმასაც ამბობენ, მწვრთნელი მალე დაგვიბრუნდებაო, თუმც უკვე ორი კვირაა, არ ჩანს.

**ქობა ინასარიძე**

---

**საქართველოს XVI ჩემპიონატი**

**უმაღლესი ლიგა. მეორე ეტაპი. 22 ტური**

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

მცხეთა. 5 მარტი. 14 საათი. არმაზი. 300 (ტევადობა 3 000)

### ვიტ ჯორჯია 1:1 ბათუმი

1:0 მარცვალაძე (2), 1:1 ხარაზი (81)

**ვიტ ჯორჯია:** ჭურაძე, ინწკირველი, თ. კობიაშვილი, გველესიანი (სახოკია 84), გ. კვახაძე (დ. ლომაია 46), დილმელაშვილი, რაზმაძე, ვ. გოჩაშვილი, ფეიქრიშვილი, ებანოიძე (ჩილვინაძე 71), მარცვალაძე
სათადარიგონი: ბედიაშვილი; იმედაშვილი, ლ. კვარაცხელია, ცხომარია
**მწვრთნელი:** ჯანი კარნევალი

**ბათუმი:** თოთლაძე, გალოგრე, გუშარაშვილი, გოგიშვილი (ხარაზი 80), ხუჯაძე, ლ. ხმალაძე, ლლონტი, ბესო თედორაძე, პ. ჩოხელი (ცანავა 55), დარჩიძე, გონჩაროვი (ხომერიკი 70)
სათადარიგონი: სოლოლაშვილი; რამიშვილი, ჯანელიძე, დუმბაძე
**მწვრთნელი:** ამირან გოგიტიძე

**გაფრთხილება:** დარჩიძე (16), ლლონტი (89); **გაძევება:** გონჩაროვი (90)

**მსაჯები:** მ. მალალურაძე (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ა. ორდინიძე (ონი)

**ინსპექტორი:** ბ. ქარქაშაძე

# გაბრაზდი, უფრო გაბრაზდი!

**დავით თავართქილაძე** მცხეთიდან

1:0-ზე თავი ქუდში მაქვს — ასე იფიქრა „ვიტ ჯორჯიამ“ და ფრის გარდა ვერც ვერაფერს გამორჩა, ხოლო „ბათუმის“ თავკაც ამირან გოგიტიძეს ისეთი ჯადოსნური სიტყვები სცოდნია, თამაშს რომ ატრიალებს.

„ვიტ ჯორჯიას“ პირველივე შეტევა გოლით დასრულდა — „ბათუმის“ ცენტრალურ მცველთა შეცდომით კარგად ისარგებლა ირაკლი ებანოიძემ და ოთარ მარცვალაძე პირისპირ შეატოვა ირაკლი თოთლაძეს — 1:0, ვიტელები დაწინაურდნენ.

ზღვისპირელები საკადრისი პასუხის გამცემნი არ ჩანდნენ, წინ დიდი ძალებით არც მიდიოდნენ და, ემანდ, ბორის განჩაროვი თუ მოიგდებს ბურთს, იქნებ ხეირს გამოვრჩეთო — ასე იყო ბათუმელთა საქმე.

ჰოდა, „ვიტ ჯორჯია“ შედარებით უფრო მეტს და მწვავედ უტევდა, თორემ დიდი ხვითო არც ის ყოფილა. უპირატესობის გაზრდის საუკეთესო შანსი იმავ მარცვალაძეს ჰქონდა იმავ ებანოიძის პასით, მაგრამ თავურით ააცილა მიზანს.

მეორე ტაიმის პირველ ნახევარში ბევრიც არაფერი შეცვლილა, თუმც „ვიტ ჯორჯიას“ ეტყობოდა, რომ ფრთხილობდა, „ბათუმში“ კი არა და არ ჩანდა შეუპოვრობის ის მუხტი, გოლის გასატანად რომაა საჭირო — სტუმართა ჟინი და ენერგია მოედნის ცენტრში ბრძოლას მიჰქონდა, ხოლო შეტევაში „ბათუმს“ არაფერი გამოსდიოდა.

ამასობაში ვიტელებმა გაფლანგეს მორიგი საგოლე შანსი — თოთლაძე მარცვალაძესთან ბრძოლაში შეცდა, ებანოიძემ მეკარისგან მიტოვებულ კარში ვერ დაარტყა, ოროmtრიალში ბურთი ვლადიმერ გოჩაშვილს მიუვიდა, ვისი ცაციაც ძალიან უხეირო გამოდგა.

და, რა უნდა ექნა „ბათუმს“, რომელიც უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის იბრძვის? ამირან გოგიტიძემ გონჩაროვი გამოცდილი ლევან ხომერიკით შეცვალა — გონჩაროვს მეორე ტაიმში უფრო მჭიდროდ და ხისტად ეთამაშებოდნენ ვიტელი მცველები და თამაშიდანაც გამოთიშეს. მაგრამ მხოლოდ ეს როდი იყო გოგიტიძის კასკადი — „გაბრაზდი, უფრო გაბრაზდი!“ აი, ასე მოუწოდებდა ის თავის შეგირდებს.

თუმც გოგიტიძის ასეთმა გარჯამ ჯიქურ არ გამოისხა ნაყოფი. ისევ „ვიტ ჯორჯიას“ უნდა გაეტანა — თოთლაძეს კვლავ აჯობეს დასწრებაზე, მაგრამ ებანოიძის მიერ ჭვინტწაკრული ბურთი ცარიელ კარს ასცდა.

„გაბრაზდი, გაბრაზდი!“ არ იშლიდა თავისას გოგიტიძე და როცა მოედანზე ავთო ხარაზი შეუშვა, მოსახდენიც მოხდა — ხომერიკმა ძველი კლასი გაიხსენა, ჩინებული პასი გაუხერხა ხარაზს, ვინაც ახლოდან გადაგზავნა ბურთი სერგო ჭურაძის კარში — 1:1.

ამის მერე კი მართლაც გამოცოცხლდა „ვიტ ჯორჯია“, გოლთანაც ახლოს იყო, მაგრამ თოთლაძემ მკვდარზე კიდევ უფრო მკვდარი ბურთი აუღო მარცვალაძეს.

არბიტრმა მერაბ მალალურაძემ ხუთი წუთი დაამატა მატჩს, რამაც ბათუმელთა სათადარიგოთა სკამზე უკმაყოფილება გამოიწვია. მალალურაძეც სკამისკენ გაქანდა და შეცვლილ გონჩაროვს წითელი ბარათი აუფრიალა.

ასეთი ამბები იყო ოდინდელ დედაქალაქში.

---

# თქვენი ინტერვიუ
## ზურაბ ხიზანიშვილთან
### «რეინჯერსი» გლაზგო, შოტლანდია



*რუბრიკის მესამე რესპონდენტი ლევან კობიაშვილისა და შოთა არველაძის შემდეგ ზურაბ ხიზანიშვილი გახლავთ, ეროვნული ნაკრების მესამე თაობის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული წარმომადგენელი, ვისაც ალენ ჟირესმა 9 თებერვალს ლიტვასთან ამხანაგურ მატჩში კაპიტნის სამკლავურიც კი ანდო.*

*ახალგაზრდა უცოლო კაცის გლაზგოური ცხოვრების დეტალები შესაკითხად ალბათ იქით იქნება, ხოლო აქეთ უფრო ვინძლო საფეხბურთო კითხვები წამოვა.*

*მოკლედ, იაქტიურეთ და კითხვები 18 მარტამდე მოგვაწოდეთ, ხოლო „თქვენს ინტერვიუს“ ხიზანიშვილთან არაუგვიანეს 23 მარტისა იხილავთ.*

მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVI ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — მეორე ეტაპი 22 ტური

# თამაში მარცხნიდან, გოლები მარჯვნიდან
## გაბელია გურიაში დააკავეს



მირზა მერლანი ლევან მელქაძემ პირველად თავურით დაამწუხრა

ლანჩხუთი. 5 მარტი. 14 საათი. ევგრაფი შევარდნაძე. 1 000 (ტევადობა 22 000)

**ტორპედო 1:4 დინამო**

0:1 მელქაძე (32), 0:2 ჯამარაული (61), 1:2 მეგრელაძე (69პ), 1:3, 1:4 მელქაძე (72, 79)

**ტორპედო:** მერლანი, გ. ახალაია, ბაქრაძე, გამეზარდაშვილი, ლ. მერებაშვილი, ნერგაძე, ბოლქვაძე, სოხელია (რ. ჯიქია 68), დ. ონიანი (ებრალიძე 68), წუწუნავა, მეგრელაძე
*სათადარიგონი:* რევიშვილი; მ. ლონლაძე, მემარნიშვილი, ჯანჯალია
**მწვრთნელი:** ოთარ გაბელია

**დინამო:** მამალაძე, შაშიაშვილი, ხილაგაძე, ქიქველიშვილი, ორბელაძე, ნემსაძე, ჯამარაული (ლ. ჭელიძე 90), ბაბუნაშვილი (კანდელაკი 70), გ. ჭელიძე (დ. ოდიკაძე 31), კაკალაძე, მელქაძე
*სათადარიგონი:* შეყრილაძე; კ. მახარაძე, დვალი, გენაძე
**მწვრთნელი:** გია გეგუჩაძე

**გაფრთხილება:** ბაბუნაშვილი (63), მერლანი (72), ქიქველიშვილი (76)

**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი (თბილისი); გ. ცირდავა (გულრიფში), მ. ელიკაშვილი; მ. მაისურაძე (ორივე თბილისი)

**ინსპექტორი:** ო. გუნთაძე; **დირექტორი:** პ. ბურჯალიანი

**კობა ინასარიძე ლანჩხუთიდან**

**ჯერ ის ვთქვათ,** ეს მატჩი ლანჩხუთში რატომ ჩატარდა: ქუთაისელებმა თავისი დასაკლავი დანა თავადვე გამოჩხრიკეს. მე-20 ტურში, როცა „ტორპედო" „ზესტაფონს" მასპინძლობდა, ქუთაისელმა ქომაგებმა ტრიბუნაზე დიდი აურზაური ატეხეს და მოედანი უცხო საგნებით გაავსეს. ისინი მსაჯობით იყვნენ უკმაყოფილონი და ქვები თუ ბოთლები უხვად დაუშინეს. ეს ამბავი ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა გაარჩია და „ტორპედოს" სტადიონს ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცა. უახლოესი საშინაო მატჩი კი „ტორპედოს" სწორედ „დინამოსთან" ელოდა.

ქუთაისელებს ნეიტრალურ სტადიონთაგან ფოთის „ფაზისი" და ლანჩხუთის „ევგრაფი შევარდნაძე" შეეგულებინათ და მათგან ლანჩხუთური სარბიელი ირჩიეს. სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებით ქუთაისელი ქომაგი დაზარალდა, მაგრამ დაახლოებით ორასმა კაცმა „ტორპედოს" გასამხნევებლად ლანჩხუთში ჩასვლა მაინც მოახერხა. სტადიონზე, ოღონდ ქუთაისელთა საპირისპირო ტრიბუნაზე, იყვნენ თბილისელებიც, თუმცა რაოდენობრივად ნაკლებნი.

„ევგრაფი შევარდნაძეზე" წესრიგს ლანჩხუთის რაიონის პოლიციის მთელი პირადი შემადგენლობა იცავდა, ხელკეტიანი სპეცრაზმელები კი ლანჩხუთელებმა იმერეთის მხარიდან გამოიძახეს. მოკლედ, ამ ბოლო დროს ხშირად რომ იტყვიან, „ევგრაფი შევარდნაძეზე" საქართველოს ჩემპიონატისთვის უჩვეულო, დაცვის უპრეცედენტო ზომები იყო მიღებული და ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, მატჩი მთლიანობაში მშვიდობიანად ჩამთავრდა. ის ერთი-ორი გამონაკლისი კი, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, „ტორპედოს" მწვრთნელს ოთარ გაბელიას უსაქციელობა გახლდათ, მსაჯებს გამუდმებით რომ აგინებდა და მათ მოედანზეც კი გაექანა. თუმც პოლიციელებმა იყოჩაღეს და გაბელია შუა გზაზე დააკავეს. პროფლიგასა და ლანჩხუთელებს კი ერთი-ორი ქათინაური მატჩის კარგად ორგანიზებისთვის ვუთხრათ.

დასაწუნი არც თამაშს ჰქონდა რამე, განსაკუთრებით პირველ ტაიმს, თორემ შესვენების შემდეგ თბილისელთა უპირატესობა იმდენად აშკარა იყო, არ უნდა გაგვკვირვებოდა, „დინამოს" მატჩი ორჯერ მეტი სხვაობით მოეგო.

მეტოქეებმა თავიდან ფრთხილად დაიწყეს და შეტევებით თავი მაინც და მაინც არც გამოუდვიათ. მერე, როცა ერთმანეთს გაუშინაურდნენ, ორივე გუნდი კართან მიახლოებას მარცხნიდან ცდილობდა და ამას „დინამო" თუ უფრო ხშირად აკეთებდა, პირველი ხიფათი სწორედ მის კართან შეიქმნა: დავით ბოლქვაძემ მარცხნივ გიორგი მეგრელაძეს უპასა, მან ზურაბ მამალაძეს ახლო კუთხეში უხერხულად დაურტყა, მეკარის მოგერიებული ბურთი კი იქვე მყოფ კახა წუწუნავას მოხვდა. „დინამოც" ბედად გადარჩა, ბურთი ძელს გარედან გაეხახუნა.

თამაში მერეც ასევე, მარცხნიდან აქცენტით გაგრძელდა და სწორედ ამ დროს, „დინამოს" თავკაცმა, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, ისეთი შეცვლა გააკეთა, შეიძლება ითქვას, თამაში მოიგო. გონივრული გახლდათ გეგუჩაძის გადაწყვეტილება — მან მარჯვენა ფლანგიც გააძლიერა და გიორგი ჭელიძე, ვინც მძიმე გრუნტზე ფეხი ვერ მოიკიდა, დავით ოდიკაძით შეცვალა. გოლმაც არ დაიგვიანა: ოდიკაძემ მარჯვნივ მცველი ჩამოიშორა და ბურთი საჯარიმოში ლევან მელქაძეს ჩაუწოდა. „დინამოს" მეგოლემაც დავით გამეზარდაშვილს დაასწრო და თავურით შორეულ კუთხეში გაიტანა. იშვიათი სილამაზის გოლი იყო.

„ტორპედოს" ანგარიშის გათანაბრება მაშინვე შეეძლო, მაგრამ მიხეილ სოსელიამ, ვინც ჯარიმიდან ჩაწოდებულ ბურთს „დინამოს" მცველებს უკან დაუხვდა, კარს ველარ დაუმიზნა, არადა ორი მეტრიდან ურტყამდა.

შესვენებამდე მეტოქეებმა რამდენჯერმე კიდევ უჩხვლიტეს ერთმანეთს, რამდენჯერმე ფეხბურთელები ნერვებსაც აჰყვნენ და ტაიმიც დამთავრდა, თუმც... „ტორპედოსთვის" სჯობდა არ დამთავრებულიყო. თამაშის განახლებიდან ხუთი წუთი ბურთი ქუთაისელთა საჯარიმოსა თუ მეკარე მირზა მერლანს არ მოშორებია. ჯერ მიხეილ კაკალაძის დარტყმული მოიგერია მეკარემ, მელქაძის დამატებული კი ძელმა აისხლიტა. მერე ოდიკაძე დარჩა მერლანთან პირისპირ და მეკარემ მასაც აჯობა. წუთშივე გიორგი ნემსაძის პასი-შედევრით ისევ ოდიკაძე-მერლანის დუელი ვნახეთ და ისევ მეკარემ იმარჯვა. გატანა მიხეილ კაკალაძემაც სცადა, მაგრამ ამაოდ და, ყველაფერი ეს, ვიმეორებთ, საწყის ხუთ წუთში მოხდა.

მეორე გოლი ოდნავ მოგვიანებით, მაგრამ „დინამომ" მაინც გაიტანა და შტურმიც ამით დამთავრდა. შოთა ბაბუნაშვილმა ჩინებული პასი გაუკეთა კაკალაძეს, რომელმაც პირველი ტაიმისგან განსხვავებით, ამჯერად მარჯვნიდან შეუტია „ტორპედოს". დინამოელს მცველებმა გასაკვირად დიდხანს ადროვეს, კაკალაძემაც ბურთი გაისწორა, პარტნიორებს გახედა და მელქაძეს დასარტყმელად დაუგორა, ლევანმა ბურთი მის ზურგს უკან ეულად დარჩენილი გოჩა ჯამარაულს დაუგდო, ვინც ცაციათი გაიტანა კიდეც — 0:2.

ხუთ წუთში კაკალაძემ ბურთი უკვე საკუთარ საჯარიმოსთან მიიღო და „ტორპედოს" კარამდე გიგლა ახალაიას „ესკორტით" მივიდა. ქუთაისელი მცველი დინამოელს ფეხდაფეხ მიჰყვებოდა, მაგრამ ბურთი ვერაფრით დაატოვებინა. პირიქით, კაკალაძემ მეტოქე „ტორპედოს" საჯარიმოში ჩამოიტანა და მერლანის ცხვირწინ მარტოდ დარჩა. მისი დარტყმული, რა თქმა უნდა, მეკარემ მოიგერია...

გაბელიამ ორი შეცვლა გააკეთა, თამაშის გადარჩენას შეეცადა და მალევე ის ნანატრი პენალტიც მიიღო, რასაც ორი მატჩია მსაჯებისგან ითხოვს, ისინი კი თითქოს ჯიუტად, არ ნიშნავენ. გაბელიას მადლი ალექსანდრე კრიჭაშვილმა მოისხა და, როცა მამალაძე მეგრელაძეს ფეხებში ხელებით ჩაეჭიდა და წააქცია, სამართლიანი პენალტიც უყოყმანოდ დანიშნა — მეგრელაძემ უნაკლოდ დაარტყა.

ქუთაისელი ქომაგები აღფრთოვანდნენ, „ტორპედოც" შეეცადა, მაგრამ სულ ორი წუთით. ამ ორი წუთის შემდეგ კი კრიჭაშვილს უკვე „დინამოს" სასარგებლოდ მოუხდა პენალტის დანიშვნა. ნემსაძის პასი კაკალაძემ კარისკენ ზურგით მყოფმა მიიღო. მას ლევან მერებაშვილი მეურვეობდა. დინამოელმაც მცველის ჩამოშორება სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა — ტორპედოელი წაიქცა და თან თავდამსხმელიც წაიყოლა. უპატრონოდ დარჩენილი ბურთი მელქაძემ გაასწორა, „ტორპედოს" მეორე მცველს აჯობა და გაიტანა. მერლანი მსაჯს მიეჭრა და იქვე ყვითელიც მიიღო, გაბელია სკამიდან წამოხტა და კრიჭაშვილისკენ გაქანებული პოლიციამ შუა მოედანზე გააჩერა, ქუთაისელმა ქომაგმა კი მსაჯის ლანძღვა გაამაგრებული „ლექსიკით" გააგრძელა. რატომ? „ტორპედო" დინამოელების დაჯარიმებას ითხოვდა, არადა, ჩანდა, ერთი პენალტი უნდა დანიშნულიყო.

ამ გოლით თამაში, ფაქტობრივად დამთავრდა. თუმც მალე ლევან მელქაძემ ჰეთ თრიკიც შეასრულა, მერლანთან პირისპირ დარჩა და ბურთი ჭვინტით ძელთან ახლოს შეაცურა — 1:4.

ნამატჩევს აღშფოთებული ქუთაისელები მსაჯებს ეძებდნენ. ფეხბურთელები მალევე დამშვიდდნენ, თუმც გაბელიას დაწყნარება არ იქნა. მით უმეტეს, მესერს იქიდან ქომაგები აგულიანებდნენ — მიდი, გაბელია მაგათი... ისევ პოლიციამ იყოჩაღა.



ეს ის მომენტია, „მასპინძლები" ჯარიმას რომ ითხოვდნენ, გოლი კი მათ კარში გავიდა

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVI ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა · მეორე ეტაპი · 22 ტური

თბილისი. 5 მარტი. 15 საათი. ლოკომოტივი. 300 (ტევადობა 25 600)

## ლოკომოტივი 2:0 სიონი

1:0, 2:0 სირბილაძე (37, 80)

ლოკომოტივი: სტურუა, გიგაური, მახვილაძე, სეთურიძე, ლ. ქებაძე (სანიკიძე 73), ლაცაბიძე, მანჩხავა, ალავერდაშვილი (მძინარიშვილი 61), გ. ონიანი, სირბილაძე, ბობოხიძე (ჟუანი 83)
სათადარიგონი: გვარამაძე, ფოფხაძე, ექონია, რამონი
მწვრთნელი: ნოდარ აკობია

სიონი: ბობლიაშვილი, სიდამონიძე, ი. გაშაკიძე, თ. უგრეხელიძე, ბ. შელია, ბაჯელიძე, ჩაჩუა (გოგოლაძე 78), გ. დოლიძე (ნ. ლაბაძე 61), ქოქიაშვილი (მიქელაძე 89), დათვაძე, გიორგი შენგელია
სათადარიგონი: ასლანაძე, ოქროპირიძე, მ. უგრეხელიძე, ლ. ჩხაიძე
მწვრთნელი: გიგლა იმნაძე

გაფრთხილება: ქოქიაშვილი (48), ბობოხიძე (64)

მსაჯები: ა. შილაკაძე; ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი), ა. სამხარაძე (სოხუმი); ზ. ანიაშვილი (გორი)

ინსპექტორი: ს. კუტივაძე



„ლოკომოტივი“ — „სიონის“ მატჩში სათქმელი მხოლოდ ირაკლი სირბილაძის (№10) გოლებზე თუ იყო

ილია ნანობაშვილი

# ტალახის ქვალი

## სირბილი არა და, სირბილაძის გოლები კი იყო

მომენტი პირველი: ნაკუთხურალ ბურთზე ყველაზე მაღლა ყველაზე მაღალი ირაკლი სირბილაძე ახტა და თავურით გაუტანა „სიონს“ — 1:0.

მომენტი მეორე: მატჩის დასრულებამდე ათი წუთი რჩებოდა, იმავ სირბილაძემ გაგა მძინარიშვილის პასით შემდეგ საჯარიმოს მისადგომებიდან ეფექტურად დაარტყა და 2:0.

მომენტი მესამე: ზედ საფინალო სასტვენის წინ ბოლნისელი დავით გოგოლაძე „ლოკომოტივის“ მეკარე ზვიად სტურუასთან პირისპირ დარჩა, მაგრამ კარს ააცილა.

ძალიანაც გვინდა, ეს ულარიბესი მატჩი რამენაირად გავამდიდროთ, მაგრამ მეზღაპრეობას ვერ დავიწყებთ. დუნე, უტემპო შეხვედრაში სულ ორი-სამი ზუსტი პასი თუ გაკეთდა და ჯახირით წამოწყებული შეტევებიც ამით იშლებოდა. სირბილაძის გოლებიც რაიმე გააზრებულ კომბინაციას არ მოჰყოლია, მაგრამ კიდევ კარგი, ეს გოლები მაინც გავიდა, თორემ დასაწერი სულაც არაფერი იქნებოდა.

ერთი კი, „ლოკომოტივი“ ფიზიკურად ოდნავ უკეთესად გამოიყურებოდა და მეტოქის ნახევარზე პრესინგსაც ხშირად მიმართავდა, რაც ბოლნისელებს აბნევდა და ისინიც გრძელ პასებს ეძალებოდნენ, თუმც არც ამ საქმიდან გამოდიოდა რამე, „სიონის“ მარჯვენაფლანგელი გრიგოლ დოლიძეც რალაცნაირად შებოჭილი ჩანდა და ჩვეული დრიბლინგები ვერ მოაწყო — მის ფლანგზე ლოკომოტიველი ნუკრი მანჩხავა უფრო აქტიურობდა. დოლიძემ მხოლოდ ერთხელ გაიბრწყინა, სამი თბილისელი მიაფინტავა და ზედ საჯარიმოს ხაზთან ეუხეშნენ, რაც იქამდე თავგატეხილ ბოლნისელს თამაშიდან გასვლად დაუჯდა.

სტუმართა შორის პირველად ითამაშა დავით დათვაძემ, თუმც ვერც ამ ტანჩია გამთამაშებელმა შექმნა რამე ღირებული.

ზვიად სტურუა მთელი 90 წუთის განმავლობაში ერთხელაც არ გადამხტარა, არადა, „სიონს“ უფრო ფხიანი თამაში მართებდა — გიგლა იმნაძის გუნდი ხომ გასავარდნ ზონაშია და ყოველ ქულას მათთვის ოქროს ფასი აქვს. „ლოკომოტივი“ კი ცხრილის შუაშია გაჩხერილი, ძნელად რომ მათ ან ლიდერთა მარაქაში შეაღწიონ, ან აუტსაიდერებს გაუყადრონ თავი.

ვერ გეტყვით, ფეხბურთის როგორი ფანი უნდა იყო, გუშინწინდელი თამაშისთვის ბოლომდე რომ გაგეძლო. ამიტომაც იყო, ისედაც დაცარიელებულ ტრიბუნებს მეორე ტაიმში ლამის მხოლოდ ჟურნალისტები რომ შემოვრჩით...

*ნოდარ აკობია:* „წინა ტურში „ზესტაფონში“ მძიმე მატჩი გვქონდა, თანაც ატალახებულ მოედანზე და ბიჭები აშკარად გადაილალნენ. ასეთივე დღეში იყო „სიონიც“ და ამან დაღი დაატყო დღევანდელ მატჩს. ისე, ფიზიკურად ჩვენ უფრო უკეთესად გამოვიყურებოდით“.

*გიგლა იმნაძე:* „მასპინძლებმა სისწრაფეში გვაჯობეს. ესეც არ იყოს, „ლოკომოტივი“ ჩვენზე ოდნავ ძლიერი გუნდია და მისი გამარჯვება ლოგიკურიცაა. რაც შეეხება ახალ ფეხბურთელებს, „სიონში“ დავით სვანიძე ვარჯიშობს, რომელსაც ალბათ მალე დავიმატებთ“.

# გავიდა, ნახა, ვერ გაიტანა

## ის შავი კაცი რომელი იყო?

გოჩა ჯანაშია ზესტაფონიდან

ზესტაფონი. 5 მარტი. 14 საათი. ცენტრალური. 6 000 (ტევადობა 10 000)

## ზესტაფონი 2:1 კოლხეთი

1:0 გოცირიძე (10), 1:1 შალამბერიძე (13), 2:1 ჩხეტიანი (74)
*იონანიძემ ვერ გაიტანა პენალტი (60, ძელი)*

ზესტაფონი: მამარდაშვილი (ქვარახია 64), ს. თოდუა, შ. ლონდაძე, შავგულიძე, სულაკაძე, ბესარაშვილი, გურჩუა, კვერნაძე (იონანიძე 60), ბ. ნოზაძე (კ. ჩხეტიანი 62), განუგრავა, ბ. გოცირიძე
სათადარიგონი: ხინგავა, ძამსაშვილი, გვარუციძე, ზირაქიშვილი
მწვრთნელი: თემურ მახარაძე

კოლხეთი: ბათიაშვილი, გოროზია, ჯ. შალამბერიძე, მინდაძე (აკობია 46), ჭითანავა, თაყაძე, ი. მარგალიტაძე, ლ. მელიქია (ტყებუჩავა 46), კუნჭულია, მიკუჩაძე, ლებანიძე
სათადარიგონი: გიზო შენგელია, ნ. ნარსია, ვართაგავა
მწვრთნელი: სერგო გაბელაია

გაფრთხილება: შალამბერიძე (4), გოცირიძე (11), მელიქია (26), ნოზაძე (50), კუნჭულია (73), მიკუჩაძე (76)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ლ. მიქელაძე (სამტრედია); ლ. სილაგავა (თბილისი)

ინსპექტორი: მ. ჭელიძე

**მშვენიერი** ღარის მიუხედავად, ხალხმრავალმა ზესტაფონურმა ტრიბუნებმა გაუსაძლის პირობებში ჩავლილი, თუმც კი საინტერესო ბურთაობა ნახა. ძალიანობაში ცენტრალური სტადიონს კაცი ვერაფერს დაუწუნებს, მაგრამ მინდვრის საფარის მდგომარეობა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს... მოკლედ, ამ მოედანზე ფეხბურთის გარდა ყველაფრის თამაში შეიძლება...

თემურ მახარაძემ, ფაქტობრივად, სათადარიგო შემადგენლობა გაიყვანა მოედანზე. მწვრთნელმა ნამატჩევს ეს იმით ახსნა, რომ მალე თასის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩი გველის „ბათუმთან“ და ასეთ ტალახში ლიდერების გამოყვანა მიზანშეწონილად არ ჩავთვალეთო. თუმცა, როცა გუნდს გაუჭირდა, ზურაბ იონანიძეს, კახა ჩხეტიანს და ზურაბ ქვაჩახიას მაინც მოუწიათ თამაშმა და სწორედ მათი დამსახურება იყო, მასპინძლებმა მორიგი სამი ქულა რომ ჩაიჯიბეს.

მახარაძემ ლიდერები კი დაასვენა, მაგრამ ლევან შავგულიძე სათადარიგოდ მაინც ვერ „გაიმეტა“. არადა, იმერელთა კაპიტანი ტრავმირებული გახლდათ. ტრავმის მიზეზს არ იკითხავთ? პარასკევს, დღისით, მზისით, სოფელ სვირის გადასახვევთან შეირაღებული ყაჩაღები დახვედრიან და მანქანის წართმევა დაუპირებიათ. ლევანი მომხვდურებს შეწინააღმდეგებია და... თავის არეში ძლიერი დარტყმაც მიუღია.

საბედნიეროდ, ყაჩაღებმა საწადელი ვერ აისრულეს, მაგრამ „ზესტაფონის“ ხელმძღვანელობა ამ ფაქტით აღშფოთებულია და სამართალდამცავებისგან სათანადო რეაგირებას მოითხოვს.

შეხვედრა ზესტაფონელთა აქტიურობით დაიწყო და მათ ძალისხმევას მალე შედეგიც მოჰყვა. საჯარიმოს რკალთან კოლხმა ვასილ კუნჭულიამ ბექა გოცირიძე წააქცია — შავგულიძის დარტყმული ზურაბ ბათიაშვილმა თითქოს გააუვნებლა, მაგრამ ბოლო წამს ბურთი ხელში ვერ შეიმაგრა და გოცირიძემ დამატებაზე ყველას დაასწრო — 1:0.

„კოლხეთი“ ამ გოლმა ვერ გატეხა და სამიოდ წუთში თანაფარდობაც აღდგა — ჯონი შალამბერიძემ მარცხენა ფლანგიდან ჯარიმით შორეულ კუთხეში ჩასვა ბურთი — 1:1.

ამის შემდეგაც საკმაოდ ჯიგრიანი ბრძოლა გაჩაღდა, მეტოქენი ერთმანეთს არ ინდობდნენ და იყო ჭახა-ჭუხი და ტალახში სრიალი. ერთია ოღონდ, ძალისმიერად თუ გაიკვალავდა ფეხბურთელი გზას, თორემ ხეირიანი კომბინაციის გახერხება ურთულესი საქმე ჩანდა.

სტუმრები ძირითადად თავს იცავდნენ, ხშირ შემთხვევაში უნარიანადაც, მაგრამ გოცირიძის შეჩერება შეუძლებელი გახდა. ფეხმარდმა ფორვარდმა მცველებს „სისხლი გაუშრო“ და მათი დუელი შესვენებამდე ძალიან საინტერესო საცქერი იყო. გოცირიძემ ტაიმის შუაწელში მეორედაც გაახარა ქომაგობა, მაგრამ მცირე ხნით, რამეთუ გვერდითმა ლევან მიქელაძემ თამაშგარე დააფიქსირა.

ტაიმის ბოლოსკენ კოლხებმაც სცადეს გატანა და სიჩქარეაკრეფილ პეტრე ლებანიძეს ცოტა დააკლდა კარში დასარტყმელად...

„ზესტაფონის“ უპირატესობა შესვენების შემდეგაც იგრძნობოდა და სტუმართა კარზე ზეწოლა უფრო იზრდებოდა. ამასობაში მახარაძემ იონანიძე იხმო და სანამ მას მოედანზე შეუშვებდა, გოცირიძემ პენალტიც მოინადირა. ტალახში ჩურჩხელასავით ამოვლებულმა ბექამ მცველებთან ჭიდილში ბურთი საჯარიმოში შეიყოლა და... წაიქცა. წესების დარღვევა აშკარა იყო. პენალტის დასარტყმელად კი მოედანზე წამების შესული იონანიძე მოემზადა — ნახერხით და ტალახით ნაზელ ნიშნულზე ბურთი კარგა ხანს ასწორა, მაგრამ... მარცხენა ძელს გაარტყა.

ეს იყო და, „ზესტაფონი“ კინაღამ დაისაჯა. მასპინძლებს კოლხი გიორგი ტყებუჩავა გაეპარათ, თუმც მეკარესთან, ფაქტობრივად, პირისპირ დარჩენილს დარტყმა სუსტი გამოუვიდა...

ამასობაში კახა ჩხეტიანიც გამოჩნდა მოედანზე და „კოლხეთის“ კართან ნამდვილი შტურმი მოეწყო. ადრეც ვწერდით, გაბელაიას შეგირდებს მეორე ტაიმში თამაში უჭირთო და ეს ახლაც გამჟღავნდა. იმერელთა უდიდესი უპირატესობა უამრავ მომენტში აისახა, მაგრამ პენალტის გამცუდებელმა იონანიძემ ორჯერ სასწაულებრივ ვერ გაიტანა — ორი წუთის ინტერვალში ჯერ თავით ახლო მანძილიდან პირდაპირ მეკარეს გაარტყა ბურთი, მერე კი ფეხით საერთოდ ააცილა კარს.

72-ე წუთზე ჩხეტიანსაც მიეცა ხელსაყრელი შანსი, მაგრამ მისი თავურიც უზუსტო გამოდგა, თუმც ორიოდ წუთში მან „დანაშაული“ გამოასწორა, როცა სევასტი თოდუას გამჭოლ გადაცემას იდეალური გაგრძელება მოუძებნა — 2:1.

საქართველოს XVI ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
მეორე ეტაპი
22 ტური
საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

თბილისი. 5 მარტი. 14 საათი. ოლიმპი. 300 (ტევადობა 3 000)

## თბილისი 2:1 დილა

1:0 იაშვილი (39), 1:1 რევაზიშვილი (56), 2:1 ჯიქია (78)

**თბილისი:** გრიშიკაშვილი, გ. ფოფხაძე, ლოლაძე, მიქიაშვილი, მესხი, დევდარიანი, მინ ჩოი, შ. ჯიქია, ფიფია (ბ. ელენტი 46), რ. ბარაბაძე (ვ. კვარაცხელია 75), ს. იაშვილი
*სათადარიგონი:* ჭინჭარაძე, მიქელაძე, ფირანიშვილი, ბოჭოიძე
**მწვრთნელი:** ლუის ცაკარიასი

**დილა:** თ. ილურიძე, მგელაძე, ლ. გოჩაშვილი, დ. ხანიშვილი, დ. მაისურაძე, ხაჭაპურიძე, კ. ხანიშვილი (ბ. ჩიტაია 46), გ. ჩიტაია, რევაზიშვილი, ჯობაძე (ა. ლაბაძე 77), სამადაშვილი
*სათადარიგონი:* ა. მაისურაძე, მახურაშვილი, თომაშვილი, ოლგესაშვილი, ქარქოზაშვილი
**მწვრთნელი:** მერაბ ხუციშვილი

**გაფრთხილება:** მესხი (28), ილურიძე (71)

**გაძევება:** მგელაძე (89)

**მსაჯები:** ა. მეშკოვი (თბილისი); ნ. რუსიშვილი (ქუთაისი), ი. აფციაური (დუშეთი); ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი)

**ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

# სიმაღლეში გაზრდილი თბილისი

## გორი საით გაგორდება, მნიშვნელობა არა აქვს

**კახა შალამბერიძე**

„თბილისი" — „დილა" მოსალოდნელზე მეტად დაძაბული და გამოუცნობი გამოდგა. მართალია, ანგარიშში სენსაციური არაფერია, თუმც მატჩის ხასიათი კი იყო განსაკუთრებული — თბილისელებს მეტოქე კინაღამ ხახაში გაეჩხირათ.

პირველი ნახევარი საათის მერე ტრიბუნებზე ერთი საინტერესო აზრი გაჩნდა: „თბილისი" „დინამოსთან" მოგების მერე „სიმაღლეში გაიზარდა" და აუტსაიდერს ზემოდან დაჰყურებსო და ამაში სიმართლის მარცვალი მართლა იყო. ლუის ცაკარიასის ბიჭები ზედმეტად თავდაჯერებულები გავიდნენ მოედანზე და... დასჯას მაინც გადაურჩნენ.

პირველ გოლამდე ყველაზე სახიფათო მომენტი მასპინძლებმა შექმნეს. საჯარიმოს სიახლოვეს დანიშნული ჯარიმიდან სანდრო იაშვილმა გაისროლა — ბურთმა მარცხენა ძელს მილიმეტრებში ჩაუქროლა.

ეს იყო და იაშვილმა ერთხელაც წაიიაშვილა — რევაზ ბარაბაძისგან მიღებული ბურთი საჯარიმოში შეიტანა, მერე თითქოს დაკარგა, მაგრამ ბოლომდე იბრძოლა, უკანვე დაიბრუნა და კარშიც დაარტყა. მეკარემ კი მოიგერია, მაგრამ სანდრო იქვე გაჩნდა და თავისივე ნაჯაფარს საგოლედ დაამატა — 1:0. ეს ამბავი 39-ე წუთზე მოხდა.

გორელებს გათანაბრება შეეძლოთ, მაგრამ ვერ გამოიყენეს — დავით ჯობაძის ჩაწოდებულს გურამ სამადაშვილმა დაჰკრა თავით — ბურთი ხარიხას მოხვდა.

სენსაციის სუნი მეორე ტაიმში დატრიალდა. მერაბ ხუციშვილმა კიდევ ერთი თავდამსხმელი, ბექა ჩიტაია ჩართო თამაშში და „დილაც" თბილისელთა საჯარიმოსკენ დაიძრა. მომენტი მომენტზე იქმნებოდაო, ვერ ვიტყვით, მაგრამ მიცემული შანსი სტუმრებმა მშვენივრად გამოიყენეს — გიორგი რევაზიშვილმა ძლიერი დარტყმით 56-ე წუთზე გაათანაბრა ანგარიში. ჰოდა, ნერვების თამაშიც დაიწყო... ერთი-ორჯერ ფეხბურთელებიც წაკინკლავდნენ ერთმანეთში, თუმც ვითარება უკიდურესამდე არ გამწვავებულა.

მალე თბილისელთა კორეელ მინ ჩოის შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ თავური სუსტი გამოუვიდა, 78-ე წუთზე კი შოთა ჯიქიას ჯერი დადგა: თბილისელთა მარცხენა ნახევარმცველმა ორი მეტოქე მოატყუა, შუისკენ შეიწია და შორეული დარტყმით ლამაზი გოლი შეაგდო — 2:1.

*მერაბ ხუციშვილი:* „ამ წაგებამ ძალიან დამწყვიტა გული. ჩვენს გუნდში შექმნილი სიტუაციის ფონზე ბიჭების თამაშით კმაყოფილი ვარ. საბა სულთანიშვილი რომ გვყოლოდა, უფრო მეტი შანსი გვექნებოდა, მაგრამ...

გვპირდებიან, რომ უახლოეს ერთ კვირაში ფინანსური მდგომარეობა გამოსწორდება. უმაღლესი ლიგიდან გავვარდებით თუ არა, დიდი მნიშვნელობა არა აქვს. გორში ფეხბურთი არ მოკვდება".

*ლუის ცაკარიასი:* „წინა ტურში „დინამოსთან" მოგების მერე ბიჭებს ვუთხარი, რომ „დილასთან" უფრო რთული თამაში ექნებოდათ. თანაც ლიდერები, რევაზ ქემოკლიძე და თორნიკე აფციაური გვაკლდნენ. „დილა" კარგად ორგანიზებული გუნდი გამოდგა და მიხარია, რომ ასე საჭირო სამი ქულა ავიღეთ.

აფციაურს ორკვირიანი მკურნალობის კურსი გამოუწერეს და ვნახოთ, რა როგორ იქნება. იმედია, ის მალე დაგვიბრუნდება".

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 22 | 14 | 3 | 5 | 45:22 | 45 |
| თბილისი | 22 | 13 | 4 | 5 | 44:26 | 43 |
| ტორპედო | 22 | 11 | 7 | 4 | 34:18 | 40 |
| ვიტ ჯორჯია | 22 | 10 | 6 | 6 | 36:26 | 36 |
| ლოკომოტივი | 22 | 8 | 10 | 4 | 29:18 | 34 |
| ზესტაფონი | 22 | 9 | 2 | 11 | 21:38 | 29 |
| ბათუმი | 22 | 6 | 8 | 8 | 25:20 | 26 |
| კოლხეთი | 22 | 6 | 5 | 11 | 22:29 | 23 |
| სიონი | 22 | 6 | 2 | 14 | 20:46 | 20 |
| დილა | 22 | 2 | 3 | 17 | 14:47 | 9 |

საქართველოს ჩემპიონატი
პირველი 16 ლიგა 16 ტური
მეორე წრე
საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# ამერმა მოლოდინი მოატყუა

გორი. 6 მარტი. 14 საათი. ძართლი. 50 მაყურებელი

## ცხინვალი 1:0 ამერი

1:0 ეჯოშვილი (17)

**ცხინვალი:** ქესანაშვილი, ქობესაშვილი, ლომიძე, ხოხობაშვილი, ფერსაევი, ქირია, მოსაშვილი, ბოლოთაშვილი (მაისურაძე 78), ეჯოშვილი (მათირიშვილი 90), ბაკარანძე, გ. კაიდარაშვილი (აბრამიშვილი 90)
**მწვრთნელი:** ზურაბ მაისურაძე

**ამერი:** ნაჭყებია, ელბაქიძე (სილაგავა 64), დავითნიძე, ზ. ჯელაძე, დეკანოსიძე, გარუჩავა, ბერიანიძე, გ. ჩხეტიანი, გ. ჯელაძე, ნადირაძე (წინამძღვრიშვილი 46), დავითაშვილი
**მწვრთნელი:** გიორგი ჩიხრაძე

**გაფრთხილება:** ბოლოთაშვილი (6), მოსაშვილი (26), ბერიანიძე (65), ზ. ჯელაძე (75), ბაკარანძე (76, 85)

**გაძევება:** ბაკარანძე (85)

**მსაჯები:** გ. კიკაჩეიშვილი; კ. გაბრიაძე, გ. დოგრაშვილი (სამივე ქუთაისი); მ. მალაღურაძე (თბილისი)

პირველ ლიგაში ჩემპიონატის მეორე წრე ორი მოულოდნელი შედეგით დაიწყო. უმაღლეს ლიგაში ალზევების მოსურნე „კახეთმა" შინ „ოლიმპი" ვერ დაამარცხა, მეორე ადგილზე მყოფი და ასევე უმაღლესში გადასვლის კანდიდატთაგანი „ამერი" კი გორში „ცხინვალთან" დამარცხდა.

„ამერის" გორული წაგება მით უფრო უცნაურია, რომ თბილისელებმა ზამთარში სრულფასოვანი მომზადება გაიარეს, რასაც მათ მასპინძელ გუნდზე ვერ ვიტყვით.

თამაშის დასაწყისი სტუმრებს ცუდს თითქოს არაფერს უქადდა. ნაღდ საგოლე მომენტებამდე საქმე არ მისულა, მაგრამ მეტოქის ნახევარზე მეტ დროს „ამერი" ატარებდა და იფიქრებდით, თბილისელები ნელ-ნელა გახურდებიან და მალე სახიფათო მომენტებსაც შექმნიანო. მაგრამ რა მოხდა: მე-17 წუთზე „ცხინვალის" სასარგებლოდ, თითქმის კუთხურის ალამთან, ჯარიმა დაინიშნა. „ამერის" საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთს დავით ეჯოშვილი დაუხვდა და ისე, რომ ფაქტობრივად არავინ შებრძოლებია, თავურით გაიტანა.

პირველი ტაიმის დარჩენილ დროში „ცხინვალი" ტემპის დაგდებას ცდილობდა, „ამერი" კი შეტევებისთვის მეტი სიმწვავის მიცემას ლამობდა. გიორგი დავითნიძის დარტყმული და აჭრილი ბურთი კარს ასცდა, ზვიად ჯელაძემ კი კარის ხაზზე გაგორებულ ბურთს ვერ მიუსწრო.

ამ იერიშებიდან „ამერი" ვერაფერს გამორჩა და წესით, რაკი პირველი ტაიმი სახიფათო იერიშებით დაამთავრა, შესვენების მერე მეტი მონდომება უნდა გამოეჩინა.

მოლოდინის საპირისპიროდ, „ამერმა" მეორე ტაიმი უფრო სუსტად ჩაატარა და სერგო ქესანაშვილის კარს, ფაქტობრივად, არც დამუქრებია. მომენტები არც მასპინძლებს ჰქონიათ და პირველი ტაიმის ანგარიშიც ძალაში დარჩა. ამერელებს ვერც პაატა ბაკარანძის გაძევება წაადგათ — „ცხინვალის" ფეხბურთელს 85-ე წუთზე მეორე გაფრთხილებით დაატოვებინეს მოედანი.

ამერელები პირველი ლიგის ბომბარდირთაგანის, დავით სევასტოპოლის არყოფნით თუ გაიმართლებენ თავს, ვინაც თურქულ შეკრებაზე დაშავდა და ჯერაც მკურნალობს.

**კოტე კეკელია**




მატჩის ერთადერთი გოლი „ამერის" კარში ასე გავიდა

**მერანი 0:1 ივერია**

**გურია 0:2 სპარტაკი**

**რუსთავი 2:1 დინამო 2**

**კახეთი 1:1 ოლიმპი**

**ვიტ ჯორჯია 2:1 ჩიხურა**

დღეს გაიმართება

**საგარეჯო — მაღაროელი**

დღეს გაიმართება

**ბორჯომი — ლოკომოტივი 2**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორჯომი | 15 | 12 | 1 | 2 | 42:20 | 37 |
| ვიტ ჯორჯია | 16 | 11 | 3 | 2 | 27:9 | 36 |
| სპარტაკი | 16 | 10 | 6 | 0 | 31:15 | 36 |
| ამერი | 16 | 11 | 1 | 4 | 45:8 | 34 |
| კახეთი | 16 | 10 | 2 | 4 | 28:21 | 32 |
| დინამო 2 | 16 | 8 | 1 | 7 | 39:26 | 25 |
| ცხინვალი | 16 | 7 | 3 | 6 | 22:20 | 24 |
| ივერია | 16 | 6 | 5 | 5 | 16:17 | 23 |
| გურია | 16 | 6 | 3 | 7 | 16:23 | 21 |
| ჩიხურა | 16 | 6 | 2 | 8 | 16:20 | 20 |
| ლოკომოტივი 2 | 15 | 5 | 4 | 6 | 21:22 | 19 |
| მერანი | 16 | 4 | 1 | 11 | 19:31 | 13 |
| რუსთავი | 16 | 4 | 1 | 11 | 18:32 | 13 |
| ოლიმპი | 16 | 3 | 4 | 9 | 15:27 | 13 |
| საგარეჯო | 15 | 1 | 4 | 10 | 13:39 | 7 |
| მაღაროელი | 15 | 0 | 3 | 12 | 7:45 | 3 |

# გოგუას ოთხწლიანი ხიმკი

## ალანიელი ქართველები დაინომრნენ

გოგიტა გოგუასთვის ბევრს „ხიმკიზე" უკეთესი გუნდი ემეტებოდა, თუმც ქართველმა საევროპო ტრამპლინად რუსეთის პირველდივიზიონელი კლუბი არჩია. გოგიტა რამდენიმე დღის წინ ჩავიდა მოსკოვში, სადაც „ხიმკის" ხელმძღვანელობასთან კონტრაქტის დეტალებს აწესრიგებდა და, საბოლოოდ, 4-წლიანი კონტრაქტიც გააფორმა ამ კლუბთან.

„ქიმიკოსთა" თავკაცობა გოგუას ერთ-ერთ საუკეთესო შენაძენად მიიჩნევს, რაც ნაღდად არაა გასაკვირი: 21 წლის ქართველს ხომ ვენის „აუსტრიასა" და ამსტერდამის „აიაქსის" ვარიანტებიც ჰქონდა.

დღეს „ხიმკი" რუსეთის თასის მერვედფინალის პირველ მატჩში ვლადიკავკაზის „ალანიას" სტუმრობს. თუმც გუნდში ახალგადასულ გოგუას დებიუტი, შესაძლოა, მოგვიანებით შედგეს.

„ალანიაში" კი გაუგებრობა დასრულდა — ბახვა თედეევი მთავარ მწვრთნელად დაამტკიცეს.

შეგახსენებთ, რომ თედეევი ოსურ გუნდს ბოლო შეკრებაზე არ წაჰყვა, რისი მიზეზიც კლუბის ხელმძღვანელობასთან მცირე კონფლიქტი იყო.

გუშინ კი „ალანიამ" ფეხბურთელები დანომრა: გუნდიდან წასული ლევან გვაზავას ნაცვლად 10-ნომრიანი მაისურა ვიტალი დარასელიას ერგო, დავით კვირკველიას 16, ჯაბა კანკავას 23, ლადო ბურდულს კი 88 ეწერებათ ზურგზე.

**ილია ნანობაშვილი**

# ჩემპიონის სვლა
## ვინც ფიქრობს, იფიქროს



REUTERS ნორვიჩიდან

ნორვიჩი — ჩელსი. მასპინძლებს ხელი რიკარდუ კარვალიუმ მოუთავა

### ინგლისი

**პრემიერლიგა. XXIX ტური**

**ნორვიჩი 1:3 ჩელსი**

0:1 კოული (22), 1:1 მაკკენზი (64), 1:2 კეჟმანი (71), 1:3 კარვალიუ (79)
**ნორვიჩი:** რ. გრინი, ედვორთი, ფლემინგი, შეკელი, დრური, გ. სტიუარტი (მაკვიგი 75), ჰოლტი, ფრენსისი, ჰაკერბი, მაკკენზი (ჰენდერსონი 90), ეშტონი
მწვრთნელი: ნაიჯელ უორზინგტონი
**ჩელსი:** პ. ჩეხი, გ. ჯონსონი, რ. კარვალიუ, ტერი, პ. ფერეირა, ტიაგუ (კეჟმანი 67), მაკელელე, ლამპარდი, ჯ. კოული, დაფი (იაროშიკი 73), დროგბა (გუდიონსენი 67)
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
გაფრთხილება: დრური, კოული, მაკელელე
მსაჯი: ჰალსი
24 506 მაყურებელი

**კრ. პალასი 0:0 მანჩესტერი**

**კრ. პალასი:** კირალი, ბოისი, ჰალი, სორონდო, გრენვილი, რუტლეჯი (ბაროუდელი 65), ლიგერტვუდი, ბ. ჰიუზი, სუარეში, ლაკისი, ენდრიუ ჯონსონი
მწვრთნელი: იან დოუვი
**მანჩესტერი:** ჰოვარდი, ვ. ბრაუნი, რ. ფერდინანდი, მ. სილვესტრი, ჰაინცე, კ. ფორჩუნი (სქოულზი 56), ფ. ნევილი (კ. რონალდო 56), როი კინი, გიგზი, ვან ნისტელროი, ა. სმიტი (რუნი 73)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: ჰიუზი, სუარეში, სორონდო, ლაკისი, კირალი, გიგზი, რუნი, ლაკისი, ფერდინანდი, ჰაინცე
გაძევება: ლაკისი (64)
მსაჯი: კლატენბურგი
26 021 მაყურებელი

**არსენალი 3:0 პორტსმუთი**

1:0, 2:0, 3:0 ანრი (39, 53, 85)
**არსენალი:** ი. ლემანი, კ. ტურე, სიგანი (ლორენი 24), სენდეროსი, ეშლი კოული, ფაბრეგასი (ლიუნგბერგი 78), ვიეირა, ფლამინი, კლიში, ანრი, ოვუსუ-აბეიე (ვან პერსი 74)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
**პორტსმუთი:** ხალკიასი, გრიფინი (პრიმუსი 26), სტეფანოვიჩი, დე ზეუვი, მეთიუ ტეილორი, ონილი, სტოუნი, სკოპელიტისი, ბერგერი (დ. კამარა 70), ლუა ლუა, აიეგბენი
მწვრთნელი:ველიმირ ზაიეცი
გაფრთხილება: პრიმუსი, სტეფანოვიჩი
მსაჯი: ფოი
38 079 მაყურებელი

**ნიუკასლი 1:0 ლივერპული**

1:0 რობერი (70)
**ნიუკასლი:** გივენი, კარი, ბრამბლი, ბუმსონგი, ა. ჰიუზი, კ. დაიერი (ბათი 88), ფეიე, ბოიერი (ჯენასი 77), რობერი, შირერი, ამეობი (კლუივერტი 67)
მწვრთნელი: გრემ სუნესი
**ლივერპული:** კარსონი, ფინანი, პელეგრინო (ლე ტალეკი 82), ჰიიპია, კარაგერი, ლუის გარსია, ბიშკანი, ჯერარდი, შმიცერი (ა. ნუნიესი 75), რიისე, ბაროში (უორნოკი 88)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: ფეიე, რობერი, ჯერარდი, შმიცერი
მსაჯი: ვები
52 323 მაყურებელი

**ასტონ ვილა 2:0 მიდლსბრო**

1:0 ლაურსენი (64), 2:0 მური (79)
**ასტონ ვილა:** სორენსენი, დე ლა კრუზი, მელბერგი, მ. ლაურსენი, ჯ. სამუელი, სოლანო, ჰენდრი, ბერსონი, სტივენ დევისი, ბერი, ვასელი (ლ. მური 57)
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
**მიდლსბრო:** ნეში, პარნაბი, საუთგეიტი, რიგოტი, კედრუ, ნემეტი (გრემი 65), პარლოუ, დორივა, ზენდენი, დაუნინგი (ჟობი 82), ჰასელბაინკი
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
გაფრთხილება: დევისი, დორივა, პარლოუ
მსაჯი: სტაილზი
34 201 მაყურებელი

**საუთჰემპტონი 1:0 ტოტენჰემი**

1:0 ქვოში (51)
**საუთჰემპტონი:** პ. სმიტი, დელაპი (ნილსონი 50), ლუნდეკვამი, ჰიგინბოთემი, ბერნარი, ტელფერი, რედნაპი, ქვოში, ლესო (ა. სვენსონი 88), ა. კამარა, კრაუჩი
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
**ტოტენჰემი:** პ. რობინსონი, გ. კელი (ციგლერი 68), ე. გარდნერი, კინგი, ედმანი, საიმონ დევისი, მ. ბრაუნი, კარიკი, რიდი (რობი კინი 75), დეფო, მიდო (კანუტე 57)
მწვრთნელი: მარტინ იოლი
გაფრთხილება: ქვოში, ედმანი, ბრაუნი
მსაჯი: უოლტონი
31 903 მაყურებელი

**ფულემი 0:0 ჩარლტონი**

**ფულემი:** ვან დერ სარი, ბოკანეგრა, ნაითი, გომა, როსენიორი, ბოა მორტე, პ.ბ. დიოპი, კ. იენსენი (კ. ჯონი 73), კლარკი, მალბრანკი, ენდი კოული
მწვრთნელი: კრის კოულმენი
**ჩარლტონი:** კაილი, ლ. იანგი, პერი, ელ კარკური, ჰრეიდარსონი, კონჩესკი, კიშიშევი, მერფი, ჰოლანდი, ტომა (ჯ. იოჰანსონი 75), ბარტლეტი
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
გაფრთხილება: ბოა მორტე, გომა, კოული, კიშიშევი, ელ კარკური
მსაჯი: ბენეტი
18 290 მაყურებელი

**ვესტ ბრომვიჩი 2:0 ბირმინგემი**

1:0 კლემენტი (53), 2:0 კემპბელი (64)
**ვესტ ბრომვიჩი:** ჰოულტი, ალბრეხტსენი, კლემენტი, გაარდსო, პ. რობინსონი, უოლვორკი, გრინინგი, რიჩარდსონი (შიმეკა 90), კ. კემპბელი, გერა, ჰორსფილდი (კანუ 86)
მწვრთნელი: ბრაიან რო[illegible]სონი
**ბირმინგემი:** მაიკ ტეილორი, კლეპამი, კანინგემი, ტებილი (ლაზარიდისი 37), აპსონი, კლემენსი, ს. დიაო (ანდერტონი 68), ჯ. გრეი (რ. ბლეიქი 68), დ. ჯონსონი, ჰესკი, პანდიანი
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
გაფრთხილება: დიაო, უოლვორკი
მსაჯი: დანი
25 749 მაყურებელი

**ევერტონი 0:1 ბლექბერნი**

0:1 სტიდი (71)
**ევერტონი:** მარტინი, ჰიბერტი, პისტონე (მაკფადენი 76), ვეირი, იობო, არტეტა (დ. ფერგიუსონი 24), ჩემილი, კარსლი, კილბეინი, ოსმანი, მ. ბენტი
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
**ბლექბერნი:** ფრიდელი, ნ. იოჰანსონი, მოკოენა, ნაილი, ნელსენი, ტოდი, ფლიტკროფტი, მ. პედერსენი, ს. რიდი, დ. ტომპსონი, დიკოვი (სტიდი 14)
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი
გაფრთხილება: ვეირი, მოკოენა, კარსლი, სტიდი, ჩემილი
მსაჯი: დოუდი
32 406 მაყურებელი

**მანჩესტერ სიტი — ბოლტონი**

*დღეს გაიმართება*

**სულ** მტკიცედ და მტკიცედ მიაბიჯებს „ჩელსი" ადრიანი გაზაფხულის ჯერაც ყინვიან მინდვრებზე და ეს ჩემპიონის სვლაა. შაბათ საღამოს „ჩელსიმ" 3:1 მოიგო ნორვიჩში, სადაც თავდადებულმა მასპინძლებმა ერთხელ, კოხტა თავურით კი გაუთანაბრეს პრემიერლიგის ლიდერს, მაგრამ მეტი ველარ შეძლეს.

ამ მოგებით „ჩელსი" კიდევ უფრო მომაგრდა პირველ საფეხურზე, რახანლა „მანჩესტერი" ისე გაბრუნდა ლონდონიდან სახლში, რომ 10-კაციან „კრისტალ პალასს" გოლი ვერ გაუტანა და ახლა ლიდერსა და მდევარს შორის სხვაობა უკვე რვა ქულაა.

„პალასს" ბერძენი ვასილის ლაკისი გაუძევეს ორი ყვითლით მეორე ტაიმის შუაგულში, ოღონდაც „მანჩესტერმა" მაინც ვერ იპოვა გზა კარისკენ. საუკეთესო შანსები თითო ტაიმში თითო ჰქონდა რუუდ ვან ნისტელროის, რომელსაც ტრავმის მოშუშების შემდეგ ჯერაც ვერ გაუტანია გოლი. ერთ შემთხვევაში მეკარე გაბორ კირალიმ ივაჟკაცა, მეორეში კი თავად ჰოლანდიელმა ვერ იპოვნა კარი.

„ცუდი შედეგია — თქვა სერ ალექს ფერგიუსონმა, „მანჩესტერის" მწვრთნელმა — როცა ჩემპიონობისთვის იბრძვი, ასეთი თამაშები უნდა მოიგო. „ჩელსის" დიდი უპირატესობა აქვს, მაგრამ მე მხიბლავს ჩვენი გუნდის საბრძოლო სული".

ჟოზე მაურინიუს პასუხი კი, ჩვეულებისამებრ, ქედმაღლური იყო: „იცით, რა? ჩვენ არ ვფიქრობთ მდევრებზე, ისინი ფიქრობენ ჩვენზე. ჩვენ კი ყოველ შაბათს წინ მივდივართ".

ამ შაბათს ფხა გამოაჩინა „არსენალმაც", რომელმაც ორი ქულა ამოუღო „მანჩესტერს" და ჩემპიონობისთვის ბრძოლის მკრთალი სურვილიც გამოამჟღავნა. „მეთოფეებმა" ტიერი ანრის ჰეთ თრიქით „პორტსმუთს" სძლიეს. ოღონდაც, ამ უქმეებზე სამივე ეს ლიდერი ჩემპიონთა ლიგის მოახლოებულ თამაშებზე უფრო ფიქრობდა. სამივეს წაგებული აქვს პირველი შეხვედრები და სამივეს უძნელესი ამოცანა უდგას. მაგალითად, მაურინიუ იმედოვნებს, რომ „ბარსელონას" წინააღმდეგ არიენ რობენი ეყოლება, „არსენალში" კი ღიად აცხადებენ, რომ „ბაიერნს" ორბურთიან სხვაობას გაუქარწყლებენ „ჰაიბერიზე".

და ვინც არ ფიქრობდა ჩემპიონთა ლიგაზე, იმათგან განსაკუთრებით იხარა „ასტონ ვილამ" რომელსაც ზედიზედ სამი წაგების შემდეგ „მიდლსბრო" შემოემარცხა. არანაკლებ ხარობდა „საუთჰემპტონიც", რომელმაც ნაიჯელ ქვოშის გოლით „ტოტენჰემი" დაამარცხა და სამხრეთელებს ბოლო სამეულიდან ამოძრობის იმედი გაუმყარა.

ძალიან მაგარი თამაში იყო „სენტ ჯეიმს პარკზეც", სადაც „ნიუკასლმა" ალიყური აჭამა ლიგის საგზურისთვის მებრძოლ „ლივერპულს". ფრანგი ლორან რობერი კვლავ ჩაეწერა მენეჯერ გრემ სუნესის საყვარელ ფეხბურთელთა სიაში, მას შემდეგ, რაც საფირმო ჯარიმით გაიტანა შეხვედრის ერთადერთი გოლი 70-ე წუთზე. ტრავმებით ტანჯულ მერსისაიდელებს კარში ეყენათ ახალბედა სკოტ კარსონი, „ნიუკასლი" კი მესამე კვირაა ყველაფერს იგებს.

„დღეს პირველი თამაშია, როცა რობერს არ ვაკრიტიკებ" — ამბობდა ნამატჩევს გახარებული სუნესი. საბრალო „ლივერპულს" კი ხუთი მოთამაშე აკლდა იმ სასტარტოდან, გასულ კვირას, ლიგის თასის ფინალში რომ ითამაშეს „ჩელსისთან".

ესეც გავიხსენოთ, რომ გასულ კვირას „ჩელსის" დიდიე დროგბამ თქვა, უკვე ჩემპიონები ვართო. ჰოდა, სერ ალექსმა ამ რთულ ვითარებაში დაადევნა სიტყვები აფრიკელს: „ფეხბურთი სასტიკი თამაშია, ტრაბახს ვერ ვიტან. დარწმუნებული ვარ, ის თავის სიტყვებს შეჭამს". ვნახოთ...

**ირაკლი ბაშყრელიძე**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ჩელსი | 28 | 22 | 5 | 1 | 53:9 | 44 | 71 | 13 | 10 | 3 | 0 | 25:3 | 22 | 33 | 15 | 12 | 2 | 1 | 28:6 | 22 | 38 |
| 2 მანჩესტერი | 29 | 18 | 9 | 2 | 47:17 | 30 | 63 | 14 | 10 | 4 | 0 | 26:7 | 19 | 34 | 15 | 8 | 5 | 2 | 21:10 | 11 | 29 |
| 3 არსენალი | 29 | 18 | 7 | 4 | 67:32 | 35 | 61 | 15 | 9 | 5 | 1 | 39:17 | 22 | 32 | 14 | 9 | 2 | 3 | 28:15 | 13 | 29 |
| 4 ევერტონი | 29 | 15 | 6 | 8 | 34:30 | 4 | 51 | 15 | 9 | 1 | 5 | 16:14 | 2 | 28 | 14 | 6 | 5 | 3 | 18:16 | 2 | 23 |
| 5 ლივერპული | 28 | 13 | 4 | 11 | 41:30 | 11 | 43 | 13 | 9 | 1 | 3 | 23:10 | 13 | 28 | 15 | 4 | 3 | 8 | 18:20 | -2 | 15 |
| 6 მიდლსბრო | 29 | 11 | 9 | 9 | 43:39 | 4 | 42 | 14 | 7 | 5 | 2 | 22:14 | 8 | 26 | 15 | 4 | 4 | 7 | 21:25 | -4 | 16 |
| 7 ბოლტონი | 28 | 11 | 7 | 10 | 36:34 | 2 | 40 | 14 | 6 | 4 | 4 | 17:12 | 5 | 22 | 14 | 5 | 3 | 6 | 19:22 | -3 | 18 |
| 8 ჩარლტონი | 28 | 11 | 7 | 10 | 32:38 | -6 | 40 | 13 | 7 | 2 | 4 | 21:15 | 6 | 23 | 15 | 4 | 5 | 6 | 11:23 | -12 | 17 |
| 9 ტოტენჰემი | 28 | 11 | 6 | 11 | 35:31 | 4 | 39 | 14 | 6 | 3 | 5 | 27:19 | 8 | 21 | 14 | 5 | 3 | 6 | 8:12 | -4 | 18 |
| 10 ასტონ ვილა | 29 | 10 | 8 | 11 | 34:37 | -3 | 38 | 15 | 8 | 3 | 4 | 23:13 | 10 | 27 | 14 | 2 | 5 | 7 | 11:24 | -13 | 11 |
| 11 ნიუკასლი | 28 | 9 | 10 | 9 | 40:44 | -4 | 37 | 15 | 7 | 4 | 4 | 24:21 | 3 | 25 | 13 | 2 | 6 | 5 | 16:23 | -7 | 12 |
| 12 სიტი | 28 | 9 | 9 | 10 | 34:31 | 3 | 36 | 14 | 5 | 5 | 4 | 17:12 | 5 | 20 | 14 | 4 | 4 | 6 | 17:19 | -2 | 16 |
| 13 ბირმინგემი | 29 | 8 | 8 | 13 | 31:37 | -6 | 32 | 14 | 5 | 4 | 5 | 17:12 | 5 | 19 | 15 | 3 | 4 | 8 | 14:25 | -11 | 13 |
| 14 ბლექბერნი | 28 | 7 | 10 | 11 | 25:36 | -11 | 31 | 14 | 3 | 7 | 4 | 16:18 | -2 | 16 | 14 | 4 | 3 | 7 | 9:18 | -9 | 15 |
| 15 ფულემი | 28 | 8 | 6 | 14 | 33:46 | -13 | 30 | 14 | 5 | 3 | 6 | 16:21 | -5 | 18 | 14 | 3 | 3 | 8 | 17:25 | -8 | 12 |
| 16 პორტსმუთი | 29 | 8 | 6 | 15 | 31:45 | -14 | 30 | 14 | 6 | 2 | 6 | 19:19 | 0 | 20 | 15 | 2 | 4 | 9 | 12:26 | -14 | 10 |
| 17 კრ. პალასი | 29 | 6 | 8 | 15 | 32:45 | -13 | 26 | 15 | 5 | 3 | 7 | 15:13 | 2 | 18 | 14 | 1 | 5 | 8 | 17:32 | -15 | 8 |
| 18 საუთჰემპტონი | 29 | 4 | 12 | 13 | 30:44 | -14 | 24 | 15 | 4 | 9 | 2 | 22:19 | 3 | 21 | 14 | 0 | 3 | 11 | 8:25 | -17 | 3 |
| 19 ვესტ ბრომვიჩი | 28 | 3 | 12 | 13 | 25:49 | -24 | 21 | 15 | 3 | 7 | 5 | 13:21 | -8 | 16 | 13 | 0 | 5 | 8 | 12:28 | -16 | 5 |
| 20 ნორვიჩი | 29 | 3 | 11 | 15 | 29:58 | -29 | 20 | 15 | 3 | 7 | 5 | 23:31 | -8 | 14 | 14 | 0 | 4 | 10 | 6:27 | -21 | 6 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ანრი (არსენალი) | 22 |
| ენდრიუ ჯონსონი (კრ. პალასი) | 18 |
| დეფო (ტოტენჰემი) | 11 |
| პირესი (არსენალი) | 10 |
| ჰასელბაინკი (მიდლსბრო) | 10 |
| აიეგბენი (პორტსმუთი) | 10 |

**XXX ტური**

19-20 მარტი

| | | |
|---|---|---|
| ბირმინგემი | : | ასტონ ვილა |
| ტოტენჰემი | : | სიტი |
| ბლექბერნი | : | არსენალი |
| ბოლტონი | : | ნორვიჩი |
| ჩარლტონი | : | ვესტ ბრომვიჩი |
| ჩელსი | : | კრ. პალასი |
| ლივერპული | : | ევერტონი |
| მანჩესტერი | : | ფულემი |
| მიდლსბრო | : | საუთჰემპტონი |
| პორტსმუთი | : | ნიუკასლი |

### ჩემპიონატი

**XXXVII ტური**

**კარდიფი 1:0 შეფილდ იუნ.**
1:0 ლედლი (75)

**ქრიუ 1:4 ვულვერჰემპტონი**
1:0 ლანტი (11პ), 1:1 კორტი (13), 1:2 მილერი (35პ), 1:3 კორტი (45), 1:4 მილერი (60)

**დერბი 1:0 პლიმუთი**
1:0 იდიაკესი (24)

**ლესტერი 0:1 ნოტინგემი**
0:1 ტეილორი (41)

**ქუინზ პარკი 0:0 რედინგი**

**როტერჰემი 1:3 ჯილინგემი**
0:1 ფლინი (26), 1:1 ბატლერი (56), 1:2 სიდიბე (72), 1:3 ჰენდერსონი (82)

**სტოკი 2:0 ბრაიტონი**
1:0, 2:0 ნოელ-უილიამსი (39პ, 44პ)

**უოტფორდი 2:3 ქოვენთრი**
0:1 ბენჟამინი (14), 1:1 რ. დაიერი (32), 1:2 პ. იორგენსენი (54), 1:3 დოილი (78), 2:3 ვებერი (84)

**ვესტ ჰემი 1:2 პრესტონი**
0:1 ნაგენტი (17), 0:2 ეგიმენგი (81), 1:2 ზამორა (87)

**უიგანი 1:0 იფსვიჩი**
1:0 ელინგტონი (43პ)

**ბარნლი 0:2 სანდერლენდი**
0:1 ლოურენსი (26), 0:2 მ. სტიუარტი (89)

**მილუოლი 1:1 ლიდსი**
1:0 დ. რობინსონი (17), 1:1 ჰალსი (78)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უიგანი | 36 | 20 | 9 | 7 | 63:27 | 69 |
| სანდერლენდი | 36 | 21 | 6 | 9 | 57:33 | 69 |
| იფსვიჩი | 36 | 19 | 9 | 8 | 62:44 | 66 |
| დერბი | 37 | 17 | 9 | 11 | 56:47 | 60 |
| პრესტონი | 36 | 17 | 8 | 11 | 50:47 | 59 |
| რედინგი | 36 | 14 | 12 | 10 | 40:33 | 54 |
| ვესტ ჰემი | 35 | 16 | 6 | 13 | 49:43 | 54 |
| მილუოლი | 36 | 14 | 9 | 13 | 37:32 | 51 |
| ლიდსი | 37 | 13 | 12 | 12 | 43:41 | 51 |
| სტოკი | 35 | 14 | 9 | 12 | 25:24 | 51 |
| შეფილდი | 34 | 14 | 9 | 11 | 40:43 | 51 |
| ქუინზ პარკი | 35 | 14 | 7 | 14 | 43:45 | 49 |
| ვულვზი | 36 | 10 | 16 | 10 | 53:49 | 46 |
| ბარნლი | 34 | 11 | 12 | 11 | 27:29 | 45 |
| უოტფორდი | 35 | 10 | 14 | 11 | 44:42 | 44 |
| ბრაიტონი | 36 | 12 | 8 | 16 | 30:45 | 44 |
| ქრიუ | 35 | 11 | 10 | 14 | 55:63 | 43 |
| ლესტერი | 34 | 9 | 14 | 11 | 35:34 | 41 |
| პლიმუთი | 36 | 11 | 8 | 17 | 40:49 | 41 |
| კარდიფი | 35 | 10 | 10 | 15 | 37:39 | 40 |
| ქოვენთრი | 36 | 10 | 9 | 17 | 45:59 | 39 |
| ჯილინგემი | 36 | 10 | 7 | 19 | 35:56 | 37 |
| ნოტინგემი | 34 | 7 | 12 | 15 | 33:47 | 33 |
| როტერჰემი | 36 | 3 | 13 | 20 | 27:55 | 22 |

### პირველი ლიგა

**XXXVI ტური**

ბლეკპული — უოლსოლი 2:0; ბრედფორდი — ჰადერსფილდი 2:0; კოლჩესტერი — ბრენტფორდი 0:1; ჰარტლპული — რექსემი 4:6; ლუტონი — ბრისტოლი 5:0; დონსი — სტოკპორტი 2:1; ოლდემი — პორტ ვეილი 3:0; პიტერბრო — ბარნსლი 1:3; სუინდონი — ბორნმუთი 0:3; ტორკი — ჩესტერფილდი 2:2; ტრანმერი — ჰალი 1:3; შეფილდ უენსდი — დონკასტერი 2:0

### მეორე ლიგა

**XXXVI ტური**

როვერსი — როჩდეილი 0:0; ბერი — კემბრიჯი 2:1; ჩესტერი — საუთენდი 2:2; დარლინგტონი — ბოსტონი 1:0; კიდერმინსტერი — ჩელტენემი 1:0; ლინკოლნი — უიკომბი 2:3; მენსფილდი — შრიუსბერი 1:1; ნორთჰემპტონი — მაკლსფილდი 1:0; ნოტსი — სუონსი 1:0; ოქსფორდი — გრიმსბი 1:2; სკანთორპი — რაშდენი 1:0; იოვილი — ლეიტონი 1:0

### კონფერენსლიგა

**XXXV ტური**

აკრინგტონი — ფორესტ გრინი 2:2; ალდერშოტი — ფარნბორო 3:1; ბარტონი — ქონვი 1:1; ქროული — ჰალიფაქსი 1:2; დაგენემი — ტემუორთი 0:0; გრეივსენდი — სკარბორო 4:0; ჰერეფორდი — მორკემბი 1:1; ლეი — ბარნეტი 0:3; ნორსვიჩი — უოკინგი 1:3; სტივენიჯი — კარლაილი 2:1; იორკი — ექსეტერი 1:2

# მაკაი ვერდერს გადაჰყვა
## ფრაიბურგისთვის მაინციც ბაიერნია

## გერმანია
### ბუნდესლიგა. XXIV ტური

**ბოხუმი 0:2 შალკე**
0:1 აილტონი (30), 0:2 ლინკოლნი (77)
**ბოხუმი:** ვან დუინჰოვენი, კოლდინგი, კალა (მაიხელბეკი 65), კნავსი, მ. ბიონიგი, პროისი (ფ. ტაპალოვიჩი 56), ცდებელი, მისიმოვიჩი, ბეკმანი, ტროიანი (გროტე 61), ლოკვენცი
მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი
**შალკე:** ფ. როსტი, უდე კამპუისი, ბორდონი (დ. როდრიგესი 90), კრსტაიჩი, პანდერი, კ. პოულსენი, **კობიაშვილი**, ლინკოლნი, ასამოა (ჰამიტ ალტინტოპი 75), აილტონი, სანდი (ჰანკე 80)
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
გაფრთხილება: პროისი, კალა, პოულსენი
მსაჯი: მეიერი
32 645 მაყურებელი

**მაინცი 5:0 ფრაიბურგი**
1:0 გერბერი (23), 2:0 ფრიდრიხი (26), 3:0 ბაბაცი (43პ), 4:0 და სილვა (71), 5:0 ტიურკი (81)
**მაინცი:** ვახე, აბელი (ნიკოლიჩი 78), მ. ფრიდრიხი, ნოვესკი, ვაიგელტი, ფ. გერბერი, ბაბაცი (კრამნი 84), ბალიტჩი, და სილვა, კეისი, აუერი (ტიურკი 76)
მწვრთნელი: იურგენ კლოპი
**ფრაიბურგი:** გოლცი, იბერცბერგერი, **ხიზანეიშვილი**, მოჰამადი, ბერნერი (**იაშვილი** 46), ბაირამოვიჩი, **ცქიტიშვილი** (ბ. დიარა 85), კაირო, ანტარი (სანუ 76), კრუპკე, ს. კულიბალი
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
გაფრთხილება: ბაბაცი, ბერნერი, ბაირამოვიჩი, კაირო
მსაჯი: ვაინერი
20 300 მაყურებელი

**ბაიერნი 1:0 ვერდერი**
1:0 ბალაკი (7)
**ბაიერნი:** კანი, სანიოლი, ლუსიო, რ. კოვაჩი, შვაინსტაიგერი (ჰარგრივსი 84), სალიჰამიჯიჩი (დაისლერი 62), დემიკელისი, ბალაკი, ფრინგსი, მაკაი, კ. პიზარო (პ. გერერო 55)
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
**ვერდერი:** რაინკე, სტალტერი, ისმაელი, პასანენი, შულცი (ჰუნტი 69), ბოროვსკი, ფ. ბაუმანი (დ. იენსენი 61), ფ. ერნსტი, მიკუ, კლოზე (მ. ზიდანი 77), ნ. ვალდესი
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: კოვაჩი, დემიკელისი, ერნსტი, მიკუ, ბაუმანი, რაინკე
მსაჯი: მერკი
53 000 მაყურებელი

**შტუტგარტი 2:1 არმინია**
1:0 სოლდო (47), 2:0 კაკაუ (74), 2:1 ბოაკიე (76)
**შტუტგარტი:** ჰილდებრანდი, ჰინკელი, ფ. მეირა, მ. ბაბელი (ბ. ჟივკოვიჩი 65), შტანცლი, სოლდო, მაისნერი, ტიფერტი (ვრანიეში 86), ა. გლები, კაკაუ, კურანი (საბიჩი 69)
მწვრთნელი: მათიას ზამერი
**არმინია:** ჰაინი, ლესინგ (პინტუ 63), ბორგესი, გაბრიელი, მულერი, ლანგკამპი, დამაიერი, შკელა (პორჩელიო 46), ოვომოიელა, ბაკლი, ლეონი (ბოაკიე 46)
მწვრთნელი: უვე რაპოლდერი
გაფრთხილება: ოვომოიელა
მსაჯი: ვაგნერი
28 000 მაყურებელი

**ჰამბურგი 1:0 ლევერკუზენი**
1:0 ვან ბუიტენი (21)
**ჰამბურგი:** ვიახტერი, შლიკე, ბ. რაინჰარდტი, ვან ბუიტენი, კლინგბილი, იაროლიმი (მაჰდავიკია 60), ბენჯამინი, ბაინლიხი, ბარბარესი, ლაუტი (კუჩუკოვიჩი 76), ტაკაჰარა (მორეირა 83)
მწვრთნელი: თომას დოლი
**ლევერკუზენი:** ჰ. ბუტი, კალსენ-ბრაკერი, რამელო, პლასენტე, ბ. შნაიდერი, კასტრო (დონოვანი 78), პონტე, კრჟინოვეკი, ფრაიერი (ბიროფკა 66), ბერბატოვი, ვორონინი (ფრანცა 73)
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
გაფრთხილება: კლინგბილი, შლიკე, ლაუტი, ბაინლიხი, ბარბარესი, რამელო, პონტე, პლასენტე
მსაჯი: ფანდელი
43 959 მაყურებელი

**მიონხენგლადბახი 1:0 ვოლფსბურგი**
1:0 სვერკოში (87)
**მიონხენგლადბახი:** კ. კელერი, ფუკალი, კ. მური, ვან კერკჰოვენი, მ. იანსენი, ტიისი, კლუგე, ბიომე, ულიხი, სონკი (სვერკოში 80), ნოივილი (ვან ჰუტი 90)
მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი
**ვოლფსბურგი:** იენჩი, თ. რიტერი, ფრანცი, ჰოფლანდი, შნოორი, ტიამი, კარჰანი, დალესანდრო (ფიშერი 74), მ. პეტროვი, ბრდარიჩი (ტ. მარიჩი 78), კლიმოვიჩი (ტოპიჩი 86)
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
გაფრთხილება: ბიომე, სონკი, ჰოფლანდი
მსაჯი: კირხერი
43 526 მაყურებელი

**ჰანოვერი 0:1 ჰანზა**
0:1 პრიკა (28)
**ჰანოვერი:** ენკე, შტეფული (შტენდელი 67), მერტესაკერი (ვალნერი 83), ზურავი, ტარნატი, დე გუცმანი, ლალა, კრუპნიკოვიჩი, სტაინერი, თ. კრისტიანსენი, ლეანდრო (კაუფმანი 83)
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
**ჰანზა:** შობერი, ჰარტმანი, მიორლე, ლაპაჩინსკი, მაული, ლანცი, პერსონი, ვორბეკი (დ. რასმუსენი 67), ლიტმანენი (მეგლე 75), პრიკა (ჰილი 81), ოლბოკი
მწვრთნელი: იორგ ბერგერი
გაფრთხილება: ლიტმანენი, მიორლე, პრიკა
მსაჯი: შტარკი
26 434 მაყურებელი

**ჰერტა 1:1 კაიზერსლაუტერნი**
0:1 მეტომო (50), 1:1 მადლუნგი (85)
**ჰერტა:** ფიდლერი, ა. ფრიდრიხი, ვან ბურიკი (მადლუნგი 67), შიმუნიჩი, ნ. კოვაჩი (სალიჰოვიჩი 76), ტ. მარქსი, ნოინდორფი, ჟილბერტო, ჯ. რეინა (რაფაელი 63), მარსელინიო, ვიშნიარეკი
მწვრთნელი: ფალკო გიოტცი
**კაიზერსლაუტერნი:** თ. ერნსტი, ლემბი, მეტომო, ვენცელი, ბლანკი, ზაიცი, სფორცა, ზანდი (ტებერი 88), რიდლი, ჰალილ ალტინტოპი (ამანატიდისი 67), კოსოვსკი (გრამოცისი 73)
მწვრთნელი: კურტ იარა
გაფრთხილება: შიმუნიჩი, ნოინდორფი, ფრიდრიხი, ალტინტოპი, ზანდი
მსაჯი: გაგელმანი
35 000 მაყურებელი

**ნიურნბერგი 2:2 დორტმუნდი**
0:1 ვიორნსი (62), 1:1 მინტალი (76), 1:2 როსიცკი (86პ), 2:2 ვიტეკი (89პ)
**ნიურნბერგი:** ლანგერბაინი, ს. მიულერი, კანტალუპი, ბოზაცკი, ლ. მიულერი, ვაგეფელდი, ლაგერბლომი, ლარსენი, მინტალი, დაუნი (კესლინგი 67), ვიტეკი
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
**დორტმუნდი:** ვაიდენფელერი, მ. მეცელდერი, ბრჟენსკა, ვიორნსი, დედე, როსიცკი, კელი, კრინგე, ევერტონი (გამბინო 70), შმოლარეკი, რიკენი (კრუშკა 90)
მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი
გაფრთხილება: ლარსენი, მინტალი, კანტალუპი, შმოლარეკი, ვაიდენფელერი, კანტალუპი, კრუშკა
გაძევება: კანტალუპი (86)
მსაჯი: გრეფე
23 000 მაყურებელი


REUTERS

ბაიერნი — ვერდერი. მიხაელ ბალაკის ამ თავურს ბრემენელთა კარში ერთადერთი გოლი მოჰყვა

**მიუნხენის** „ბაიერნმა" ერთ-ერთ მდევარს, ახლანდელ ჩემპიონ „ვერდერს" მოუგო და შვიდი ქულით დაუსხლტდა, მაგრამ ეს გამარჯვება როი მაკაის ტრავმად დაუჯდა.

გადაწყვეტილი ამბავია, ჰოლანდიელი ფორვარდი ორი კვირა ვეღარ ითამაშებს და, ცხადია, „არსენალთან" ოთხშაბათის მატჩსაც გამოტოვებს. „ეს ძალიან ცუდი ამბავია ჩვენთვის" — დაიჩივლა ფელიქს მაგათმა, რომლის გუნდმაც „ვერდერს" მიხაელ ბალაკის მიერ დებიუტშივე გატანილი გოლით სძლია. კუთხურიდან ტორსტენ ფრინგსის ჩაწოდებულ ბურთს ბალაკმა ახლო ძელთან დაუხვედრა თავი და ანგარიში ასე გახსნა.

პირველ ტაიმში თანაბარი თამაში იყო, მეორეში კი „ვერდერმა" ტემპს უმატა და გვარიანადაც აწვალა მასპინძლები, თუმცა ბრემენელები საგოლე მომენტთა სიუხვით ვერ გამოირჩნენ.

ბუნდესლიგის ლიდერს არც ლევან კობიაშვილის „შალკე" ჩამორჩა, სტუმრად „ბოხუმს" მოუგო 2:0 და „ბაიერნს" ქულებით ისევ გაუტოლდა. თამაშის დაწყებიდან ნახევარ [illegible] „შალკე" აილტონმა დააწინაურა, ბრაზილიელმა მცველების [illegible] ბურთის საგოლედ დაჰკრა. მეორე ტა[illegible]იმში კი ლინკოლნმა იყოჩაღა და ვან დუინჰოვენს მეორე გაუტანა.

მათიას ზამერის „შტუტგარტმა" ბილეფილდის „არმინიას" აჯობა და კვლავ ხუთეულში შეძვრა. ზვონიმირ სოლდომ მეორე ნახევარის დასაწყისში გახსნა ანგარიში, კაკაუმ კი მეკარეს შეცდომით ისარგებლა და სხვაობა ორამდე გაზარდა. არმინიელმა ისააკ ბოაკიემ უმალ პენალტით ერთის გაქვითვა მოახერხა, მაგრამ სტუმრებმა შტუტგარტიდან ქულის წაღება ვერ შეძლეს.

ფოლკერ ფინკეს „ფრაიბურგისთვის" კი ალბათ სულ ერთია, მიუნხენის „ბაიერნი" და „მაინცი". ამასწინათ „ბაიერნისგან" სათასო მატჩში შვიდი გოლი გაუშვეს, „მაინცისგან" კი — ხუთი.

ახლა „ფრაიბურგი" მორიგი მარცხის შემდეგ ბუნდესლიგის ცხრილის ფსკერზე დაეშვა და ჩემპიონატის დასრულებამდე ათი ტურით ადრე ფინკეს გუნდს გავარდნისგან სასწაულიღა თუ იხსნის.

როსტოკის „ჰანზამ" სეზონში მესამე მატჩი მოიგო და აღსანიშნავია, რომ სამივე გამარჯვება სტუმრად მოიპოვა. როსტოკელებმა ამჯერად ჰანოვერიდან წაიღეს სამი ქულა და ბუნდესლიგაში დარჩენის იმედი გააცოცხლეს.

„ლევერკუზენის" შემტევი ხაზი „ჰამბურგთან" შეხვედრაში აშკარად სუსტად გამოიყურებოდა. დიმიტარ ბერბატოვმა და მისმა დამქაშებმა გოლი ვერ გაიტანეს, ხოლო მასპინძელთაგან ბელგიელმა დანიელ ვან ბუიტენმა იხეირა, რომელმაც კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს დაჰკრა მძლავრად თავი.

დიკ ადვოკაატის მიონხენგლადბახის „ბორუსიამ" ტრავმამოშუშებული ვაცლავ სვერკოშის გოლის წყალობით შეხვედრის დასრულებამდე სამი წუთით ადრე გამოჰგლიჯა „ვოლფსბურგს" გამარჯვება.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ბაიერნი | 24 | 15 | 5 | 4 | 46:23 | 23 | 50 | 13 | 10 | 2 | 1 | 30:8 | 22 | 32 | 11 | 5 | 3 | 3 | 16:15 | 1 | 18 |
| 2 | შალკე | 24 | 16 | 2 | 6 | 39:27 | 12 | 50 | 12 | 9 | 1 | 2 | 23:16 | 7 | 28 | 12 | 7 | 1 | 4 | 16:11 | 5 | 22 |
| 3 | ვერდერი | 24 | 13 | 4 | 7 | 53:27 | 26 | 43 | 12 | 7 | 3 | 2 | 25:11 | 14 | 24 | 12 | 6 | 1 | 5 | 28:16 | 12 | 19 |
| 4 | შტუტგარტი | 24 | 12 | 6 | 6 | 43:30 | 13 | 42 | 12 | 9 | 1 | 2 | 28:12 | 16 | 28 | 12 | 3 | 5 | 4 | 15:18 | -3 | 14 |
| 5 | ჰერტა | 24 | 10 | 10 | 4 | 40:21 | 19 | 40 | 12 | 4 | 7 | 1 | 21:10 | 11 | 19 | 12 | 6 | 3 | 3 | 19:11 | 8 | 21 |
| 6 | ჰამბურგი | 24 | 13 | 1 | 10 | 41:36 | 5 | 40 | 12 | 8 | 0 | 4 | 21:16 | 5 | 24 | 12 | 5 | 1 | 6 | 20:20 | 0 | 16 |
| 7 | ლევერკუზენი | 24 | 11 | 6 | 7 | 42:31 | 11 | 39 | 11 | 8 | 2 | 1 | 27:12 | 15 | 26 | 13 | 3 | 4 | 6 | 15:19 | -4 | 13 |
| 8 | ვოლფსბურგი | 24 | 11 | 1 | 12 | 39:36 | 3 | 34 | 12 | 8 | 0 | 4 | 31:14 | 17 | 24 | 12 | 3 | 1 | 8 | 8:22 | -14 | 10 |
| 9 | ლაუტერნი | 24 | 9 | 6 | 9 | 32:32 | 0 | 33 | 12 | 7 | 2 | 3 | 17:11 | 6 | 23 | 12 | 2 | 4 | 6 | 15:21 | -6 | 10 |
| 10 | ჰანოვერი | 24 | 9 | 5 | 10 | 27:28 | -1 | 32 | 13 | 5 | 2 | 6 | 16:16 | 0 | 17 | 11 | 4 | 3 | 4 | 11:12 | -1 | 15 |
| 11 | დორტმუნდი | 24 | 8 | 8 | 8 | 29:32 | -3 | 32 | 11 | 4 | 4 | 3 | 14:11 | 3 | 16 | 13 | 4 | 4 | 5 | 15:21 | -6 | 16 |
| 12 | არმინია | 24 | 9 | 5 | 10 | 27:30 | -3 | 32 | 11 | 5 | 3 | 3 | 13:10 | 3 | 18 | 13 | 4 | 2 | 7 | 14:20 | -6 | 14 |
| 13 | გლადბახი | 24 | 7 | 7 | 10 | 27:38 | -11 | 28 | 13 | 7 | 2 | 4 | 21:18 | 3 | 23 | 11 | 0 | 5 | 6 | 6:20 | -14 | 5 |
| 14 | მაინცი | 24 | 7 | 5 | 12 | 32:40 | -8 | 26 | 12 | 6 | 3 | 3 | 19:12 | 7 | 21 | 12 | 1 | 2 | 9 | 13:28 | -15 | 5 |
| 15 | ნიურნბერგი | 24 | 6 | 7 | 11 | 40:45 | -5 | 25 | 12 | 2 | 5 | 5 | 18:20 | -2 | 11 | 12 | 4 | 2 | 6 | 22:25 | -3 | 14 |
| 16 | ბოხუმი | 24 | 4 | 7 | 13 | 29:50 | -21 | 19 | 13 | 3 | 5 | 5 | 20:22 | -2 | 14 | 11 | 1 | 2 | 8 | 9:28 | -19 | 5 |
| 17 | ჰანზა | 24 | 3 | 8 | 13 | 19:47 | -28 | 17 | 12 | 0 | 4 | 8 | 7:27 | -20 | 4 | 12 | 3 | 4 | 5 | 12:20 | -8 | 13 |
| 18 | ფრაიბურგი | 24 | 3 | 7 | 14 | 18:50 | -32 | 16 | 11 | 2 | 4 | 5 | 9:17 | -8 | 10 | 13 | 1 | 3 | 9 | 9:33 | -24 | 6 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| მინტალი (ნიურნბერგი) | 19 |
| ბაკლი (არმინია) | 14 |
| კლოზე (ვერდერი) | 12 |
| მაკაი (ბაიერნი) | 12 |
| ბერბატოვი (ლევერკუზენი) | 12 |
| აილტონი (შალკე) | 12 |

### XXV ტური
12-13 მარტი

| | | |
|---|---|---|
| ვერდერი | : | მაინცი |
| შალკე | : | ბაიერნი |
| ჰანზა | : | ბოხუმი |
| ვოლფსბურგი | : | ჰანოვერი |
| ლაუტერნი | : | გლადბახი |
| ლევერკუზენი | : | ჰერტა |
| არმინია | : | ჰამბურგი |
| დორტმუნდი | : | შტუტგარტი |
| ფრაიბურგი | : | ნიურნბერგი |

## II ბუნდესლიგა
### XXIV ტური

**ბურგჰაუზენი 0:3 მიუნხენი**
0:1 კოლომაჟნიკი (11), 0:2 აგოსტინო (58), 0:3 შაფერი (82)

**დუისბურგი 1:0 ალენი**
1:0 კურტი (50)

**დინამო 2:0 ალემანია**
1:0 კუკიელკა (40), 2:0 ლავრიჩი (45)

**აინტრახტი 1:0 ესენი**
1:0 გოლდბეკი (4პ)

**ტრიერი 1:0 აუე**
1:0 პეკოვიჩი (36)

**კოტბუსი 2:0 ფიურტი**
1:0 გუნკელი (9), 2:0 თ. როსტი (86)

**კარლსრუე — ობერჰაუზენი**
**ერფურტი — უნტერჰახინგი**
გადაიდო
**კიოლნი — ზაარბრიუკენი**
დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დუისბურგი | 24 | 15 | 3 | 6 | 38:23 | 48 |
| კიოლნი | 22 | 13 | 5 | 4 | 43:24 | 44 |
| ფიურტი | 24 | 13 | 4 | 7 | 38:29 | 43 |
| აინტრახტი | 24 | 12 | 4 | 8 | 42:33 | 40 |
| მიუნხენი | 24 | 11 | 7 | 6 | 35:30 | 40 |
| აუე | 24 | 11 | 3 | 10 | 36:26 | 36 |
| ალემანია | 24 | 10 | 4 | 10 | 42:31 | 34 |
| ბურგჰაუზენი | 24 | 9 | 6 | 9 | 33:40 | 33 |
| ტრიერი | 24 | 7 | 11 | 6 | 32:34 | 32 |
| ზაარბრიუკენი | 22 | 9 | 4 | 9 | 32:29 | 31 |
| კოტბუსი | 24 | 8 | 6 | 10 | 26:29 | 30 |
| უნტერჰახინგი | 23 | 9 | 2 | 12 | 33:35 | 29 |
| ალენი | 24 | 6 | 7 | 11 | 23:30 | 25 |
| დინამო | 23 | 7 | 4 | 12 | 30:40 | 25 |
| კარლსრუე | 22 | 5 | 8 | 9 | 26:34 | 23 |
| ესენი | 24 | 4 | 11 | 9 | 28:39 | 23 |
| ერფურტი | 23 | 5 | 8 | 10 | 22:35 | 23 |
| ობერჰაუზენი | 23 | 6 | 5 | 12 | 27:45 | 23 |

## ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
### XXIV ტური

დიუსელდორფი — ჰერტა (მ) 0:0; ვერდერი (მ) — ბრაუნშვაიგი 1:1; პადერბორნი — კიოლნი (მ) 3:1; დორტმუნდი (მ) — ვუპერტალი 0:2. *ზანკტ პაული — ჰამბურგი (მ), უნიონი — ოსნაბრიუკი, არმინია (მ) — კილი, ქემნიცი — ვოლფსბურგი (მ) და ლიუბეკი — იურდინგენი გადაიდო*

# იტალია

## სერია A. XXVII ტური

### ატალანტა 1:2 მილანი

0:1 ამბროზინი (72), 1:1 მაკინვა (73), 1:2 პირლო (90)
ატალანტა: კალდერონი, რივალტა, ნატალი, კაპელი, მოტა, მონტოლივო, ბერნარდინი, მარკოლინი (ინოჩენტი 86), ბელინი, ლაცარი, მაკინვა (სინიგალია 90)
მწვრთნელი: დელიო როსი
მილანი: დიდა, სტამი, ნესტა, მალდინი, კოსტაკურტა, ბროკი (ამბროზინი 62), პირლო, დორასო (სერჯინიო 60), კაკა, კრესპო (ფ. ინძაგი 75), ტომასონი
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: დორასო, კოსტაკურტა, მონტოლივო, მაკინვა
მსაჯი: ბერტინი
21 000 მაყურებელი

### რომა 1:2 იუვენტუსი

0:1 კანავარო (11), 1:1 კასანო (39), 1:2 დელ პიერო (44პ)
რომა: პელიცოლი, პანუჩი, მ. ფერარი, დელასი, კუფრე (კორვია 85), პეროტა, დაკური (აკილანი 69), დე როსი (მანსინი 53), ტოტი, მონტელა, ა. კასანო
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
იუვენტუსი: ბუფონი, ძებინა, ტურამი, ფ. კანავარო, ძამბროტა, კამორანეზი, ემერსონი, ბლაზი, ზალაიეტა, დელ პიერო (პესოტო 56), იბრაჰიმოვიჩი (ტრეზეგე 78)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: ტოტი, ძებინა, დაკური, მანსინი, დელ პიერო, კამორანეზი, ბლაზი, ზალაიეტა, მონტელა
მსაჯი: რაკალბუტო
75 000 მაყურებელი

### ინტერი 2:1 ლეჩე

0:1 პინარდი (21), 1:1 კორდობა (25), 2:1 ადრიანო (89პ)
ინტერი: კარინი, ხ. ძანეტი, ი. კორდობა, მიხაილოვიჩი, ფავალი (ზე მარია 26), ვან დერ მეიდე (ხ. კრუზი 67), კამბიასო, დ. სტანკოვიჩი, ხ. ვერონი, ადრიანო, ო. მარტინსი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
ლეჩე: სიჩინიანო, ანჯელო, დიამუტენე, სტოვინი, რულო, კასეტი, დალა ბონა, ჯაკომაცი, კონანი, ბიელანოვიჩი (ხ. ვალდესი 71), პინარდი
მწვრთნელი: ზდენეკ ზემანი
გაფრთხილება: დალა ბონა, ანჯელო
მსაჯი: როდომონტი
50 000 მაყურებელი

### სამპდორია 1:0 კიევო

1:0 გასბარონი (81)
სამპდორია: ანტონიოლი, კ. ძენონი, პავანი, ფალკონე (კაროციერი 53), პიზანო (გასბარონი 46), დიანა, ვოლპი, პალომბო, ტონეტო, ფლაკი, როსინი
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
კიევო: მარკეჯანი, მენსა, პოტენცა, დანა, ს. ლანა, ლუსიანო, ბრიგი (ბარონიო 68), სამარკო, სემიოლი, ძანკეტა (ფუზანი 78), პელისიერი
მწვრთნელი: მარიო ბერეტა
გაფრთხილება: ძანკეტა, კაროციერი, ფუზანი, ფლაკი
გაძევება: მენსა (80)
მსაჯი: დონდარინი
21 800 მაყურებელი

### უდინეზე 0:1 ბოლონია

0:1 ტარე (4)
უდინეზე: დე სანქტისი, ბერტოტო, კროლდრუპი, ფელიპე, დ. ძენონი (მაური 53), დ. პიზარო, მუნტარი (პაზიენცა 46), იანკულოვსკი, დი მიკელე, იაკინტა, დი ნატალე (ფავა 71)
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
ბოლონია: პალიუკა, ჟუარესი, ნასტაზე, ტორიზი, სუსი, ნერვო (დაინო 71), ზაგორაკისი, ლ. კოლუჩი, ბელუჩი, ლოკატელი (ლოვიზო 71), ტარე
მწვრთნელი: კარლო მაცონე
გაფრთხილება: მუნტარი, იანკულოვსკი, ფელიპე, ლოვიზო, კოლუჩი, ზაგორაკისი
მსაჯი: როზეტი
15 000 მაყურებელი

# კაცთა თამაში

## მილანმა ისევ ბოლოწამს მოიგო



REUTERS

რომა — იუვენტუსი. ფრანჩესკო ტოტისთვის ტურინელთა სიხარული ძნელი საცქერია

### მესინა 1:0 ლაციო

1:0 კოპოლა (44)
მესინა: სტორარი, კრისტანტე, რეზაეი, არონიკა, პარიზი, ჯამპა, ძანკი, კოპოლა, დაგოსტინო (დალტერიო 90), ძამპანა (დი ნაპოლი 88), ილიევი (რაფაელი 68)
მწვრთნელი: ბორტოლო მუტი
ლაციო: სერენი, ოდო, სივილია, ფ. კოუტუ, ძაური (სერიჩი 65), ა. ფილიპინი, ჯანიკედა, ლივერანი, ე. ფილიპინი (კ. მანფრედინი 81), პანდევი (მუცი 54), როკი
მწვრთნელი: ჯუზეპე პაპადოპულო
გაფრთხილება: ოდო, კოპოლა, რეზაეი, ჯამპა, ძანკი, პარიზი, კოუტუ
მსაჯი: პაპარესტა
32 000 მაყურებელი

### პარმა 3:2 კალიარი

0:1 ბონერა (4ს.კ.), 1:1 ჯილარდინო (10), 2:1 ბოვო (17), 2:2 სუაცო (89), 3:2 სიმპლისიო (90)
პარმა: ს. ფრეი, ბონერა, პ. კანავარო, ბოვო, ბეტარინი, პიზანუ (მარკიონი 62), სიმპლისიო, ბოლანო (გრელა 64), ბრეშიანო, მორფეო (ბუჩი 67), ჯილარდინო
მწვრთნელი: პიეტრო კარმინიანი
კალიარი: იეცო, დ. ლოპესი (ბიანკი 79), მალტალიატი, ბეგა, საბატო (ხ. ალვარესი 46), დელნევო, ბუდელი, გობი, მ. ესპოზიტო, ძოლა (სუაცო 64), ლანგელა
მწვრთნელი: დანიელე არიგონი
გაფრთხილება: ლოპესი, სიმპლისიო
გაძევება: ფრეი (65)
მსაჯი: კასარა
12 995 მაყურებელი

### ფიორენტინა 2:1 რეჯინა

1:0 პაცინი (48), 2:0 მიკოლი (69პ), 2:1 კოლუჩი (78)
ფიორენტინა: ლუპატელი, დელი კარი (არიატი 46), ვიალი, დაინელი, დი ლივიო, დონადელი, ობოდო, კიელინი, იორგენსენი (სავინი 82), მიკოლი, პაცინი
მწვრთნელი: დინო ძოფი
რეჯინა: პავარინი, კანარზა, დე როზა, ი. ფრანჩესკინი, მესტო (ესტევესი 74), პარედესი, მოცარტი, ბალესტრი, ტედესკო (ჯ. კოლუჩი 55), ნაკამურა (ბორიელო 61), ბონაცოლი
მწვრთნელი: ვალტერ მაცარი
გაფრთხილება: პაცინი, პავარინი, ფრანჩესკინი, კანარზა, მოცარტი, დე როზა, დონადელი, მიკოლი
მსაჯი: მორგანტი
32 000 მაყურებელი

### სიენა 2:3 ბრეშა

0:1 დი ბიაჯო (40), 0:2 კარაჩოლო (45), 1:2 კიეზა (53), 1:3 მანინი (74), 2:3 მაკარონე (90)
სიენა: მანინგერი, ჩირილო, ტუდორი, კოლონეზე (პორტანოვა 41), ტადეი, დავერსა, ვერგასოლა, პასკუალე (მაკარონე 84), კოცა (კიუმიენტო 67), კიეზა, ტ. ფლო
მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
ბრეშა: კასტელაცი, ჟ. მარტინესი, დი ბიაჯო, ძობოლი, სკული (სტანკევიჩიუსი 66), ბერეტა, მილანეტო, ვომე, ძამბრელა (დალამანო 57), მანინი (მარეკო 84), კარაჩოლო
მწვრთნელი: ალბერტო კავაზინი
გაფრთხილება: ტუდორი, ვომე, ტადეი, ტუდორი
გაძევება: ტუდორი (90)
მსაჯი: ფარინა
8 000 მაყურებელი

### ლივორნო 2:2 პალერმო

0:1 ტონი (26), 1:1 ა. ლუკარელი (60), 1:2 ტონი (64), 2:2 პასონი (73)
ლივორნო: ამელია, მელარა, ხ. ვარგასი (ა. ლუკარელი 24), გრანდონი, ბალერი, გრაუზო (რუოტოლო 71), პასონი, დოგა, ვიჯანი, კ. ლუკარელი, პროტი
მწვრთნელი: რობერტო დონადონი
პალერმო: გუარდალბენი, ძაკარდო, ბიავა, ბარძალი, კონტეში (ტერლიცი 85), სანტანა, მორონე, გროსო, ბრიენძა (რაიმონდი 61), ძაული (ფერი 77), ტონი
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
გაფრთხილება: ტონი, კ. ლუკარელი, ბალერი, ძაკარდო, ძაკარდო
გაძევება: ძაკარდო (57)
მსაჯი: ტომბოლინი
12 000 მაყურებელი

**პირდაპირ** ვთქვათ, „სტადიო ოლიმპიკოზე“, პირველი ტაიმის მიწურულს „რომას“ კარში პენალტი არ უნდა დანიშნულიყო. ბერძენი ტრაიანოს დელასი მარსელო ზალაიეტას ჯერ ერთი, საჯარიმო მოედნის ხაზთან უფრო გარეთ გადაელობა და მეორეც, მსგავს ეპიზოდებში, ბევრჯერ მსაჯის სასტვენის დუმილიც კი მოგვისმენია, თუმცა, ჯარიმა ალბათ, მაინც იყო.

ერთი სიტყვით, „რომას“ ფეხბურთელების, განსაკუთრებით კი ვინჩენცო მონტელას აღშფოთება ვფიქრობთ, სამართლიანი გახლდათ, მაგრამ ასეთ დროს აღშფოთება არაფერს ცვლის-ხოლმე. და, ვერც ამჯერად შეცვალა რამე — ალესანდრო დელ პიერომ პენალტი გაიტანა, ხოლო „იუვენტუსმა“ მოიგო.

მანამდე, ხუთი წუთით ადრე, გოლი მასპინძლებმა გაიტანეს. ეს ასე მოხდა: ფრანჩესკო ტოტიმ დიდებული პასი მიაწოდა ანტონიო კასანოს, რომელიც ჯანლუიჯი ბუფონთან პირისპირ შევიდა და უშეცდომოდ დაარტყა, მაგრამ... არა, პირადად კასანომ ყველაფერი წესების სრული დაცვით შეასრულა, უბრალოდ იმ მიმართულებით, საითაც ტოტიმ მას პასი გაუჭრა, ორი რომაელი თამაშგარეში იდგა. როგორც ჩანს, თანამსაჯმა წინასწარ ამოიცნო, რომ ის ორი, მომენტის გაგრძელებაში არანაირად არ ჩაერეოდა და ამიტომ არ აღმართა ალამი, თუმცა ფაქტია, თითოეულ ჩვენთაგანს გაცილებით უკბილო „პასიური“ ბევრჯერ უნახავს შემჩნეული და დაფიქსირებული.

და ისე გამოვიდა, რომ გოლებს პირუკუ მოვყევით, ამიტომ ახლა „იუვეს“ პირველი გოლის დროა. ეს გოლი ფაბიო კანავარომ გაიტანა. კერძოდ, ჯარიმა მაურო კამორანეზიმ ჩააწოდა, ბურთი ზლატან იბრაჰიმოვიჩმა თავით პელიცოლის კარში დაარტყა, მეკარის უკუგდებული კი კანავარომ თავითვე გადაგზავნა ბადეში. ამ ეპიზოდში ორივე იუვენტუსელი უყურადღებოდ დარჩათ მასპინძელ მცველებს, თუმცა არ არის გამორიცხული, იმ მომენტში, როდესაც ბურთს იბრაჰიმოვიჩი შეეხო, კანავარო თამაშგარეთ იდგა.

როგორც ასეთი დაძაბული თამაშების დროს ხდება ხოლმე, პერიოდულად მოედანზე გაწევ-გამოწევაც ხდებოდა, ხოლო რომაული ადათის თანახმად, ქომაგები ტრიბუნიდან ათას საგანს ისროდნენ მოედანზე.

„ყველაფერი ნათელია, თუმცა მსაჯობაზე არაფრის თქმას არ ვაპირებ — განაცხადა მატჩის შემდეგ „რომას“ თავკაცმა ლუიჯი დელ ნერიმ — ჩვენ „იუვენტუსთან“ თანაბრად ვითამაშეთ. სამწუხაროდ, მათი პირველივე მომენტის დროს ჩამოვრჩით. საბოლოოდ კი გეტყვით, რომ მაგარი კაცური თამაში იყო“.

„არანაირ კომენტარს არ ვიტყვი იმაზე, თუ როგორ შემხვდა ხალხი — ეს სიტყვები „რომას“ ყოფილ და „იუვეს“ ახლანდელ თავკაც ფაბიო კაპელს ეკუთვნის — ხალხის წინააღმდეგ რაიმეს თქმას ან მათთან კამათს არანაირი აზრი არ აქვს. მე მინდა ფეხბურთზე მოგახსენოთ და გითხრათ, რომ ეს იყო ჩემი დაბრუნება იქ, სადაც რამდენიმე დიდ წარმატებას მივაღწიე. ჩემი აზრით, ჩვენ დიდებულად ვითამაშეთ პირველ ტაიმში, სერთოდ კი, ორივე მხარე მეტად თავდადებული იყო“.

ხოლო „სტადიო ოლიმპიკომდე“ ხმაურობდა ბერგამოს „სტადიო ატური დე იტალია“, სადაც ჩემპიონმა „მილანმა“ კიდევ ერთხელ, ბოლოწამს მოიპოვა სამი ქულა — მსაჯის მეოთხე წამატებულ წუთზე, კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს ტრავმამოშუშებულმა ფილიპო ინძაგიმ თავი მიარტყა, ალექს კალდერონიმ იგი მოიგერია, მაგრამ პირდაპირ ანდრეა პირლოს ჩაუგდო და მანაც ახლოდან, გამარჯვებისა შეაგდო.

„ძნელმა თამაშმა გვიწია. იმ ბოლო წუთზე მოგებაც შეიძლებოდა და წაგებაც. საბედნიეროდ, მოვიგეთ — თქვა მატჩის შემდეგ მილანელთა თავკაცმა კარლო ანჩელოტიმ — თამაშს, მე თუ მკითხავთ, ორივე გუნდი აკონტროლებდა. ორივე კართან იქმნებოდა სახიფათო მომენტები, თუმცა გაყინულმა მოედანმა ორივე გუნდს შეუშალა კიდეც ხელი“.

კახა კალაძეს ამ შეხვედრაში ტრავმის გამო არ უთამაშია.

ხოლო გუშინდელმა დღემ ერთი სენსაციური შედეგის გარდა, მშვიდად ჩაიარა — ჩემპიონთა ლიგის საგზურის მაძიებლებმა, „სამპდორიამ“ და „ინტერმა“ საშინაო შეხვედრები მინიმალური სხვაობით მოიგეს. სენსაციურ შედეგად კი „უდინეზეს“ ზედიზედ მეორე საშინაო მარცხი მივიჩნიეთ, ლუჩანო სპალეტის ბიჭები „სტადიო ფრიულიზე“ ბოლონიელი ალბანელის, იგლი ტარეს მე-4 წუთზე გატანილი გოლით დამარცხდნენ.

**პაატა ძედია**

| № | გუნდი | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მილანი | 27 | 18 | 6 | 3 | 46:17 | 29 | 60 | 13 | 8 | 3 | 2 | 29:12 | 17 | 27 | 14 | 10 | 3 | 1 | 17:5 | 12 | 33 |
| 2 | იუვენტუსი | 27 | 18 | 6 | 3 | 45:16 | 29 | 60 | 13 | 10 | 2 | 1 | 24:7 | 17 | 32 | 14 | 8 | 4 | 2 | 21:9 | 12 | 28 |
| 3 | სამპდორია | 27 | 14 | 5 | 8 | 31:20 | 11 | 47 | 14 | 7 | 3 | 4 | 14:9 | 5 | 24 | 13 | 7 | 2 | 4 | 17:11 | 6 | 23 |
| 4 | ინტერი | 27 | 10 | 16 | 1 | 49:32 | 17 | 46 | 14 | 7 | 6 | 1 | 26:14 | 12 | 27 | 13 | 3 | 10 | 0 | 23:18 | 5 | 19 |
| 5 | პალერმო | 27 | 11 | 10 | 6 | 30:21 | 9 | 43 | 13 | 8 | 3 | 2 | 16:7 | 9 | 27 | 14 | 3 | 7 | 4 | 14:14 | 0 | 16 |
| 6 | უდინეზე | 27 | 12 | 6 | 9 | 36:27 | 9 | 42 | 13 | 6 | 3 | 4 | 19:10 | 9 | 21 | 14 | 6 | 3 | 5 | 17:17 | 0 | 21 |
| 7 | რომა | 27 | 10 | 8 | 9 | 46:40 | 6 | 38 | 13 | 6 | 5 | 2 | 28:18 | 10 | 23 | 14 | 4 | 3 | 7 | 18:22 | -4 | 15 |
| 8 | ბოლონია | 27 | 9 | 9 | 9 | 27:25 | 2 | 36 | 13 | 6 | 4 | 3 | 17:11 | 6 | 22 | 14 | 3 | 5 | 6 | 10:14 | -4 | 14 |
| 9 | ლეჩე | 27 | 9 | 8 | 10 | 46:47 | -1 | 35 | 13 | 7 | 3 | 3 | 25:17 | 8 | 24 | 14 | 2 | 5 | 7 | 21:30 | -9 | 11 |
| 10 | რეჯინა | 27 | 9 | 8 | 10 | 28:31 | -3 | 35 | 14 | 7 | 3 | 4 | 17:15 | 2 | 24 | 13 | 2 | 5 | 6 | 11:16 | -5 | 11 |
| 11 | კალიარი | 27 | 9 | 7 | 11 | 38:45 | -7 | 34 | 13 | 8 | 4 | 1 | 24:14 | 10 | 28 | 14 | 1 | 3 | 10 | 14:31 | -17 | 6 |
| 12 | ლაციო | 27 | 9 | 6 | 12 | 34:37 | -3 | 33 | 14 | 5 | 4 | 5 | 21:19 | 2 | 19 | 13 | 4 | 2 | 7 | 13:18 | -5 | 14 |
| 13 | ლივორნო | 27 | 8 | 8 | 11 | 28:35 | -7 | 32 | 14 | 7 | 3 | 4 | 17:14 | 3 | 24 | 13 | 1 | 5 | 7 | 11:21 | -10 | 8 |
| 14 | მესინა | 27 | 8 | 8 | 11 | 30:40 | -10 | 32 | 13 | 7 | 4 | 2 | 18:14 | 4 | 25 | 14 | 1 | 4 | 9 | 12:26 | -14 | 7 |
| 15 | ფიორენტინა | 27 | 7 | 9 | 11 | 27:35 | -8 | 30 | 14 | 6 | 4 | 4 | 21:16 | 5 | 22 | 13 | 1 | 5 | 7 | 6:19 | -13 | 8 |
| 16 | პარმა | 27 | 7 | 8 | 12 | 30:44 | -14 | 29 | 14 | 6 | 6 | 2 | 21:16 | 5 | 24 | 13 | 1 | 2 | 10 | 9:28 | -19 | 5 |
| 17 | კიევო | 27 | 7 | 7 | 13 | 21:38 | -17 | 28 | 13 | 5 | 4 | 4 | 12:13 | -1 | 19 | 14 | 2 | 3 | 9 | 9:25 | -16 | 9 |
| 18 | ბრეშა | 27 | 7 | 5 | 15 | 21:34 | -13 | 26 | 14 | 3 | 3 | 8 | 8:15 | -7 | 12 | 13 | 4 | 2 | 7 | 13:19 | -6 | 14 |
| 19 | სიენა | 27 | 4 | 13 | 10 | 26:41 | -15 | 25 | 14 | 2 | 8 | 4 | 14:21 | -7 | 14 | 13 | 2 | 5 | 6 | 12:20 | -8 | 11 |
| 20 | ატალანტა | 27 | 3 | 9 | 15 | 23:37 | -14 | 18 | 14 | 3 | 6 | 5 | 14:15 | -1 | 15 | 13 | 0 | 3 | 10 | 9:22 | -13 | 3 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| მონტელა (რომა) | 19 |
| ადრიანო (ინტერი) | 15 |
| შევჩენკო (მილანი) | 14 |
| ჯილარდინო (პარმა) | 14 |
| ესპოზიტო (კალიარი) | 13 |

### XXVIII ტური

12-13 მარტი

| | |
|---|---|
| ლეჩე | ფიორენტინა |
| ლაციო | ინტერი |
| კიევო | იუვენტუსი |
| ბრეშა | ლივორნო |
| რეჯინა | მესინა |
| ატალანტა | პარმა |
| კალიარი | რომა |
| მილანი | სამპდორია |
| ბოლონია | სიენა |
| პალერმო | უდინეზე |

## სერია B

### XXIX ტური

**არეცო 1:1 პესკარა**
1:0 სპინეზი (60), 1:1 გარძონი (70)

**ასკოლი 2:3 ალბინოლეფე**
1:0 ბუკი (8), 2:0 მოტა (20), 2:1 კოლომბო (25), 2:2 დე მარტისი (50ს.კ.), 2:3 ჯოელსონი (80)

**ბარი 0:0 კროტონე**

**კატანია 1:1 ვერონა**
1:0 სერაფინი (44), 1:1 დოსენა (72)

**კატანძარო 1:3 პიაჩენცა**
0:1 პეპე (15), 1:1 კარბონე (20), 1:2 ლუჩენტი (42), 1:3 ბეგეტო (50)

**ემპოლი 5:2 ვენეცია**
1:0 ალმირონი (17), 2:0 ბონეტო (27), 2:1 დ. ანდერსონი (35), 2:2 კ. ესპოზიტო (36), 3:2 ტურატო (39ს.კ.), 4:2 მორო (60), 5:2 საუდატი (75)

**პერუჯა 0:0 მოდენა**

**ტრიესტინა 3:1 ტერნანა**
1:0 ბაუ (3), 2:0 მოსკარდელი (31), 3:0 ბაუ (42), 3:1 რაბიტო (77)

**ტორინო 0:0 სალერნიტანა**

**ვიჩენცა 4:1 ჩეზენა**
0:1 კონფალონე (1), 1:1 გონსალესი (9), 2:1 შვოხი (54), 3:1 ბიონდინი (60), 4:1 ვანოლი (69)

**ტრევიზო — ჯენოაა**
*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჯენოა | 28 | 14 | 11 | 3 | 50:28 | 53 |
| ემპოლი | 29 | 13 | 11 | 5 | 42:24 | 50 |
| პერუჯა | 29 | 13 | 9 | 7 | 34:23 | 48 |
| ტორინო | 29 | 14 | 6 | 9 | 32:24 | 48 |
| ვერონა | 29 | 13 | 7 | 9 | 50:36 | 46 |
| ტრევიზო | 28 | 13 | 6 | 9 | 34:30 | 45 |
| პიაჩენცა | 29 | 13 | 4 | 12 | 33:33 | 43 |
| ასკოლი | 29 | 11 | 9 | 9 | 41:40 | 42 |
| ალბინოლეფე | 29 | 11 | 8 | 10 | 40:34 | 41 |
| ტერნანა | 29 | 10 | 10 | 9 | 36:37 | 40 |
| ვიჩენცა | 29 | 11 | 6 | 12 | 46:47 | 39 |
| კატანია | 29 | 9 | 12 | 8 | 31:34 | 39 |
| ჩეზენა | 29 | 10 | 8 | 11 | 34:40 | 38 |
| ტრიესტინა | 29 | 10 | 6 | 13 | 33:40 | 36 |
| პესკარა | 29 | 8 | 12 | 9 | 30:37 | 36 |
| ბარი | 29 | 8 | 12 | 9 | 27:28 | 35 |
| მოდენა | 29 | 10 | 8 | 11 | 28:29 | 34 |
| სალერნიტანა | 29 | 8 | 9 | 12 | 34:40 | 33 |
| არეცო | 29 | 6 | 14 | 9 | 38:38 | 32 |
| კროტონე | 29 | 7 | 9 | 13 | 28:34 | 27 |
| ვენეცია | 29 | 4 | 10 | 15 | 22:40 | 22 |
| კატანძარო | 29 | 5 | 7 | 17 | 25:52 | 22 |

*„მოდენას“ დაკლებული აქვს 4, „კროტონეს“ — 3 და „ბარის“ — 1 ქულა*

## სერია C1/A

### XXVII ტური

კომო — პიზა 0:0; კრემონეზე — აკირეალე 3:2; ფროზინონე — პრატო 3:1; გროსეტო — მანტოვა 2:2; ლუკეზე — პრო პატრია 1:1; ლუმეცანე — სპეცია 1:0; ნოვარა — ფ. ანდრია 1:0; პავია — ს. ტორესი 2:0; პისტოიეზე — სანჯოვანეზე 2:1

## სერია C1/B

### XXVII ტური

ჟულიანოვა — ტერამო 2:2; აველინო — ბენევენტო 1:2; კიეტი — ნაპოლი 0:1; ფოჯა — სორა 1:1; მარტინა — ლანჩანო 1:0; პადოვა — სპალ 2:2; სამბენედეტეზე — რეჯანა 1:0; პეზარო — ჩიტადელა 0:2. *რიმინი — ფერმანა დღეს გაიმართება*

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი. XXVII ტური

**ოსასუნა 0:1 ბარსელონა**

0:1 ეტოო (40)

ოსასუნა: ელია, კლავერო, კუელიარი, კრუჩაგა, ექსპოზიტო, ორტისი (ვალდო 54; დავიდ ლოპესი 68), პუნიალი, მუნიოსი, დელპორტი, ჩენგე მორალესი, ალოიზი (ვებო 68)
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
ბარსელონა: ვ. ვალდესი, ბელეტი, პუიოლი, ოლეგერი, სილვინიო, ხავი, მარკესი (ხერარდი 46), ინიესტა, დეკო, რონალდინიო, ეტოო
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
გაფრთხილება: დელპორტი, ორტისი, მარკესი, კლავერო, ხავი, პუიოლი
მსაჯი: ფერნანდეს ბორბალანი
18 000 მაყურებელი

**ვალენსია 1:1 რეალი**

1:0 აიმარი (13), 1:1 რონალდო (27)

ვალენსია: კანისარესი, ფ. აურელიო, რ. აიალა, მარჩენა, კარბონი, ალბელდა, ბარახა, სისოკო, რუფეტე (ხისკო 85), აიმარი, მისტა (დი ვაიო 59)
მწვრთნელი: ანტონიო ლოპესი
რეალი: კასილიასი, რაულ ბრავო, ი. ელგერა, ვ. სამუელი, რობერტო კარლოსი, ფიგუ, ბექემი (პორტილიო 77), გრავესენი, სოლარი (სელადესი 77), გუტი (ბორხა 84), რონალდო
მწვრთნელი: ვანდერლეი ლუშემბურგო
გაფრთხილება: გუტი, მისტა, რაულ ბრავო, ბექემი, კარბონი
მსაჯი: პუენტეს ლეირა
50 000 მაყურებელი

**ნუმანსია 1:1 ვილიარეალი**

0:1 რიკელმე (27), 1:1 მერინო (60)

ნუმანსია: ხუანმა, გრაფი (მიგელ პერესი 46), ოჩოა, ველასკო (ტევენეტი 58), ტარანტინო, ხუან პაბლო, მერინო, ხუანლუ, პალასიოსი, როსი (პაბლო სანსი 46), მიგელი
მწვრთნელი: მაქსიმო ერნანდესი
ვილიარეალი: რეინა, გონსალო, არუაბარენა, ხავი ვენტა, პენია, სანტი კასორლა (ექტორ ფონტი 67), ხოსიკო, რიკელმე, მარკოს სენა, ფორლანი (გიარე 83), ხოსე მარი (ფიგეროა 64)
მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი
გაფრთხილება: ხუანმა
მსაჯი: დაუდენ იბანიესი
7 000 მაყურებელი

**ატლეტიკო 3:0 სევილია**

1:0 სალვა (16), 2:0 ტორესი (37), 3:0 ა. ლოპესი (43)

ატლეტიკო: ლეო ფრანკო, ველასკო, ა. ლოპესი, გარსია კალვო, სერხი, პაბლო, კოლსა, გრონკიაერი, ლუქსენი (მარსელო სოსა 74), ფ. ტორესი (ბრაულიო 86), სალვა
მწვრთნელი: სეზარ ფერანდო
სევილია: ესტებანი, ხავი ნავარო, დავიდ კასტედო, სერხიო რამოსი, პაბლო ალფარო, ბაპტისტა, რენატო (კასკერო 46), ხესუსი (ანტონიო ლოპესი 74), ხორდი, დარიო სილვა, ნ. არანდა (კეპა 54)
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
გაფრთხილება: ტორესი, გარსია კალვო, ხორდი, გრონკიაერი, სალვა, სერხიო რამოსი, სალვა, სერხი
გაძევება: სალვა (79)
მსაჯი: მორენო დელგადო
35 000 მაყურებელი

**სარაგოსა 1:0 რასინგი**

1:0 კაპი (58)

სარაგოსა: ლუისი, არანსაბალი, ალვარო, გ. მილიტო, კაპი (კამაჩო 80), გალეტი, სავიო, პონციო, ოსკარი (ჩანი 76), სორიანო (კუარტერო 68), ვილა
მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი
რასინგი: აუატე, ორიოლი (პ. სიერა 61), კასარი, აიოზი, მორატიონი, რეგრაგი, მორანი, ანდერსონი (ტორადო 68), ხავი გერერო, არისმენდი (ხუან ვალე 61), ბენაიუნი
მწვრთნელი: ნანდო იოსუ
გაფრთხილება: მილიტო, მორატიონი, ალვარო, სორიანო, აიოზი, ტორადო
მსაჯი: ტურიენსო ალვარესი
27 000 მაყურებელი

# რძეში დამდნარი ნატეხი

## რეალი გვიმადლოდეს, რომ ცოცხალია



REUTERS ვალენსიიდან

ვალენსია — რეალი. პაბლო აიმარი მადრიდელ თომას გრავესენს ბევრჯერ გაექცა

**მალიორკა 3:2 სოსიედადი**

0:1 არანბურუ (6), 1:1 რომეო (15), 1:2 გარი ურანგა (16), 2:2 ლუის გარსია (20), 3:2 რომეო (54)

მალიორკა: მოია, ივან რამისი, პოლი, ბალესტეროსი, დე ლოს სანტოსი, კამპანო, არანგო, ფელიპე (დავიდ კორტესი 85), ლუის გარსია, ტუნი (პერეირა 70), რომეო (კორეა 77)
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
სოსიედადი: რიესგო, როსატო, ლუის ალბერტო, ლაბაკა, ლოპეს რეკარტე, კარპინი, არანბურუ, მიკელ ალონსო (ბარკერო 77), პრიეტო (მლადენოვიჩი 70), გარი ურანგა, დე პაულა
მწვრთნელი: ხოსე ამორორტუ
გაფრთხილება: როსატო
მსაჯი: უნდიანო მალენკო
10 000 მაყურებელი

**ესპანიოლი 2:1 ლევანტე**

0:1 სერხიო გარსია (23), 1:1 ამავისკა (28), 2:1 მაქსი როდრიგესი (65)

ესპანიოლი: კამენი, იბარა, დავიდ გარსია, ლოპო, სოლდევილა, იტო, ფრედსონი (კორო 62), ამავისკა (ოსკარ სერანო 73), მაქსი როდრიგესი (მორალესი 75), დანი, ხონათანი
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
ლევანტე: მორა, ალექსისი, ხესულე, დესკარგა, კულებრასი, კამაჩო, ეტიენი (ხუანმა 34), რივერა, ხოფრე (კონგო 76), სერხიო გარსია, მანჩევი (რეგი 46)
მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი
გაფრთხილება: მანჩევი, ლოპო
მსაჯი: პინო სამორანო
14 000 მაყურებელი

**ბეტისი 2:2 ხეტაფე**

0:1 ვივარ დორადო (15), 1:1 მ. რივასი (28), 1:2 მიგელ პერნია (48), 2:2 ასუნსაო (54)

ბეტისი: დობლასი, ლუის ფერნანდესი, ხუანიტო, მ. რივასი, მელი, არზუ (ბენხამინი 78), ხოაკინი, მ. ასუნსაო, პაბლო ნინიო (ისრაელი 65), რ. ოლივეირა, ედუ
მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი
ხეტაფე: არაგონესესი, იანგუასი, მიგელ პერნია, ნანო (კომე 63), ბელენგერი, დ. რივასი, გაბი, ვივარ დორადო, მარიო კოტელო, მიჩელი (კრაიოვიანუ 75), ასენი
მწვრთნელი: კიკე ფლორესი
გაფრთხილება: იანგუასი, ბელენგერი, მარიო კოტელო, ვივარ დორადო, ნანო
მსაჯი: როდრიგეს სანტიაგო
25 000 მაყურებელი

**ბილბაო 3:1 ალბასეტე**

0:1 რუბენ კასტრო (13), 1:1 ესკერო (41), 2:1 ლაკრუსი (71), 3:1 იულენ გერერო (89)

ბილბაო: არანსუბია, კასასი (იულენ გერერო 46), ლაკრუსი, პრიეტო, ორბაისი, ხავი გონსალესი, ირაოლა, გურპეგი, ესკერო, ურსაისი (ლორენტე 61), ეჩებერია (სოლაბარიეტა 83)
მწვრთნელი: ერნესტო ვალვერდე
ალბასეტე: ვალბუენა, მინგო, გასპარი, სანტი (ოსკარ მონტიელი 64), პაკო პენია, ვიაუდი, დავიდ სანჩესი (მარკ გონსალესი 53), ხ. რედონდო, პაბლო (მიკელი 75), რუბენ კასტრო, პაჩეკო
მწვრთნელი: მარტინ მონტეაგუდო
გაფრთხილება: ვიაუდი, რედონდო, გასპარი, ხავი გონსალესი, პაკო პენია, მინგო, გურპეგი, ლაკრუსი, იულენ გერერო
მსაჯი: რუბინოს პერესი
25 000 მაყურებელი

**დეპორტივო 1:0 მალაგა**

1:0 ტრისტანი (45პ)

დეპორტივო: მუნუა, რომერო, ჟორჟე ანდრადე, კოლოჩინი, მაურო სილვა, სერხიო, სკალონი, ვიქტორი (მუნიტისი 77), ვალერონი (დუშერი 83), ტრისტანი (ფრანი 66), ლუკე
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
მალაგა: არნაუ, ხუანიტო, ვალკარსე, ფერნანდო სანსი, კ. ნავასი, ხერარდო, მ. რომერო (ამოროზო 74), დუდა, მიგელ ანხელი (ედგარი 77), ხუან როდრიგესი, ფერნანდო (ვანჩოპე 75)
მწვრთნელი: ანტონიო ტაპია
გაფრთხილება: ნავასი, ვალერონი, მ. რომერო, ვიქტორი, დუშერი, ნავასი, კოლოჩინი
გაძევება: ნავასი (88)
მსაჯი: ველასკო კარბალიო
28 000 მაყურებელი

**ლიდერ** „ბარსელონასა" და მადევარ „რეალს" შორის ქულათა სხვაობა შაბათს ისევ რვამდე გაიზარდა.

ეს მას შემდეგ მოხდა, როცა ვანდერლეი ლუშემბურგოს შეგირდებმა „მესტალიაზე" „ვალენსიასთან" უშეღავათო ომში ოღონ ფრე გაახერხეს, ხოლო ფრანკ რაიკარდის გუნდმა პამპლონაში, „ოსასუნა" სამუელ ეტოოს ლამაზი გოლით დაჯაბნა.

„მესტალიაზე" შეხვედრა მასპინძელთა აქტიურობით დაიწყო. დამხვდურთა არგენტინელმა პაბლო აიმარმა კი კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ თავისი გუნდის აღიარებული ლიდერია. ანგარიშის გამხსნელი გოლიც სწორედ მან შეაგდო — მიგელ მისტასთან გაითამაშა კედელი და იკერ კასილიასს საჯარიმოს მისადგომებიდან აულებელი დაურტყა.

ეს იყო და „რეალიც" გამოფხიზლდა, მისმა მთავარმეგოლე რონალდომ ივარგა. მან ხოსე მარია გუტის კარგი პასი შეირგო, დავიდ ალბელდა და მეკარე კანისარესი პატარა ბავშვებივით გააცურა და ბურთიც ცარიელ კარში კარში შეაგორა — 1:1.

შესვენების მერე მისტამ გაიბრწყინა, მაგრამ ვალენსიელის დარტყმული კასილიასმა დიდი გაჭირვებით მოიგერია. შემდეგ იყო აიმარის ასევე უშედეგოდ გასროლილი და რონალდოს საპასუხო მწვავე მუქარა, რომელიც სანტიაგო კანისარესმა უკუაგდო.

„რეალი" გვიმადლოდეს, „ცოცხალმა" რომ გაგვასწრო. სამწუხაროდ, შეხვედრის მიწურულს ჩემი ფეხბურთელები დაიღალნენ და ეს 1:1-იც ამის შედეგი გახლავთ. მიუხედავად იმისა, რომ ლუშემბურგის [illegible] გუნდი ჰყავს, თამაშით [illegible] „ვალენსია" იმსახურებდა — განაცხადა ანტონიო ლოპესმა მატჩის შემდეგ.

„მთავარია, რომ არ წავაგეთ, ამ არენაზე ხომ ფრე ან მარცხი ყველა გუნდისთვის ჩვეული ამბავია. თუმცა რონის გოლის მერე მაინც დარწმუნებული ვიყავი, რომ „მესტალიიდან" სამ ქულას წავიღებდით" — ეს კი გულდაწყვეტილი ვანდერლეი ლუშემბურგოს სიტყვებია.

„ბარსამ" „ოსასუნა" რძეში ჩავდებული შაქრის ნატეხივით დაადნოო — წერს კვირა დილით გამოსული მადრიდული „მარკა".

პირველი სახიფათო მომენტები ნავარიელებს ჰქონდათ — ჯერ ალოიზისა და შემდეგ ორტისის გასროლები ვიქტორ ვალდესმა უვნებელყო.

მაგრამ, მერე „ბარსელონა" გააქტიურდა — ინიესტა, ხავი, რონალდინიო და ძმანი მისნი ისე შეუხვდნენ პამპლონელებს, თითქოს მოწყენილები. მაგრამ რად გინდა, ნავარიელთა გოლკიპერ ელიას ვერაფერი მოუხერხეს.

ელიამ თითქმის ყველაფერი აიღო, შორიდან თუ ახლოდან დარტყმები. ერთხელ გამოვარდა მხოლოდ უშნოდ კარიდან და ისიც შეცდომად დაუჯდა — მეორმოცე წუთზე ხიხუელ ეტოოს ვერ გაუმკლავდა.

სეზარ ფერნანდოს „ატლეტიკომ" ამ ტურამდე მესამეადგილოსან „სევილიას" უმასპინძლა და 3:0 გაანადგურა. პირველი ბურთი სალვა ბალესტამ ანტონიო ლოპესის კარგი პასის მერე ლაზათიანი თავკვრით შეაგდო, მერე კი თავი ფერნანდო ტორესმა და ხსენებულმა ლოპესმა გამოიჩინეს. „ამ მატჩმა ნათლად ცხადყო, რომ „ატლეტიკოს" ევროსაგზურისთვის ბრძოლა შეუძლია" — თქვა ნამატჩევს მადრიდელთა მწვრთნელმა.

**ლადო ხომერიკი**

|  | სულ |  |  |  |  |  |  | შინ |  |  |  |  |  |  | სტუმრად |  |  |  |  |  |  |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ბარსელონა | 27 | 19 | 5 | 3 | 51:18 | 33 | 62 | 14 | 11 | 2 | 1 | 28:6 | 22 | 35 | 13 | 8 | 3 | 2 | 23:12 | 11 | 27 |
| 2 რეალი | 27 | 17 | 3 | 7 | 47:23 | 24 | 54 | 14 | 11 | 0 | 3 | 31:9 | 22 | 33 | 13 | 6 | 3 | 4 | 16:14 | 2 | 21 |
| 3 ესპანიოლი | 27 | 13 | 6 | 8 | 34:29 | 5 | 45 | 13 | 9 | 3 | 1 | 21:10 | 11 | 30 | 14 | 4 | 3 | 7 | 13:19 | -6 | 15 |
| 4 ვილიარეალი | 27 | 12 | 8 | 7 | 44:25 | 19 | 44 | 13 | 9 | 3 | 1 | 25:7 | 18 | 30 | 14 | 3 | 5 | 6 | 19:18 | 1 | 14 |
| 5 ვალენსია | 27 | 11 | 10 | 6 | 41:28 | 13 | 43 | 14 | 8 | 4 | 2 | 23:12 | 11 | 28 | 13 | 3 | 6 | 4 | 18:16 | 2 | 15 |
| 6 სევილია | 27 | 12 | 7 | 8 | 32:32 | 0 | 43 | 13 | 8 | 4 | 1 | 20:13 | 7 | 28 | 14 | 4 | 3 | 7 | 12:19 | -7 | 15 |
| 7 ბეტისი | 27 | 11 | 9 | 7 | 43:35 | 8 | 42 | 14 | 9 | 4 | 1 | 26:14 | 12 | 31 | 13 | 2 | 5 | 6 | 17:21 | -4 | 11 |
| 8 ატლეტიკო | 27 | 11 | 6 | 10 | 31:25 | 6 | 39 | 13 | 9 | 3 | 1 | 19:8 | 11 | 30 | 14 | 2 | 3 | 9 | 12:17 | -5 | 9 |
| 9 დეპორტივო | 27 | 9 | 12 | 6 | 37:35 | 2 | 39 | 14 | 5 | 6 | 3 | 21:20 | 1 | 21 | 13 | 4 | 6 | 3 | 16:15 | 1 | 18 |
| 10 ბილბაო | 26 | 10 | 8 | 8 | 42:34 | 8 | 38 | 13 | 8 | 4 | 1 | 29:16 | 13 | 28 | 13 | 2 | 4 | 7 | 13:18 | -5 | 10 |
| 11 სარაგოსა | 27 | 10 | 5 | 12 | 32:40 | -8 | 35 | 13 | 9 | 0 | 4 | 21:16 | 5 | 27 | 14 | 1 | 5 | 8 | 11:24 | -13 | 8 |
| 12 მალაგა | 27 | 10 | 4 | 13 | 26:34 | -8 | 34 | 14 | 7 | 3 | 4 | 15:15 | 0 | 24 | 13 | 3 | 1 | 9 | 11:19 | -8 | 10 |
| 13 სოსიედადი | 27 | 9 | 5 | 13 | 34:39 | -5 | 32 | 13 | 6 | 3 | 4 | 15:18 | -3 | 21 | 14 | 3 | 2 | 9 | 19:21 | -2 | 11 |
| 14 ოსასუნა | 27 | 8 | 7 | 12 | 36:47 | -11 | 31 | 14 | 6 | 4 | 4 | 22:20 | 2 | 22 | 13 | 2 | 3 | 8 | 14:27 | -13 | 9 |
| 15 ლევანტე | 27 | 8 | 7 | 12 | 29:40 | -11 | 31 | 13 | 5 | 4 | 4 | 14:15 | -1 | 19 | 14 | 3 | 3 | 8 | 15:25 | -10 | 12 |
| 16 ხეტაფე | 26 | 7 | 8 | 11 | 25:30 | -5 | 29 | 14 | 7 | 3 | 4 | 17:11 | 6 | 24 | 12 | 0 | 5 | 7 | 8:19 | -11 | 5 |
| 17 რასინგი | 27 | 7 | 7 | 13 | 26:40 | -14 | 28 | 13 | 5 | 5 | 3 | 17:16 | 1 | 20 | 14 | 2 | 2 | 10 | 9:24 | -15 | 8 |
| 18 ალბასეტე | 27 | 5 | 9 | 13 | 25:40 | -15 | 24 | 14 | 3 | 6 | 5 | 10:14 | -4 | 15 | 13 | 2 | 3 | 8 | 15:26 | -11 | 9 |
| 19 მალიორკა | 27 | 6 | 6 | 15 | 28:45 | -17 | 24 | 13 | 4 | 3 | 6 | 20:22 | -2 | 15 | 14 | 2 | 3 | 9 | 8:23 | -15 | 9 |
| 20 ნუმანსია | 27 | 4 | 8 | 15 | 18:42 | -24 | 20 | 13 | 3 | 6 | 4 | 11:14 | -3 | 15 | 14 | 1 | 2 | 11 | 7:28 | -21 | 5 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ეტოო (ბარსელონა) | 18 |
| ფორლანი (ვილიარეალი) | 16 |
| რ. ოლივეირა (ბეტისი) | 15 |
| ტორესი (ატლეტიკო) | 14 |
| ნიჰათი (სოსიედადი) | 13 |
| ბაპტისტა (სევილია) | 13 |

### XXVIII ტური

12-13 მარტი

| | | |
|---|---|---|
| ბარსელონა | : | ბილბაო |
| მალაგა | : | ბეტისი |
| ალბასეტე | : | დეპორტივო |
| ვილიარეალი | : | ესპანიოლი |
| ხეტაფე | : | რეალი |
| ატლეტიკო | : | ვალენსია |
| სევილია | : | სარაგოსა |
| რასინგი | : | მალიორკა |
| ლევანტე | : | ოსასუნა |
| სოსიედადი | : | ნუმანსია |

### სეგუნდადივიზიონი

XXVII ტური

**უელვა 1:1 კადისი**

0:1 ენრიკე (21), 1:1 რამონი (33)

**ტერასა 0:0 ტენერიფე**

**ალავესი 0:3 სელტა**

0:1, 0:2, 0:3 ხანდრო (11, 69, 80)

**მურსია 1:0 ფეროლი**

1:0 რიჩი (13)

**სპორტინგი 2:0 მალაგა B**

1:0 ბორეგერო (4), 2:0 კალანდრია (16)

**ხიმნასტიკი 2:0 სალამანკა**

1:0 მ. მარტინესი (31), 2:0 აბელი (73)

**ალმერია 1:1 პოლი ეხიდო**

0:1 ვუჩკო (64), 1:1 ლუნა (68)

**ლეიდა 1:2 კორდობა**

1:0 სერხიო (1), 1:1 ვილა (54), 1:2 კრისტიან ალვარესი (85)

**ეიბარი 5:2 ელჩე**

1:0 კიკე მატეო (5), 2:0 ლორენტე (31), 3:0 კარმონა (34), 4:0 სილვა (63), 5:0 კორედოირა (65), 5:1 ჩიკი (76), 5:2 ასკოიტია (80)

**ხერესი 0:0 ვალიადოლიდი**

**პონტევედრა 2:2 სიუდად მურსია**

0:1 ლუსიანო (8), 0:2 გუიზა (15), 1:2 კაპდევილა (21), 2:2 ხავი როდრიგო (57)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტა | 27 | 14 | 10 | 3 | 37:21 | 52 |
| კადისი | 27 | 14 | 7 | 6 | 42:20 | 49 |
| ეიბარი | 26 | 14 | 6 | 6 | 36:25 | 48 |
| ელჩე | 27 | 13 | 6 | 8 | 37:30 | 45 |
| უელვა | 27 | 12 | 8 | 7 | 28:18 | 44 |
| ვალიადოლიდი | 27 | 12 | 8 | 7 | 38:31 | 44 |
| ხერესი | 27 | 11 | 10 | 6 | 26:21 | 43 |
| ალავესი | 27 | 12 | 6 | 9 | 38:34 | 42 |
| ხიმნასტიკი | 27 | 12 | 6 | 9 | 28:24 | 42 |
| სპორტინგი | 27 | 10 | 8 | 9 | 28:24 | 38 |
| ტენერიფე | 27 | 8 | 12 | 7 | 25:29 | 36 |
| პოლი ეხიდო | 27 | 8 | 11 | 8 | 27:26 | 35 |
| ლეიდა | 27 | 10 | 5 | 12 | 31:34 | 35 |
| ფეროლი | 27 | 8 | 10 | 9 | 38:32 | 34 |
| მალაგა B | 27 | 8 | 8 | 11 | 21:31 | 32 |
| ტერასა | 27 | 8 | 6 | 13 | 30:37 | 30 |
| სალამანკა | 27 | 8 | 5 | 14 | 34:40 | 29 |
| ალმერია | 27 | 7 | 8 | 12 | 23:30 | 29 |
| მურსია | 27 | 8 | 5 | 14 | 21:38 | 29 |
| სიუდად მურსია | 27 | 5 | 12 | 10 | 31:41 | 27 |
| კორდობა | 26 | 5 | 5 | 16 | 16:31 | 20 |
| პონტევედრა | 27 | 3 | 10 | 14 | 24:42 | 19 |




მორის როსის „რეინჯერსმა“ მდევარი „სელტიკი“ ოთხი ქულით დაიახლოვა

# შაბათის 90 წუთი
## ქარის მოტანილს ქარი წაიღებს

### შოტლანდია

**პრემიერლიგა. XXIX ტური**

**რეინჯერსი 1:1 ინვერნესი**
1:0 ბ. ფერგიუსონი (57), 1:1 პრანტი (90)

**ჰიბერნიანი 1:3 სელტიკი**
0:1 ს. პეტროვი (5), 0:2 ჰართსონი (31), 0:3 ბელამი (69), 1:3 ბიუზელინი (90)

**დანდი 0:1 ლივინგსტონი**
0:1 ობრაიენი (49)

**დანფერმლაინი 1:1 ჰართსი**
1:0 უილსონი (32), 1:1 ჰარტლი (62პ)

**კილმარნოკი 0:1 აბერდინი**
0:1 მაკნაფტონი (80)

**მოზერუელი 2:0 დანდი იუნ.**
1:0 პარტრიჯი (4), 2:0 მაკდონალდი (47)

**გასულ** ოთხშაბათს, „რეინჯერსმა“ გაჭირვებით მოუგო „ჰართსს“ ბოლო წუთზე დანიშნული საეჭვო თერთმეტმეტრიანით. გახსომებათ, იმ მომენტს ბევრი მითქმა-მოთქმა და აურზაური მოჰყვა — გლაზგოელებს განგებ მოაგებინეს და მსაჯები ყველანაირად ეხმარებიანო.

შაბათის 90 წუთი „ჩაფრებისთვის“ „ინვერნესთან“ შეხვედრაშიც დაძაბული გამოდგა, მაგრამ ამ შემთხვევაში საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წამით ადრე ბურთი რონალდ ვატერეუსის კარში აღმოჩნდა.

„რეინჯერსმა“ ისევ ქართველების გარეშე ითამაშა. გარდა ამისა, „ჰართსთან“ მიღებული წითელი ბარათის გამო არ იყო გუნდის საუკეთესო ბომბარდირი დადო პრსო.

ალექს მაკლიშმა შეტევაში ნაჩო ნოვო და სტივენ ტომპსონი გაამწესა, ხოლო მათ უკან ბოჟან ჯორდიჩს მიუჩინა ადგილი. 53-ე წუთზე კი ეს უკანასკნელი ბობ მალკოლმით შეცვალა. თუმც, პრსოს არყოფნა „ჩაფრებს“ აშკარად დაეტყოთ.

მატჩის პირველი საგოლე მომენტი სტუმრებმა შექმნეს — მე-19 წუთზე ხუანხოს ჩინებული შანსი ჰქონდა, მაგრამ ვერ ივარგა. ცოტა ხანში თავის გამოჩენის შესაძლებლობა „ინვერნესის“ კაპიტანმა სტიუარტ გოლაბეკმაც გაანიავა.

ამის შემდეგ ინიციატივა მთლიანად „რეინჯერსის“ ხელში გადავიდა. თუმც გლაზგოელებმა მიზნის მიღწევა მხოლოდ ერთხელ შეძლეს: 57-ე წუთზე ფერნანდო რიკსენის შორეული პასი ბარი ფერგიუსონმა მიიღო და მშვენიერი დარტყმით ბურთი ბრაუნის კარში ჩააჭედა.

ეს ფერგიუსონის პირველი გოლი იყო „აიბროქსზე“ დაბრუნების შემდეგ და გლაზგოელთა ქომაგებიც ორმაგი ზეიმისთვის ემზადებოდნენ, მაგრამ...

მსაჯის მიერ დამატებულ წამებზე გრეგორი ვინალმა არც ისე ხეირიანად მოიგერია ბურთი, რომელიც შეცვლაზე შესულ ბრაიან პრატონს მიუვიდა და მანაც თავისი შანსი ხელიდან არ გაუშვა. საინტერესოა, რომ პრატონი „რეინჯერსის“ მოსისხლე მტრის, „სელტიკის“ ყოფილი ფეხბურთელია.

„ეს კიდევ ერთი ნათელი მაგალითია იმისა, რომ გარანტირებული არაფერია და ბოლო წამამდე ბრძოლაა საჭირო. უკმაყოფილო ვარ პირველ ტაიმში ჩვენი თამაშით. ძალიან ნელა ვმოქმედებდით. იმედია, ეს მოთამაშეებისთვის კარგი გაკვეთილი იქნება“ — აღნიშნა მაკლიშმა.

ხოლო „ინვერნესის“ თავკაცი კრეიგ ბრიუსტერი, ცხადია, გახარებული იყო: „აიბროქსიდან“ ქულის წაღება ყველასთვის საამაყოა. თანაც ბოლო წუთზე გავიტანეთ. ამას ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა. თუმც საკმაოდ კარგი თამაში ვაჩვენეთ და შედეგს უსამართლოს ვერავინ დაარქმევს“.

გუშინ კი „სელტიკმაც“ მოიგო — მარტინ ონილის ბიჭებმა სტილიან პეტროვის, ჯონ ჰართსონის და კრეიგ ბელამის გოლებით სტუმრად „ჰიბერნიანი“ დაამარცხეს 3:1. მასპინძლებმა ერთი საპასუხო თამაშის მიწურულს შეაგდეს, თავი გორდონ ბიუზელინმა გამოიჩინა.

**გიორგი ქაქაბაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 29 | 22 | 6 | 1 | 61:14 | 72 |
| სელტიკი | 27 | 22 | 2 | 3 | 59:22 | 68 |
| ჰიბერნიანი | 28 | 14 | 5 | 9 | 47:39 | 47 |
| აბერდინი | 28 | 13 | 6 | 9 | 30:26 | 45 |
| ჰართსი | 28 | 11 | 9 | 8 | 32:26 | 42 |
| მოზერუელი | 28 | 11 | 5 | 12 | 34:34 | 38 |
| კილმარნოკი | 29 | 10 | 2 | 17 | 35:50 | 32 |
| ინვერნესი | 27 | 7 | 9 | 11 | 32:37 | 30 |
| დანფერმლაინი | 28 | 6 | 8 | 14 | 25:40 | 26 |
| დანდი | 28 | 6 | 6 | 16 | 28:54 | 24 |
| დანდი იუნ. | 28 | 4 | 10 | 14 | 29:45 | 22 |
| ლივინგსტონი | 28 | 6 | 4 | 18 | 23:48 | 22 |

**I დივიზიონი. XXVII ტური**

ფოლკირკი — პარტიკი 2:1; ქუინი — ერდრი 0:0; როსი — რეითი 2:0; სენტ ჯონსტონი — ჰამილტონი 0:2; სენტ მირენი — კლაიდი 0:0

**II დივიზიონი. XXVII ტური**

არბროთი — მორტონი 0:1; ეარი — ალოა 1:1; ბრეჩინი — სტრანრარი 2:1; დამბარტონი — ბერვიკი 1:1; სტირლინგი — ფორფარი 3:2

**III დივიზიონი. XXVII ტური**

ალბიონი — მონტროუზი 1:2; კოუდენბითი — გრეტნა 0:1; ისტ ფაიფი — პიტერჰედი 1:2; ელგინი — ისტ სტირლინგი 0:0; ქუინზ პარკი — სტენჰაუზმური 0:0

# ოსერის საქმე დახურულია
## ლიონს უნდა ბალახი...

### საფრანგეთი

**I დივიზიონი. XXVIII ტური**

**ლანსი 3:1 ოსერი**
1:0 ტომერი (2), 2:0, 3:0 უტაკა (76, 82), 3:1 ა. გონსალესი (88)

**პსჟ 1:0 ნანტი**
1:0 პაულეტა (87)

**სტრასბური 1:0 აიაჩო**
1:0 დევო (35)

**ისტრი 0:1 ბორდო**
0:1 უჩე (80)

**ბასტია 3:1 ლილი**
0:1 დებუში (19), 1:1 ი. ბაჯი (22), 2:1 ზიანი (27), 3:1 როში (41)

**მონაკო 0:0 მეცი**

**ტულუზი 1:0 ნიცა**
1:0 დ. მორეირა (35)

**რენი 3:0 სოშო**
1:0 ა. ფრეი (4), 2:0 კალსტრიომი (13), 3:0 ა. ფრეი (89)

**კაენი 1:0 ლიონი**
1:0 მაზური (72)

**სენტ ეტიენი 2:0 მარსელი**
1:0 ფეინდუნო (37პ), 2:0 პელებუიკი (83)




მონაკო — მეცი. ემანუელ ადებაიორმა (№13) და მისმა თანაგუნდელებმა სტუმრებს ვერაფერი მოუხერხეს

REUTERS ფოტო

**საფრანგეთის** თასზე მეორედივიზიონელ „კლერმონთან“ მარცხს „ლიონმა“ ჩემპიონატშიც მიაყოლა წაგება. პოლ ლე გუენის გუნდმა სამი ქულა სტუმრად „კაენს“ დაუტოვა, რომელიც ლიგიდან დაქვეითების ერთ-ერთი კანდიდატია და თუ გავარდა, „ლიონთან“ მოგება ტკბილ მოგონებად მაინც დარჩება.

დამარცხებულმა კლუბმა ქვეყნის ფეხბურთის პროფესიულ ლიგაში საჩივარი აფრინა მასპინძელთა მოედნის უხარისხობის გამო. „ჩვენ შედეგის გაუქმებას არ ვითხოვთ, მხოლოდ გვსურს, რომ სამომავლოდ პროფლიგამ ეს გაითვალისწინოს და მინდვრის საფარი ნებისმიერი მატჩისთვის სათანადოდ მომზადებული იყოს“ — განაცხადა „ლიონის“ აღმასრულებელმა მენეჯერმა მარიო ფასიოლიმ.

სტუმართაგან დაწუნებულ მოედანზე „კაენის“ ფორვარდი სებასტიან მაზური ორ მცველს გაექცა და გრეგორი კუპეს ასე გაუტანა ერთადერთი და გამარჯვების მომტანი გოლი. მსაჯმა შეხვედრას მხოლოდ ერთი წუთი დაამატა, რამაც პოლ ლე გუენი გააშმაგა, ხოლო „კაენმა“ ოქტომბრის შემდეგ პირველი საშინაო მატჩი მოიგო.

„თუ ვერ გაიტან, ვერ მოიგებ— თქვა „მონაკოს“ მწვრთნელმა დიდიე დეშანმა „მეცთან“ უგოლო ფრის შემდეგ — ჩვენ გვქონდა საგოლე მომენტები, მაგრამ გავანიავეთ. შეიძლება უიღბლობაზე ვისაუბროთ, თუმც საბოლოო შედეგს ეს ველარ შეცვლის“.

მოკლედ, საგრძნობი უპირატესობის მიუხედავად, „მონიკო“ „მეცს“ უგოლოდ დაუზავდა და მესამე ადგილზე გადასვლის შანსი დაკარგა.

თასზე „გრენობლთან“ დამარცხებული „ლილი“ კორსიკაზე „ბასტიას“ ეწვია და მეტოქესთან შედარებით დაღლილი ჩანდა, რაც განსაკუთრებით პირველი ტაიმის ბოლოს დაეტყო და მიჯრით სამი გოლი გაუშვა. არადა, მეთიუ დებუშის გოლით იგებდა. „ლილმა“ „ლიონთან“ მიახლოების შანსი ვერ გამოიყენა, „ბასტიას“ მწვრთნელმა ფრანსუა ჩიჩოლინიმ კი ამ გამარჯვებით პოსტი შეინარჩუნა.

„რენის“ შვეიცარიელმა მეგოლე ალექსანდრ ფრეიმ „სოშოს“ მეოთხე წუთზევე თავური დარტყმით გაუტანა, ხოლო შვედმა კიმ კალსტრიომმა დაახლოებით 25 მეტრიდან გასროლილი ბურთი ააფართხალა სტუმართა კარში.

მეორე ტაიმის დასაწყისში სტუმარმა ჟერემი მენეზმა და მასპინძელთა კაპიტანმა სირილ ჟენეშამმა იჩხუბეს, მსაჯმაც ორივე გააძევა. 71-ე წუთზე სოშოელმა ოუმარ დაფემ ბურთი ხელით გააჩერა და ისიც მენეზის გზას გაუყენეს. ცხრაკაცა სტუმრებმა ფრეისგან მესამე გოლი მალევე გაუშვეს და შვეიცარიელი ახლა ლიგის საუკეთესო ბომბარდირია.

პარიზში პსჟ-მ პედრუ პაულეტას კინკილა გოლით იმარჯვა. თამაში ფრისკენ მიექანებოდა, მაგრამ მასპინძელთა მეკარის წამოწყებული შეტევა შეცვლაზე ოთხი წუთის შესულმა ტეიშეირამ გააგრძელა — ბურთი პაულეტას დაუგდო და პორტუგალიელმაც მიკაელ ლანდრო უშანსოდ დატოვა. არადა, „ნანტის“ კარის დარაჯმა მანამდე ორჯერ ბრწყინვალედ ითამაშა — ჯერ ჟერომ როტენს აული, შემდეგ კი სერგეი სემაკს.

ლანსელმა ოლივიე ტომერმა ოსერელებს გამარჯობის თქმა არ აცალა და ჟერომ ლერუას პასით მეორე წუთზევე გახსნა ანგარიში. სტუმრებს ტრავმირებული ბენუა შეირუ აკლდათ და ნახევარდაცვაში თამაში ამიტომაც ვერ ააწყვეს. მეორე ტაიმში შეცვლაზე შესულმა ჯონ უტაკამ ექვს წუთში დუბლი მიითვალა და „ოსერის“ საქმეც საბოლოოდ დახურა. გი რუს გუნდმა მხოლოდ ერთის გაქვითვა მოახერხა — მატჩის დასრულებამდე ორი წუთით ადრე, არნო გონსალესმა შარლ იტანჟეს მარჯვედ მოქნეულ მარჯვენით გაუტანა.

**მაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 28 | 15 | 11 | 2 | 39:15 | 56 |
| მარსელი | 28 | 14 | 6 | 8 | 35:26 | 48 |
| ლილი | 28 | 12 | 11 | 5 | 32:20 | 47 |
| მონაკო | 27 | 11 | 12 | 4 | 36:23 | 45 |
| ოსერი | 27 | 12 | 6 | 9 | 37:30 | 42 |
| ტულუზი | 27 | 11 | 8 | 8 | 28:26 | 41 |
| რენი | 28 | 11 | 6 | 11 | 32:31 | 39 |
| ლანსი | 28 | 9 | 11 | 8 | 30:26 | 38 |
| სტ. ეტიენი | 27 | 8 | 13 | 6 | 34:25 | 37 |
| ბორდო | 28 | 7 | 15 | 6 | 29:25 | 36 |
| პსჟ | 28 | 8 | 12 | 8 | 28:31 | 36 |
| სოშო | 27 | 9 | 8 | 10 | 30:27 | 35 |
| ნიცა | 28 | 7 | 11 | 10 | 32:40 | 32 |
| მეცი | 27 | 7 | 11 | 9 | 23:32 | 32 |
| სტრასბური | 27 | 7 | 9 | 11 | 31:34 | 30 |
| ნანტი | 28 | 7 | 9 | 12 | 22:28 | 30 |
| კაენი | 28 | 6 | 11 | 11 | 23:46 | 29 |
| ბასტია | 28 | 6 | 8 | 14 | 21:34 | 26 |
| აიაჩო | 27 | 4 | 13 | 10 | 20:29 | 25 |
| ისტრი | 28 | 3 | 13 | 12 | 16:30 | 22 |

**II დივიზიონი. XXVIII ტური**

ანჟე — ამიენი 3:2; ბრესტი — ლე ავრი 1:0; დიჟონი — კრეტეი 1:0; ლორიანი — ნიორი 3:1; მონპელიე — რეიმსი 0:0; სედანი — გენიონი 3:0; ნანსი — გენგამი 2:1; ლავალი — გრენობლი 3:1

*ტრუა — კლერმონი გადაიდო, შატორუ — ლე მანი დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნანსი | 28 | 15 | 6 | 7 | 40:26 | 51 |
| სედანი | 28 | 13 | 7 | 8 | 29:26 | 46 |
| ტრუა | 27 | 13 | 6 | 8 | 45:37 | 45 |
| ლე მანი | 27 | 13 | 5 | 9 | 30:23 | 44 |
| ლავალი | 28 | 12 | 6 | 10 | 32:30 | 42 |
| ბრესტი | 28 | 10 | 12 | 6 | 27:25 | 42 |
| გენიონი | 28 | 10 | 11 | 7 | 23:22 | 41 |
| მონპელიე | 27 | 11 | 7 | 9 | 27:23 | 40 |
| შატორუ | 27 | 8 | 15 | 4 | 31:25 | 39 |
| გრენობლი | 28 | 10 | 9 | 9 | 35:33 | 39 |
| დიჟონი | 28 | 9 | 12 | 7 | 27:25 | 39 |
| რეიმსი | 28 | 8 | 11 | 9 | 26:33 | 35 |
| გენგამი | 27 | 9 | 6 | 12 | 33:34 | 33 |
| ამიენი | 28 | 8 | 9 | 11 | 28:31 | 33 |
| ლორიანი | 27 | 9 | 5 | 13 | 33:38 | 32 |
| ანჟე | 28 | 7 | 10 | 11 | 28:34 | 31 |
| ლე ავრი | 28 | 8 | 6 | 14 | 18:27 | 30 |
| კლერმონი | 27 | 6 | 11 | 10 | 27:28 | 29 |
| კრეტეი | 27 | 6 | 9 | 12 | 24:28 | 27 |
| ნიორი | 28 | 6 | 7 | 15 | 22:37 | 25 |

**თასის 1/4 ფინალის წილისყრა**

ბულონი — ნანტი ან ოსერი; სედანი — გრენობლი, მონაკო — კლერმონი, ნიმი — სოშო

*მატჩები გაიმართება 19-20 აპრილს*

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

## ჩეხეთი

### გამბრინუს ლიგა. XVIII ტური

*სპარტა — ბლშანი 4:2. ბანიკი — ოპავა, დრნოვიცე — ტეპლიცე, ბოლესლავი — ბუდეიოვიცე და ზლინი — პრჟიბრამი გადაიდო, ბრნო — სლავია, იაბლონეცი — სლოვაცკო და სიგმა — ლიბერეცი დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 18 | 14 | 3 | 1 | 37:12 | 45 |
| სლავია | 17 | 9 | 4 | 4 | 25:14 | 31 |
| ტეპლიცე | 17 | 8 | 7 | 2 | 17:13 | 31 |
| ლიბერეცი | 16 | 8 | 5 | 3 | 25:9 | 29 |
| იაბლონეცი | 16 | 7 | 5 | 4 | 18:14 | 26 |
| სიგმა | 17 | 8 | 2 | 7 | 19:18 | 26 |
| სლოვაცკო | 17 | 5 | 7 | 5 | 14:12 | 22 |
| ბანიკი | 17 | 5 | 7 | 5 | 19:22 | 22 |
| ზლინი | 17 | 5 | 6 | 6 | 17:21 | 21 |
| ბრნო | 17 | 5 | 4 | 8 | 14:24 | 19 |
| ბლშანი | 18 | 5 | 4 | 9 | 15:26 | 19 |
| დრნოვიცე | 16 | 4 | 5 | 7 | 17:20 | 17 |
| ბოლესლავი | 17 | 3 | 7 | 7 | 16:21 | 16 |
| ოპავა | 17 | 3 | 6 | 8 | 17:23 | 15 |
| პრჟიბრამი | 16 | 4 | 3 | 9 | 15:29 | 15 |
| ბუდეიოვიცე | 17 | 2 | 5 | 10 | 14:21 | 11 |

## შვეიცარია

### სუპერლიგა. XX ტური

ციურიხი — ქსამაქსი 0:0; ბაზელი — გრასჰოპერი 4:1. *სენტ გალენი — თუნი, იანგ ბოისი — აარაუ და სერვეტი — შაფჰაუზენი გადაიდო*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 20 | 11 | 5 | 4 | 41:24 | 38 |
| ქსამაქსი | 20 | 9 | 5 | 6 | 28:23 | 32 |
| ციურიხი | 20 | 8 | 5 | 7 | 28:25 | 29 |
| თუნი | 18 | 8 | 4 | 6 | 26:18 | 28 |
| იანგ ბოისი | 19 | 6 | 7 | 6 | 32:30 | 25 |
| აარაუ | 19 | 6 | 5 | 8 | 27:28 | 23 |
| გრასჰოპერი | 20 | 5 | 8 | 7 | 18:31 | 23 |
| სენტ გალენი | 19 | 5 | 7 | 7 | 26:30 | 22 |
| სერვეტი | 18 | 6 | 5 | 7 | 24:28 | 20 |
| შაფჰაუზენი | 19 | 3 | 7 | 9 | 21:34 | 16 |

*„სერვეტს" დაკლებული აქვს 3 ქულა*

### ჩელენჯლიგა. XXI ტური

*ბელინცონა — კონკორდია 0:3. ვოლენი — სიონი, ბადენი — ბულე, ბოლმი — ლუცერნი, კრიენსი — ივერდონი, შო დე ფონი — ლუგანო, ვილი — კიასო, ვინტერთური — ვადუცი და იუვენტუსი — მეირინი გადაიდო*

## საბერძნეთი

### ეროვნული ლიგა. XXI ტური

ოფი — კალითეა 1:1; ხალკიდონა — ერგოტელისი 2:0; ირაკლისი — იონიკოსი 2:0; კერკერა — კალამარია 0:2; ქსანთი — ეგალეო 2:0; აეკ — არისი 1:0; პაოკ — ოლიმპიაკოსი 1:1; პანიონიოსი — პანათინაიკოსი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 21 | 13 | 6 | 2 | 38:12 | 45 |
| პანათინაიკოსი | 21 | 14 | 3 | 4 | 36:12 | 45 |
| აეკ | 21 | 12 | 8 | 1 | 31:16 | 44 |
| ქსანთი | 21 | 11 | 6 | 4 | 34:21 | 39 |
| პაოკ | 21 | 9 | 5 | 7 | 30:27 | 32 |
| ირაკლისი | 21 | 8 | 4 | 9 | 20:21 | 28 |
| ხალკიდონა | 21 | 7 | 7 | 7 | 20:21 | 28 |
| ეგალეო | 21 | 5 | 11 | 5 | 18:18 | 26 |
| პანიონიოსი | 21 | 6 | 7 | 8 | 14:18 | 25 |
| ოფი | 21 | 6 | 6 | 9 | 27:30 | 24 |
| კალითეა | 21 | 5 | 8 | 8 | 30:33 | 23 |
| იონიკოსი | 21 | 4 | 8 | 9 | 14:27 | 20 |
| არისი | 21 | 3 | 10 | 8 | 17:25 | 19 |
| კალამარია | 21 | 4 | 7 | 10 | 18:34 | 19 |
| ერგოტელისი | 21 | 5 | 4 | 12 | 17:35 | 19 |
| კერკერა | 21 | 3 | 6 | 12 | 15:29 | 15 |

## ავსტრია

### მაქსბუნდესლიგა. XXIV ტური

ბრეგენცი — მატერსბურგი 0:0; ტიროლი — გრაცერი 1:1; შტურმი — აუსტრია 1:0. *რაპიდი — ზალცბურგი და ადმირა — პაშინგი გადაიდო*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 21 | 12 | 7 | 2 | 39:16 | 43 |
| აუსტრია | 22 | 12 | 6 | 4 | 42:14 | 42 |
| პაშინგი | 21 | 13 | 2 | 6 | 39:29 | 41 |
| გრაცერი | 23 | 11 | 5 | 7 | 32:22 | 38 |
| ტიროლი | 24 | 8 | 7 | 9 | 37:36 | 31 |
| მატერსბურგი | 23 | 8 | 5 | 10 | 33:39 | 29 |
| შტურმი | 24 | 7 | 5 | 12 | 21:33 | 26 |
| ადმირა | 22 | 7 | 3 | 12 | 26:39 | 24 |
| ზალცბურგი | 23 | 5 | 6 | 12 | 26:35 | 21 |
| ბრეგენცი | 23 | 4 | 6 | 13 | 23:55 | 18 |

### I დივიზიონი. XXII ტური

*ლინცერი — გრატკორნი 2:1. უნტერზიბენბრიუნი — ლეობენი, ვიორგლი — რიდი, კაპფენბერგი — კერნტენი და ალტახი — აუსტრია (ლ) გადაიდო*

## პორტუგალია

### სუპერლიგა. XXIV ტური

**ეშტორილი 3:3 ბოავიშტა**

1:0 დორივალი (16), 1:1 უგო ალმეიდა (26), 2:1 არიეტა (83), 2:2 ზე მანელი (86), 3:2 არიეტა (87), 3:3 როსარიუ (90)

**პენაფიელი 1:2 პორტუ**

1:0 ვესლი (2), 1:1 პ. ემანუელი (80), 1:2 მაკარტი (90)

**ჟილ ვისენტე 1:3 გიმარაეში**

0:1 ედნილსონი (37ს.კ.), 0:2 დიურდიევიჩი (44), 1:2 კარნეირუ (65), 1:3 კლებერი (87)

**რიუ ავე 1:0 მორეირენსე**

1:0 გაუშუ (36)

**ლეირია 5:1 ბეირა მარი**

1:0 ჟოაუ პაულუ (3), 2:0 კრპანი (6), 3:0 ფაბიუ ფელისიუ (26), 3:1 ბეტუ (35), 4:1 კაიკუ ნევეში (71), 5:1 ფაბიუ ფელისიუ (90)

**მარიტიმუ 1:1 აკადემიკა**

0:1 მარსელი (12), 1:1 სილასი (89)

**ბელენენსეში 1:0 სპორტინგი**

1:0 პელე (60)

**ნასიონალი 0:1 ბენფიკა**

0:1 ნუნუ გომეში (48)

**სეტუბალი — ბრაგა**

*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბენფიკა | 24 | 13 | 6 | 5 | 37:23 | 45 |
| პორტუ | 24 | 12 | 9 | 3 | 30:16 | 45 |
| სპორტინგი | 24 | 12 | 6 | 6 | 50:28 | 42 |
| ბოავიშტა | 24 | 11 | 8 | 5 | 32:30 | 41 |
| ბრაგა | 23 | 11 | 7 | 5 | 31:17 | 40 |
| რიუ ავე | 24 | 8 | 12 | 4 | 30:29 | 36 |
| მარიტიმუ | 24 | 8 | 11 | 5 | 26:21 | 35 |
| გიმარაეში | 24 | 9 | 7 | 8 | 25:22 | 34 |
| ბელენენსეში | 24 | 9 | 5 | 10 | 33:28 | 32 |
| სეტუბალი | 23 | 8 | 8 | 7 | 33:28 | 32 |
| ლეირია | 24 | 7 | 11 | 6 | 25:23 | 32 |
| ნასიონალი | 24 | 9 | 4 | 11 | 29:32 | 31 |
| მორეირენსე | 24 | 5 | 9 | 10 | 21:33 | 24 |
| პენაფიელი | 24 | 7 | 3 | 14 | 24:41 | 24 |
| ჟილ ვისენტე | 24 | 6 | 5 | 13 | 24:31 | 23 |
| ეშტორილი | 24 | 6 | 5 | 13 | 29:41 | 23 |
| აკადემიკა | 24 | 5 | 6 | 13 | 20:34 | 21 |
| ბეირა მარი | 24 | 4 | 8 | 12 | 23:45 | 20 |

### II დივიზიონი. XXIV ტური

ავეში — ოლიალენსე 0:0; ოვაირენსე — ვარზიმი 1:2; ნავალი — ფელგეირაში 1:1; ამადორა — შავეში 1:0; ფეირენსე — ალვერკა 2:0; ფერეირა — ესპინიუ 2:1; მაია — ლეიშოეში 1:2; პორტიმონენსე — მარკუ 1:2; სანტა კლარა — გონდომარი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფერეირა | 24 | 14 | 7 | 3 | 42:31 | 49 |
| ამადორა | 24 | 13 | 7 | 4 | 35:19 | 46 |
| ნავალი | 24 | 12 | 7 | 5 | 40:22 | 43 |
| მარკუ | 24 | 11 | 9 | 4 | 33:24 | 42 |
| მაია | 24 | 10 | 7 | 7 | 34:24 | 37 |
| ფეირენსე | 24 | 11 | 4 | 9 | 28:29 | 37 |
| ლეიშოეში | 24 | 10 | 6 | 8 | 30:25 | 36 |
| ავეში | 24 | 10 | 4 | 10 | 27:21 | 34 |
| ოლიალენსე | 24 | 8 | 9 | 7 | 25:23 | 33 |
| პორტიმონენსე | 24 | 8 | 7 | 9 | 33:33 | 31 |
| ოვაირენსე | 24 | 8 | 6 | 10 | 29:35 | 30 |
| სანტა კლარა | 24 | 8 | 4 | 12 | 29:37 | 28 |
| ვარზიმი | 24 | 7 | 6 | 11 | 26:33 | 27 |
| შავეში | 24 | 6 | 8 | 10 | 13:24 | 26 |
| ფელგეირაში | 24 | 5 | 9 | 10 | 22:28 | 24 |
| გონდომარი | 24 | 6 | 6 | 12 | 20:31 | 24 |
| ესპინიუ | 24 | 5 | 8 | 11 | 24:33 | 23 |
| ალვერკა | 24 | 6 | 2 | 16 | 12:30 | 20 |

## რუსეთი

### თასის მეოთხედფინალი საპასუხო მატჩები

**მოსკოვი 1:3 ცსკა (1:3)**

**ტორპედო 1:1 მეტალურგი (ლ) (3:0)**

### სუპერთასის ფინალი

**ლოკომოტივი 1:0 ტერეკი**

1:0 ლოსკოვი (74პ)

## ჰოლანდია

### I დივიზიონი. XXIV ტური

**ვალვაიკი 2:2 უტრეხტი**

1:0 ჰუგენდორპი (15), 1:1 მოლსი (38), 1:2 დუგლასი (41), 2:2 ვერმაელენი (68)

**ვიტესი 2:0 ტილბურგი**

1:0 კნოპერი (29), 2:0 გლუშჩევიჩი (82)

**როზენდალი 1:0 ნაიმეგენი**

1:0 სმოლდერსი (52)

**გრააფსხაპი 0:2 ბრედა**

0:1, 0:2 დიბა (27, 60)

**როდა 1:2 ტვენტე**

1:0 კონე (15), 1:1 შუკოვი (50), 1:2 ნკუფო (58)

**დენ ჰააგი — ჰერენვენი**

**გრონინგენი — პსვ ეინდჰოვენი**

**აიაქსი — ალკმაარი**

**დენ ბოსხი — ფეიენოორდი**

*გადაიდო*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 23 | 18 | 4 | 1 | 61:13 | 58 |
| ალკმაარი | 23 | 16 | 6 | 1 | 53:16 | 54 |
| აიაქსი | 23 | 15 | 5 | 3 | 50:21 | 50 |
| ფეიენოორდი | 23 | 13 | 5 | 5 | 62:27 | 44 |
| ვიტესი | 24 | 12 | 4 | 8 | 41:32 | 40 |
| უტრეხტი | 24 | 10 | 6 | 8 | 28:26 | 36 |
| ტვენტე | 24 | 10 | 5 | 9 | 30:28 | 35 |
| ჰერენვენი | 23 | 10 | 5 | 8 | 38:40 | 35 |
| ვალვაიკი | 24 | 8 | 7 | 9 | 30:33 | 31 |
| როდა | 24 | 8 | 6 | 10 | 41:39 | 30 |
| ბრედა | 24 | 8 | 6 | 10 | 32:47 | 30 |
| გრონინგენი | 23 | 8 | 5 | 10 | 32:38 | 29 |
| დენ ჰააგი | 23 | 7 | 5 | 11 | 29:35 | 26 |
| ტილბურგი | 24 | 7 | 4 | 13 | 26:47 | 25 |
| ნაიმეგენი | 24 | 5 | 8 | 11 | 25:34 | 23 |
| გრააფსხაპი | 24 | 4 | 6 | 14 | 24:54 | 18 |
| როზენდალი | 24 | 5 | 2 | 17 | 24:55 | 17 |
| დენ ბოსხი | 23 | 2 | 3 | 18 | 12:53 | 9 |

### II დივიზიონი. XXIV ტური

კამბური — სპარტა 0:1. *ემენი — სიტარდი, ექსელსიორი — ჰერაკლესი, ზვოლე — ეინდჰოვენი, ჰაარლემი — აპელდორნი, ჰელმონდი — დორდრეხტი, მაასტრიხტი — ვენლო, ვოლენდამი — ტელსტარი და ოსი — ვეენდამი გადაიდო*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 23 | 14 | 7 | 2 | 61:25 | 49 |
| ჰერაკლესი | 21 | 13 | 4 | 4 | 37:20 | 43 |
| ვენლო | 22 | 11 | 7 | 4 | 39:22 | 40 |
| ზვოლე | 23 | 11 | 7 | 5 | 39:27 | 40 |
| ვოლენდამი | 23 | 11 | 5 | 7 | 33:25 | 38 |
| დორდრეხტი | 22 | 10 | 5 | 7 | 33:29 | 35 |
| ჰელმონდი | 23 | 9 | 7 | 7 | 40:33 | 34 |
| ტელსტარი | 22 | 8 | 8 | 6 | 32:26 | 32 |
| ვეენდამი | 22 | 9 | 5 | 8 | 39:36 | 32 |
| კამბური | 24 | 9 | 5 | 10 | 24:30 | 32 |
| აპელდორნი | 23 | 10 | 1 | 12 | 38:40 | 31 |
| ჰაარლემი | 23 | 8 | 5 | 10 | 35:36 | 29 |
| იგლსი | 23 | 7 | 7 | 9 | 29:36 | 28 |
| ექსელსიორი | 23 | 7 | 5 | 11 | 32:35 | 26 |
| ოსი | 23 | 7 | 5 | 11 | 31:48 | 26 |
| სიტარდი | 23 | 5 | 7 | 11 | 33:48 | 22 |
| მაასტრიხტი | 23 | 5 | 6 | 12 | 19:33 | 21 |
| ეინდჰოვენი | 23 | 4 | 7 | 12 | 31:49 | 19 |
| ემენი | 23 | 4 | 5 | 14 | 25:52 | 17 |

## თურქეთი

### სუპერლიგა. XXIII ტური

ისთანბული — სამსუნი 1:1; გენჩლერი — ანკარაგიუჯიუ 4:0; საქარია — ანკარა 1:1; გალათასარაი — ბეშიქთაში 1:0; დენიზლი — დიარბაქირი 0:0; ქაისერი — რიზე 2:1; სებათი — კონია 3:5; გაზიანთეფი — ტრაბზონი 3:2; მალათია — ფენერბაჰჩე 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე | 23 | 19 | 2 | 2 | 60:10 | 59 |
| გალათასარაი | 23 | 17 | 3 | 3 | 43:14 | 54 |
| ტრაბზონი | 23 | 16 | 4 | 3 | 46:16 | 52 |
| ბეშიქთაში | 22 | 12 | 5 | 5 | 46:27 | 41 |
| დენიზლი | 23 | 10 | 5 | 8 | 31:28 | 35 |
| რიზე | 23 | 9 | 7 | 7 | 26:20 | 34 |
| კონია | 23 | 7 | 10 | 6 | 45:45 | 31 |
| გაზიანთეფი | 23 | 9 | 4 | 10 | 34:36 | 31 |
| მალათია | 23 | 9 | 4 | 10 | 29:33 | 31 |
| ანკარა | 23 | 8 | 6 | 9 | 31:31 | 30 |
| გენჩლერი | 22 | 8 | 5 | 9 | 31:29 | 29 |
| სამსუნი | 23 | 7 | 5 | 11 | 29:42 | 26 |
| დიარბაქირი | 23 | 7 | 5 | 11 | 22:36 | 26 |
| ანკარაგიუჯიუ | 22 | 6 | 6 | 10 | 19:33 | 24 |
| საქარია | 23 | 5 | 4 | 14 | 27:49 | 19 |
| ისთანბული | 22 | 3 | 9 | 10 | 20:34 | 18 |
| ქაისერი | 23 | 5 | 3 | 15 | 29:54 | 18 |
| სებათი | 23 | 1 | 7 | 15 | 24:55 | 10 |

# კოლინა? არის კოლინა!

## მაურინიუს ოცნება აუხდა

**არის,** ასრულდა „ჩელსის" პორტუგალიელი თავკაცის, ჟოზე მაურინიუს ოცნება: სამშაბათს, ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მერვედფინალური შეხვედრის, „ჩელსი" — „ბარსელონას" მსაჯად უეფამ თავხოტორა იტალიელი, პიერლუიჯი კოლინა დანიშნა.

მოკლედ შეგახსენებთ, თუ რაოდენ უკმაყოფილო ბრძანდებოდა მაურინიუ ორი კვირის წინ, „კამპ ნოუზე" შვედი ანდერს ფრისკის გაწეული შრომით. ის თამაში „ბარსამ" 2:1 მოიგო, მაურინიუმ კი მასპინძელთა მწვრთნელს, ფრანკ რაიკარდს შესვენებისას ფრისკთან გასახდელში შესვლა და საეჭვო ჩურჩული დასდო ბრალად.

პიერლუიჯი კოლინა კი მოგეხსენებათ, ის კაცია, ვინაც 1999 წლის ჩემპიონთა ლიგისა და 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალები იმსაჯა.

სამშაბათსვე, „სან სიროზე" „მილანისა" და „მანჩესტერ იუნაიტედის" შეხვედრას გაუძღვება გერმანელი ჰერბერტ ფანდელი, ხოლო ლიონში, მასპინძელთა და „ვერდერის" მატჩს რუსი ვალენტინ ივანოვი განსჯის.

**პაპუნა ძიდია**



# ისევ ის ბიჭი ვარ...

## მარადონას ოპერაცია გაუკეთეს

**გუშინ,** ლეგენდარულ დიეგო არმანდო მარადონას ოპერაცია გაუკეთეს, რომელმაც წარმატებით ჩაიარა — ზედმეტი წონისგან (120კგ) გატანჯულ დიეგოს, მხსნელად კოლუმბიური კარტახენას ექიმები მოევლინენ და თუ სამომავლოდ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, მარადონა მალე ჩვეულ, ნორმალურ წონას, 63 კილოგრამს აღიდგენს.

„დიეგოს ოპერაცია წარმატებით გავუკეთეთ. ახლა პაციენტი თავს კარგად გრძნობს და დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ გართულებებს არც შემდგომში უნდა ველოდოთ" — განუცხადა მარადონას ქირურგმა კარლოს ჩაუმ ჟურნალისტებს.

მოკლედ, მარადონას სარეაბილიტაციო კურსი ახლა ასეთ ხასიათს მიიღებს: მან ორი კვირის განმავლობაში ოდენ სპეციალური, წვენების დიეტით უნდა ისარგებლოს, რისი შემწეობითაც წონა დღიურად 200 გრამით შემცირდება.

„ქირურგიული ჩარევა ჭარბწონიანობის წინააღმდეგ ყველაზე ეფექტური საშუალება გახლავთ. მსოფლიოში ამ პრაქტიკას უამრავი ადამიანი მიმართავს და დიეგო მარადონაც პირველი და უკანასკნელი არ არის, ვინც ლაპაროსკოპიელი ოპერაცია გაიკეთა" — დასძენს სინიორ ჩაუ.

ჩაუს ასისტენტი კი ფრანსისკო ოლგინი გახლდათ, კაცი, რომელმაც ცოტა ხნის წინ პირველად სწორედ მან ურჩია დიეგოს არანორმალური წონის ქირურგის დანით მოცილება — წინააღმდეგ შემთხვევაში მოკვდებიო.

**ლადო ხომერიკი**



## საქართველოს ჩემპიონატი

# ექვსიანების მსხვერპლი

## სოხუმმა თელავს ბურჯი გამოაცალა



დინამოელი ლაშა გამყრელიძის შეჩერებას ირაკლი მაისურაძე ცდილობს

ირაკლი პერტაია

საქართველოს ჩემპიონატს ოვერტაიმები შემოეჩვია, რაც თავისთავად ინტერესს ჰმატებს ჩვენს უფერულ პირველობას, თუმც ისიც სათქმელია, რომ დამატებითი დრო აუტსაიდერთა მატჩებს დასჩემდა. გასულ ხუთშაბათს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა ექსტრახუთწუთეულში „მაკაბისთან" წააგო, გუშინ კი ერთხელაც მოუწია ოვერტაიმში ბრძოლა, ოღონდ ამჯერად თელავურ „ბურჯს" შანსი არ დაუტოვა.

სსუ ჩემპიონატის ღრმა აუტსაიდერია და გუშინდლამდე მხოლოდ ერთი გამარჯვება მოეპოვებინა, ისიც თელავის „ბურჯთან", კახელების გუნდი კი დებიუტანტის კვალობაზე ურიგოდ სულაც არ გამოიყურება. სეზონის განმავლობაში განხორციელებულმა რამდენიმე ტრანსფერმა ცოტა ფერზე მოიყვანა თელაველები. ჰოდა, გუშინდელი შეხვედრა ორივე გუნდისთვის ნაღდად საბრძოლო იყო, რაკი წარმატების მისაღწევად უკეთეს მეტოქეს ვერც ერთი მათგანი ჰერ ინატრებდა.

თამაში ისეთი თანაბარი გამოვიდა, რომ ვერც ერთი გუნდი მეტოქეს 5 ქულაზე მეტით ვერ მოსწყდა. ანგარიში ძირითადად თანაბარი იყო და ყველამ კარგად უწყოდა, რომ გამარჯვებული ბოლო წუთებს უნდა გამოევლინა. ვერ გამოავლინა, რაკი თავიდანვე აღვნიშნეთ, რომ ამ მატჩში ყველაფერი ოვერტაიმმა გადაწყვიტა.

არადა, ბოლო წუთებზე თელაველებს ისეთი ხელსაყრელი ვითარება შეექმნათ, თამაშის წაგება უფრო რთული იყო, ვიდრე მოგება. „ბურჯი" ძირითადი დროის დასრულებამდე წუთით ადრე ორ ქულას იგებდა და ჯერ მანუჩარ ნინუამ გააფუჭა საჯარიმო სროლები, მერე ანდრე ქუჯაიძემ მხოლოდ ერთი ჩააგდო და კახელებს სამქულიანი ლიდერობა შერჩათ.

სოხუმელებმა ბოლო წამები უდიდესი მონდომებით ჩაატარეს. ლაშა ონიკაშვილმა, დავით ზანგურაშვილმა და მიხეილ ჩიტაშვილმა სტუდენტებს ლამის ძირითად დროში მოაგებინეს. სოხუმელებმა ორქულიანით მინიმუმამდე შეამცირეს სხვაობა და სირენამდე 16 წამით ადრე თელაველმა ნინუამ, რომელიც სულ ახლახან სსუ-ში თამაშობდა, ორიდან ერთი საჯარიმო ჩააგდო. ჩიტაშვილმა თვალის დახამხამებაში გადაიტანა ბურთი მეტოქის ნახევარზე და გამთანაბრებელი ბურთიც თავის ანგარიშზე ჩაიწერა — 76:76 ძირითადი დროის დასრულებამდე 8 წამით ადრე.

თელაველთა პირით ხაზიდან შემოტანილი ბურთი ზანგურაშვილმა ჩაჭრა, ონიკაშვილს მიაწოდა და ამ უკანასკნელს მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინა, სსუ-ს დამატებითი ხუთწუთეულში ოფლის ღვრა აღარ მოუწევდა. ოვერტაიმი კი სსუ-ს უპირატესობით წარიმართა, რაკი თელაველთაგან ვინც კი აქტიურობდა, თითქმის ყველამ პერსონალურების ლიმიტის გამო მოედანი დატოვა. სოხუმელებმა გაიმარჯვეს და ის მანძილი შეამცირეს, რაც მათ და დანარჩენ გუნდებს შორის წარმოიქმნა ამ ბოლო ხანებში.

გუშინ ვერის ბაღში კიდევ ორი შეხვედრა უნდა გამართულიყო, მაგრამ „მაკაბისა" და „ავიამშენის" გაერთიანებული გუნდის კიევურ ტურნირზე გამგზავრების გამო ამათი შეხვედრა გადაიდო. „დინამო" — თსუ კი საკმაოდ დაძაბული გამოვიდა, ოღონდ ინტრიგა ბოლომდე ვერ გაჰყვა და დინამოელთა 11-ქულიანი უპირატესობით დამთავრდა.

თამაში კი საპირისპიროდ დაიწყო, ანუ სტუდენტების აქტიურობითა და დინამოელთა უგერგილობით. ნიკა ვეფხვაძის, მიხეილ ბერიშვილისა და მიშა ფანჩულიძის ჩუბინობის წყალობით თსუ 11:1 დაწინაურდა. თამაში ჯერ რიგიანად არც გახურებულიყო, რომ ფანჩულიძემ ისეთი ბურთი ჩატენა, მისგან მინიჭებული ენერგია კარგა ხანს გაჰყვათ აჟიტირებულ თსუელებს. მიშამ სწრაფი გარღვევა ეფექტური გდებით დააგვირგვინა, აი, ისეთით, მისი შემსრულებელი ნბაშიც რომ ტაშს დაიმსახურებდა.

ეფექტური თამაში კარგია, მაგრამ მას სტაბილურობა სჯობს და ამაში თსუ მოიკოჭლებდა. სანამ სტუდენტებს ჩავარდნა დაეწყებოდათ, სათოფეზე არ იკარებდნენ მეტოქეს. „დინამომ" თამაშიდან პირველი ბურთის ჩაგდებას 7 წუთი მოანდომა, მანამდე კი საჯარიმოებით მოაგროვა 3 ქულა.

ერთხანს თსუ 14:2-საც იგებდა, მაგრამ მერე ლექსო ლაფანაშვილმა სამიზნე გაისწორა და დინამოელებმა საწყისი მეოთხედი 8:16 წააგეს. მეორე ათწუთეულიდან კი ამოქმედნენ ვიცე-ჩემპიონები, რაც დაუფასდათ კიდეც.

ზურაბ ტომარაძის სამწყსო ზონაში ჩაიკეტა, რისი გარღვევაც სტუდენტებმა ვერაფრით ვერ მოახერხეს ტაიმის დასრულებამდე. ირაკლი მაისურაძეს თამადობით, ვერც ერთმა თსუ-ელმა ზუსტი სამქულიანი ვერ გადაავლო დინამოელთა დაცვით ზღუდეს და კონტრშეტევებით დაცხრილული სტუდენტობა 30:31 მარცხით გავიდა დიდ შესვენებაზე.

მერე თამაში გათანაბრდა, ხან ერთი გუნდი მოიგდებდა მცირე უპირატესობას, ხან — მეორე. დინამო აგრძელებდა დაცვაში ჩაუქრობას და შეტევაშიც არ უჭირდა, თსუ კი ძირითადად ახალგაზრდების დახმარებით გაიოდა ფონს.

გადამწყვეტი მეოთხედი თანაბრობით დაიწყო, თუმც ისე დასრულდა, ალბათ ვერავინ ვერ წარმოიდგენდა. ლიდერი მორიგეობით იცვლებოდა და თამაშის დასრულებამდე 6 წუთით ადრე ანგარიში კვლავ გათანაბრდა — 66:66.

ამდენი ექვსიანები ზოგიერთ გულშემატკივარს ცუდად ენიშნა, ვილაცას ცუდად წაუვა საქმეო. ვილაცას კი არა, თსუ-ს წაუვიდა, რომელმაც დარჩენილ დროში ქულის მითვლაც ვერ მოახერხა. ხსენებული საყაიმო ანგარიშის შემდეგ ლაფანაშვილისა და ჩხატარაშვილის სამქულიანებით „დინამომ" თამაშის რიტმიდან გამომდინარე სოლიდური უპირატესობა მოიპოვა და ამ დროს სტუდენტებმა რატომღაც ჩათვალეს, რომ მხოლოდ შორი სროლებით შეიძლებოდა მდგომარეობის გამოსწორება.

ვინ მოთვლის, რამდენი სამიანი გააცუდა თსუ-მ ბოლო 6 წუთში. სტუდენტებს შორიდან სროლა არ მისდიოდა და რომ არც ეშვებოდნენ... „დინამო" კი კომფორტულად გრძნობდა თავს და გამარჯვებამდეც არხეინად მივიდა.

6 მარტი. ვერის ბაღი

**სსუ 89:85 ბურჯი**

ძირითადი დრო 76:76

21:25 22:17 11:14 22:20 13:9

სსუ: პატარაია (2), ჩიტაშვილი (28), ლ. ნოზაძე, მეტრეველი (13), ქვილითაია (4); ზანგურაშვილი (20), გოლეთიანი (9), ონიკაშვილი (8), მ. ხოშტარია (5), იმედაშვილი

ბურჯი: ნინუა (20), აკოლაშვილი (10), ცერცვაძე (23), ქისტაური (12), ნუცუბიძე (3); ქუჯაიძე (8), პაპუნაშვილი (5), შერმადინი (2), დოლმაზაშვილი (2), ჭუაძე, ამირანაშვილი (1)

მსაჯები: მაკა კუპატაძე, მალხაზ ანდღულაძე

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

**დინამო 77:66 თსუ**

8:16 23:14 25:26 21:10

დინამო: გამყრელიძე (17), ბ. ბერიშვილი (10), ლაფანაშვილი (24), ჩხატარაშვილი (14), კილაძე (8); სუხიშვილი (2), კვიმსაძე (2), ბექაური

თსუ: ვეფხვაძე (6), მაისურაძე (3), ფანჩულიძე (15), კოკოლიშვილი (10), მ. ბერიშვილი (10); ბერაია (12), მახვაშვილი (5), გაფრინდაშვილი (5), ხიზანიშვილი

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე

კომისარი: მურმან ქურიძე

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

3 მარტი

**მინესოტა 103:97 მილუოკი**

მინესოტა: ჰადსონი (13), ჰასელი (13), სპრიუელი (10), გარნეტი (25 ქულა, 10 მოხსნა), ჯონსონი; შჩერბიაკი (28), ჰოიბერგი (11), კარტერი (8 ქულა, 13 პასი), ტომასი (4), მადსენი (2)

მილუოკი: უილიამსი (21), რედი (24), მეისონი (18), სმიტი (12), გაძურიჩი (16 ქულა, 12 მოხსნა); კუკოჩი (4), ფაჩულია (14 წუთი, 2 ქულა, 2 მოხსნა), სტრიკლენდი

**ვაშინგტონი 90:103 გოლდენ სტ.**

ვაშინგტონი: არენასი (23), ჰიუზი (27), ჯემისონი (9), ბრაუნი (9), ჰეივუდი (10 ქულა, 11 მოხსნა); ბლეიკი (6), პილერი (3), პროფიტი (2), რუფინი (1)

გოლდენ სტეიტი: ფიშერი (16), რიჩარდსონი (34), დანლივი (15 ქულა, 11 მოხსნა), მერფი (20 ქულა, 14 მოხსნა), ფოილი (4); დევისი (14), ცქიტიშვილი (2 წუთი, 1 მოხსნა), ბიედრინსი, ჩაბარკაპა, ჩინი

**ორლანდო 111:89 ნიუ იორკი**

ორლანდო: ჰილი (29), ჰოვარდი (20 ქულა, 15 მოხსნა)

ნიუ იორკი: მარბერი (22)

**ფილადელფია 98:89 კლივლენდი**

ფილადელფია: აივერსონი (31), ვებერი (24 ქულა, 12 მოხსნა)

კლივლენდი: ჯეიმსი (34 ქულა, 7 მოხსნა, 7 პასი, 4 ჩაჭრა), ილგაუსკასი (22 ქულა, 11 მოხსნა)

**ბოსტონი 104:84 შარლოტი**

ბოსტონი: უოლკერი (18), დევისი (18)

შარლოტი: ჰარტი (13), ოკაფორი (12 ქულა, 10 მოხსნა)

**მემფისი 86:75 ტორონტო**

მემფისი: ბეტიე (33), რაიტი (20 ქულა, 15 მოხსნა)

ტორონტო: როუზი (19), ალსტონი (16)

**მაიამი 104:83 საკრამენტო**

მაიამი: ვეიდი (22 ქულა, 7 მოხსნა, 7 პასი), ონილი (18)

საკრამენტო: ბიბი (22), მობლი (17)

**ნიუ ორლეანი 92:85 იუტა**

ნიუ ორლეანი: ბრაუნი (14), სმიტი (14)

იუტა: კირილენკო (21), ბელი (19), ჰარპრინგი (18)

**სან ანტონიო 102:99 ჩიკაგო**

სან ანტონიო: დანკანი (31 ქულა, 13 მოხსნა), პარკერი (25), ჯინობილი (19)

ჩიკაგო: ჰარინგტონი (20), გორდონი (20)

**პორტლენდი 97:106 ინდიანა**

პორტლენდი: აბდურ-რაჰიმი (27), მაილზი (26)

ინდიანა: ჯეკსონი (24), მილერი (24), ფ. ჯონსი (23)

**ლეიკერსი 108:103 დალასი**

ლეიკერსი: ბრაიანტი (40 ქულა, 8 მოხსნა, 6 პასი), ბატლერი (20), ოდომი (18 ქულა, 11 მოხსნა)

დალასი: ნოვიცკი (23 ქულა, 13 მოხსნა), სტეკჰაუზი (19), დანიელსი (18)

**სიეტლი 95:87 დეტროიტი**

სიეტლი: ლუისი (18), ჯეიმსი (16), ალენი (15), რიდნორი (15)

დეტროიტი: ჰამილტონი (15)

4 მარტი

**მილუოკი 95:87 ჩიკაგო**

მილუოკი: უილიამსი (16 ქულა, 11 პასი), რედი (16), მეისონი (20), სმიტი (10 ქულა, 16 მოხსნა), გაძურიჩი (9); კუკოჩი (8), ფიზერი (8), ფაჩულია (28 წუთი, 6 ქულა, 7 მოხსნა, 3 პასი, 2 ჩაჭრა), სტრიკლენდი (2)

ჩიკაგო: დუჰონი (4), ჰაინრიხი (24), ნოჩიონი (6), დევისი (10), კარი (8); გორდონი (20), ჩანდლერი (10 ქულა, 12 მოხსნა), ჰარინგტონი (5), პიატკოვსკი, გრიფინი

**ფინიქსი 129:116 პორტლენდი**

ფინიქსი: მარიონი (26), სტუდემაიერი (20), ჯეკსონი (18 ქულა, 10 პასი), ჯონსონი (18), ბარბოსა (16)

პორტლენდი: სტუდემაიერი (30), აბდურ-რაჰიმი (25 ქულა, 13 მოხსნა), ტელფაიერი (18), მაილზი (16)

**კლიპერსი 89:105 დენვერი**

კლიპერსი: საიმონსი (18), ბრენდი (17 ქულა, 10 მოხსნა)

დენვერი: ბოიკინსი (22), ენტონი (21)

**ნიუ ჯერსი 81:105 ორლანდო**

ნიუ ჯერსი: კარტერი (20)

ორლანდო: ფრენსისი (26), ნელსონი (22), კატო (16)

**შარლოტი 84:86 ვაშინგტონი**

შარლოტი: ჰარტი (20), კაპონო (19), ბრეზეცი (16)

ვაშინგტონი: ჰეივუდი (22), არენასი (21), ჰიუზი (19), ბრაუნი (16 ქულა, 12 მოხსნა)

**ატლანტა 97:98 ფილადელფია**

ატლანტა: ჰარინგტონი (19)

ფილადელფია: აივერსონი (33), ვებერი (18)

### აღმოსავლეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ბოსტონი | 31 | 28 | 52,5 |
| ფილადელფია | 29 | 30 | 49,2 |
| ნიუ ჯერსი | 26 | 34 | 43,3 |
| ტორონტო | 24 | 34 | 41,4 |
| ნიუ იორკი | 24 | 34 | 41,4 |
| **ცენტრალური** | | | |
| დეტროიტი | 36 | 21 | 63,2 |
| კლივლენდი | 31 | 26 | 54,4 |
| ჩიკაგო | 29 | 27 | 51,8 |
| ინდიანა | 29 | 29 | 50,0 |
| მილუოკი | 24 | 33 | 42,1 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| მაიამი | 44 | 16 | 73,3 |
| ვაშინგტონი | 33 | 25 | 56,9 |
| ორლანდო | 31 | 27 | 53,4 |
| შარლოტი | 12 | 45 | 21,1 |
| ატლანტა | 10 | 48 | 17,2 |

### დასავლეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| სან ანტონიო | 45 | 13 | 77,6 |
| დალასი | 38 | 19 | 66,7 |
| ჰიუსტონი | 33 | 25 | 56,9 |
| მემფისი | 33 | 25 | 56,9 |
| ნიუ ორლეანი | 13 | 45 | 22,4 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| სიეტლი | 41 | 16 | 71,9 |
| დენვერი | 30 | 29 | 50,8 |
| მინესოტა | 29 | 30 | 49,2 |
| პორტლენდი | 22 | 35 | 38,6 |
| იუტა | 20 | 38 | 34,5 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ფინიქსი | 45 | 14 | 76,3 |
| საკრამენტო | 36 | 24 | 60,0 |
| ლეიკერსი | 29 | 28 | 50,9 |
| კლიპერსი | 26 | 33 | 44,1 |
| გოლდენ სტეიტი | 18 | 40 | 31,0 |



მილუოკელმა ზაზა ფაჩულიამ ჩიკაგოელ კირკ ჰაინრიხს ბურთი მოპარა

# დარჩიას ფილო სოფია

## ბერძენ რომაელები ბულგარეთში ივარჯიშებენ

**ბერძენ-რომაელებმა ცნობილი საჭიდაო სკანდალის გამო ბაკურიანული შეკრება თავისუფლებზე ერთი კვირით გვიან დაიწყეს და შესაბამისად, გვიანვე დაასრულეს. ახლა ბეგი დარჩიას შეგირდები ფალავანთა კლუბში აგრძელებენ ვარჯიშებს და 2005 წლის პირველ საერთაშორისო ტურნირისთვის ემზადებიან, რაც ევროპის ჩემპიონატისთვის თადარიგსაც გულისხმობს. ნაკრების საევროპო სამზადისსა და შანსებზე დარჩიას გუშინ შევეხმიანეთ**



— ბაკურიანის შეკრებაზე ძირითადი ყურადღება საერთო ფიზიკურ მომზადებას დავუთმეთ. თბილისში ჩამოსულები კი ტექნიკაზე გადავერთეთ. ამ ეტაპზე ბიჭების საერთო ფორმა დამაკმაყოფილებელია.

**— ტრავმა ხომ არავის აწუხებს?**

— საბედნიეროდ, ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა. მხოლოდ მანუჩარ კვირკველიას აწუხებს ხელის ტრამვა, თუმცა საგანგაშო არაფერია.

**— სოფიის ტურნირზე რამდენი მოჭიდავე მიგყავთ?**

— საქართველოს ჩემპიონები და მუხრან ვახტანგაძე.

**— ევროპის ჩემპიონატზე წამსვლელი შემადგენლობა უკვე გარკვეულია?**

— ადრევე გაცხადდა, რომ ევროპას საქართველოს ჩემპიონატში თავგამოჩენილნი იჭიდავებდნენ. ამ შვიდეულში შესულთ ველარავინ შეცვლის.

**— მომავალ ტურნირზე ალბათ მთავარი საშეჯიბრო გამოცდილების მიღება იქნება...**

— რა თქმა უნდა, შედეგი ამ ეტაპზე ჩვენთვის მთავარი არაა. ბულგარეთში ახალი წესებით პირველად ვიჭიდავებთ და გვინდა, ამ შეჯიბრს უფრო მოსამზადებელი ხასიათი ჰქონდეს.

**— თქვენი აზრით, ახალი წესები შედეგიანობას როგორ დაეტყობა?**

— ჯერ ამაზე ლაპარაკი ძალიან ძნელია. ფილა ყველანაირად ცდილობს, ჭიდაობა მაქსიმალურად სანახაობრივი გახადოს და უკვე შეცვლილ წესებს კიდევ ცვლის. ამ დღეებში შევიტყვეთ, რომ ფერის შემთხვევაში ჯვარედინი ჩავლება აღარ იქნება და „ფერის მომგები" მოჭიდავე ორივე ხელით ბეჭებს ქვემოდან შევა. სიმართლე გითხრათ, უახლესი წესი გაცილებით სამართლიანად მეჩვენება. საქართველოს ჩემპიონატზე ყველამ ნახა, რომ ჯვარედინის შემკვრელი [illegible] ტესწილად წაგებული [illegible]

**— საევროპო შემადგენლობის მიღმა დარჩენილი მოჭიდავეებისთვის ნაკრებში დასაბრუნებელი გზა როგორი იქნება?**

— შემოდგომაზე მსოფლიოს ჩემპიონატზე წასაყვანი შემადგენლობა ტრადიციული კარტოზიას ტურნირის შემდეგ გახდება ცნობილი.

**— დაბოლოს, ისევ ბულგარეთს დავუბრუნდეთ. ტურნირის შემდეგ სოფიაში სავარჯიშოდ დარჩენასაც ხომ არ აპირებთ?**

— ამჟამად არა, მაგრამ შეიძლება ბულგარული შეკრება ჩვენ ევროპის ჩემპიონატის წინ დავიწყოთ. ამ საკითხზე მეწმარის სოფიაში ჩასვლისთანავე დავიწყებთ და საბოლოო პასუხიც იქიდან დაბრუნებულს გვეცოდინება. ერთი, რაც შემიძლია დანამდვილებით გითხრათ, ისაა, რომ 16 მარტიდან მეორე ბორჯომული შეკრების დავიწყებთ.

**ოთარ მაღლაკელიძე**





# მარცხი პირველი

## ქამარს მარგალიტის ბიჭი გადაეღობა

**პროფესიულ** რინგზე ყველაზე წარმატებულად მოკრივე ქართველმა კობა გოგოლაძემ ამ უქმეებზე პირველი მარცხი იწვნია. საქვეყნოდ ცნობილ ტელეარხ „შოუთაიმის" მიერ ორგანიზებულ კრივის საღამოს მთავარ ბრძოლაში ქართველი „კობრა" აქამდე მასავით დაუმარცხებლად მოსულ ყირგიზ „მარგალიტის ბიჭს", ალმაზბეკ რაიმკულოვს შეხვდა და, ჩვენდა სამწუხაროდ, სტატისტიკა ვერაფრით გააუმჯობესა.

მართალია, ორივე მოკრივე წაუგებელი იყო, მაგრამ სტატისტიკა ყირგიზის მცირე უპირატესობაზე მაინც თავიდანვე მეტყველებდა. ალმაზბეკს კობაზე ორით მეტი მოწინააღმდეგე (19) დაემარცხებინა და WBC-ის რეიტინგში ათეულში დამკვიდრებაც მოესწრო, ჩვენებური კი ბოლო ბრძოლამდე იმავე ასოციაციის რეიტინგში ოცდამეერთეზე იყო.

შაბათის მისისიპური შეხლის მომხილველი ამერიკული ვებ-გვერდის ინფორმაციით, ათრაუნდიანი ბრძოლა მეექვსე რაუნდის ბოლოს დასრულდა. მეტოქის ორჯერ დამნოკდაუნებელმა რაიმკულოვმა საქმე ძლიერი მარჯვენა ჰუკით მოამთავრა — რეფერმა ტომი კიმონსმა ბრძოლა შეწყვიტა.

მიმომხილველები შეხვედრას ორ თანაბარ ნაწილად ყოფენ. პირველ-მესამე რაუნდებში გოგოლაძე აქტიურობდა და მეტოქეს მარცხენა თვალზე კვალიც დააჩნია. მეორე რაუნდში სულაც ისეთი მარჯვენა ჰუკი მოსცხო, ბევრს გაუკვირდა, რომ ყირგიზი ისევ ფეხზე იდგა.

რაიმკულოვი მეოთხე რაუნდიდან გამოცოცხლდა და მალევე პირველი ნოკდაუნიც მოინაგრა. მეორედ კობამ მეხუთე რაუნდის დასაწყისშივე ჩაიმუხლა, მეექვსეში კი ბრძოლაც დასრულდა. გოგოლაძემ ქამრისკენ მიმავალი გზა გაიმრუდა, ხოლო მისი მომგები სანუკვარ ტიტულს მნიშვნელოვნად დაუახლოვდა.

„გადაწყვეტილი მქონდა, ვადაზე ადრე მომეგო — თქვა გამარჯვებულმა, — მართალია, მიზანს მივაღწიე, მაგრამ აშკარად გამიჭირდა. „კობრა" ძალიან ტექნიკური მოკრივეა. ამაში ერთხელაც დავრწმუნდი, თუმც მე მასზე ახალგაზრდა ვარ, მეტი ძალა შემრჩა და გამარჯვებაც ამით მოვიპოვე".

კობას მენეჯერ ჯიმ ვილიამსის თქმით, მარცხის მიზეზი მარცხენა ხელის ტრავმა ყოფილა. აქაოდა, ეს ტრავმა უკვე კარგა ხანია, აწუხებს და დღეს შეტევები რომ შეანელა და ბოლოს საერთოდ შეწყვიტა, ამის ბრალი იყოო. მწვრთნელი ოჯი სიმეკა კი მაინც იმედიანადაა — ერთი შეხვედრა არაფერს წყვეტს, ცოტაც მოვიცადოთ და ყველაფერი კარგად იქნებაო.

**ოთარ მაღლაკელიძე**



## ლინარესის სუპერტურნირი

ესპანეთი. 22 თებერვალი - 10 მარტი

# კასპაროვის მატარებელმა ყველას გაასწრო

**IX ტური**

რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) — გარი კასპაროვი (რუსეთი) 0:1
პეტერ ლეკო (უნგრეთი) — მაიკლ ადამსი (ინგლისი) 0,5:0,5
ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) — ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) 0,5:0,5
*ფრანცისკო ვალეხო (ესპანეთი) — დაისვენა*

**X ტური**

ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) — პეტერე ლეკო (უნგრეთი) 0,5:0,5
გარი კასპაროვი (რუსეთი) — ფრანცისკო ვალეხო (ესპანეთი) 1:0
მაიკლ ადამსი (ინგლისი) — რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი)
*ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) — დაისვენა*




აუტსაიდერმა ვალეხომ ლიდერი კასპაროვი საგმაოდ ანერვიულა

**საოცრება** უნდა მოხდეს, რომ რუსმა გარი კასპაროვმა ლინარესი ვერ მოიგოს. პლანეტის მე-13 ჩემპიონი უშუალო კონკურენტებს მთელი 2 ქულით უსწრებს და საეჭვოა, დარჩენილ ტურებში მდევრებმა ეს დანაკლისი შეავსონ.

წინა ტურში მძიმე ბრძოლა გადაიტანა კასპაროვმა. მან ფიდეს ჩემპიონ რუსტამ კასიმჯანოვს მოუგო. მეტოქეებმა სლავური დაცვა გაითამაშეს. კასპაროვმა თავიდან ხარისხი შესწირა კასიმჯანოვს, თუმც ამით არ წაუგია და ტაქტიკურად უკეთეს პოზიციაში დარჩა. მადაზე მოსულმა რუსმა უფრო გააძლიერა იერიშები, ენდშპილში ორი პაიკი მოიგო და გამარჯვებაც მოიპოვა.

სუპერტურნირის უსუსურ მეტოქე ვალეხოსთან კასპაროვის გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა, თუმც გამოცდილმა გროსმაისტერმა არ იჩქარა და მასპინძელთან ფრთხილად დაიწყო თამაში. ფიდეს რეიტინგის ლიდერი ჯერ საკუთარი ფლანგის გაძლიერებას შეუდგა, მე-16 სვლაზე კი როქი გააკეთა და c5-ე უჯრაზე პაიკით პატარა დარტყმა მიაყენა მეტოქეს. კასპაროვმა ლაზიერის ფლანგიდან განაგრძო იერიში, წინა ფრონტზე მსუბუქი ფიგურები გაუცვალა ესპანელს, უკან კი ეტლები სიმძიმე დაქოქა და a ხაზზე პაიკით გაჭრა. ვალეხომ კარგად დაიცვა თავი, თუმც 37-ე სვლაზე პაიკი დაკარგა. ხარისხით დაწინაურებული კასპაროვი უფრო გააქტიურდა, ესპანელს კიდევ ერთი პაიკი აჰყალა და b ხაზზე თეთრი პაიკის გაყვანას შეუდგა. ესპანელმა ლაზიერით სცადა თამაშის გადარჩენა, მაგრამ კასპაროვის დედოფალმაც მოიქნია ფეხი და 54-ე სვლაზე მორიგი გამარჯვება გამოჭედა.

კვლავ ვერ მოიგო ინდოელმა ვიშვანათან ანანდმა და ლიდერ კასპაროვს უფრო ჩამორჩა.

ანანდმა ლეკოსთან პარტია როგორც ხშირად სჩვევია, თამამად დაიწყო, მხედრები კუსთან ერთად ცენტრში გამოყარა და შავების ეტაკა. უნგრელმა ინდოელის შეტევებს იერიშითვე უპასუხა, მტერს გეგმის განხორციელების საშუალება არ მისცა და 24-ე სვლაზე ყაიმი გამოაცხადებინა.

ტოტალიზატორებმა კასპაროვს მოგებაზე 1,1-მდე ჩამოუყარეს კუში, ანანდს კი 10-მდე გაუზარდეს.

**ლაშა ბებეშკორი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | გარი კასპაროვი (რუსეთი) | 6,5 ქულა/9 თამაში |
| 2. | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 4,5/8 |
| 3. | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 4,5/8 |
| 4. | პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 4,5/9 |
| 5. | მაიკლ ადამსი (ინგლისი) | 4/9 |
| 6. | რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) | 3,5/9 |
| 7. | ფრანცისკო ვალეხო (ესპანეთი) | 2,5/8 |

# ჩრდილოეთი — სამხრეთი
## ამხანაგური ომი

4 მარტი. თვიქნემი

**ჩრდილოეთი 19:54 სამხრეთი**

ჩრდილოეთი 3 ლელო: ტიტერლი, სანდერსონი, ბერგამასკო;
2 გარდასახვა: ჰემფრისი, სვინი
სამხრეთი 8 ლელო: უმაგა, ლიმა, ლათამი (2), ბურგერი, სიტითი (2), ფიური;
7 გარდასახვა: მერთენსი (6), ლათამი

**ჩრდილოეთი:** პატერსონი (ედინბურგი, შოტლანდია), ბერგამასკო (სტეიდ ფრენსის, იტალია), სმიტი (ლესტერი, ინგლისი), სვინი (ნიუპორტ გვენთი, უელსი), კოენი (ნორთჰემპთონი, ინგლისი); ჰემფრისი (ულსტერი, ირლანდია), კუპერი (ნიუპორტ გვენთი, უელსი); ს. ტეილორი (ედინბურგი, შოტლანდია), სანდერსონი (ვორჩესტერი, ინგლისი), დალალიო (ვასფსი, ინგლისი. კაპ.), ოკალაჰანი (მუნსტერი, ირლანდია), ბორტოლამი (ნარბონი, იტალია), ჰორსმენი (ვორჩესტერი, ინგლისი), ტიტერლი (სეილ შარქსი, ინგლისი), იაპი (კარდიფი, უელსი)
**სათადარიგოები:** იბანიესი (სარასენსი, საფრანგეთი), სოლე (კლერმონ ოვერნი, საფრანგეთი), ბრუზე (სტეიდ ფრენსისი, საფრანგეთი), თომასი (ოსპრისი, უელსი), ფილიპსი (ლანელი, უელსი), მ. ტეილორი (ლანელი, უელსი), ტეტი (ნიუკასლ ფალკონსი, ინგლისი)
**სამხრეთი:** ლათამი (რედსი, ავსტრალია), ლიმა (სამოა), ფიური (ქეთსი, სამხრეთ აფრიკა), უმაგა (ჰურიკეინსი, ახ. ზელანდია), ბობო (პარმა, ფიჯი), მერთენსი (ქრუზეიდერსი, ახ. ზელანდია), გრეგანი (ბრამბისი, ავსტრალია), კეფუ (კუბოტა სპიარსი, ავსტრალია), ვუ (ვარატასი, ავსტრალია), ბურგერი (სტორმერსი, სამხრეთ აფრიკა), მეტფილდი (ბულზი, სამხრეთ აფრიკა), მასჩინი (ულსტერი), ვისაგი (სარასენსი, სამხრეთ აფრიკა), სმიტი (შარქსი, სამხრეთ აფრიკა), ჰუფტი (ჰაილენდერსი, ახ. ზელანდია)
**სათადარიგოები:** ტაუკაფა (ლესტერი, ტონგა), გინაზუ (მენდოსა, არგენტინა), სიტითი (ნიუკასლ ფალკონსი, სამოა), პალეპუა (როტერჰემი, სამოა), რაულაინი (სარასენსი, ფიჯი), დელპორტი (ვორჩესტერი, სამხრეთ აფრიკა), დრამი (ნორთჰემპტონი, ახ. ზელანდია)



თამაშს ამხანაგური ეთქმოდა, ბრძოლა კი მაინც არასახუმარო გამოდგა

**შარშან** სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას საშინელი და ყოვლისმომსპველი ცუნამი რომ დაატყდა თავს, დაზარალებულთა დასახმარებლად მსოფლიო იმთავითვე დაირაზმა და არც სპორტსმენები ჩამორჩნენ კეთილ საქმეს. რონალდინიომ და შევჩენკომ „სამაკაცოებიც" კი შეკრიბეს და იბურთავეს, მეჩოგნეებმაც ბლომად იჩინეს ჩოგანი. ერთი სიტყვით, ყველა თავისას ეცადა და ასეთ სამადლო საქმეს ისეთი კაცურკაცები როგორი არ მოჰკიდებდნენ ხელს, როგორებიც მორაგბენი არიან.

ინგლისურ თვიქნემს ზოგიერთი რაგბის დედაქალაქსაც კი უწოდებს და მსოფლიოს უდიდესი მობურთალნიც იქ შეიკრიბნენ სარკენად და ფულის მოსაქუჩებლად.

ერთი კი განვმარტოთ — ფეხბურთში თუ ამგვარი მატჩები სულ სიცილ-ხარხარისა და ღლაბუცის ფონზე მიმდინარეობს, რაგბი სხვაა. აქ მაინც ბრძოლა უწევს ყველას, სხვა გზა არაა და თუ მაინც გაიკრიჭა ვინმე, შეიძლება, ისეთი მოხვდეს სახეში, რომ კბილები მოედანზე დატოვოს. მით უმეტეს, როცა ჩრდილოეთი სამხრეთს უპირისპირდება.

ჩრდილოელები 6 ერის წარმომადგენლებით იყვნენ დაკომპლექტებულნი, სამხრეთელებში კი ძირითადად ავსტრალიელები, სამხრეთაფრიკელები და ახალზელანდიელები სჭარბობდნენ, თუმცა არც სამოელები ყოფილან ცოტანი და ფიჯელებიც გამოერივნენ. ერთი წარმომადგენელი არგენტინამაც მიავლინა.

ასე იყო თუ ისე, 6 კონტინენტიდან ამ მატჩში ყველა მონაწილეობდა ჩრდილოეთ ამერიკისა და ანტარქტიდის გარდა. ანტარქტიდის ამბავი გასაგებია, მოსახლეობის მხრივ პრობლემები აქვს, ჩრდილოეთამერიკელები კი რომ არ მიიწვიეს, ამაზე თვალი დავხუჭოთ. თუმცა, ორგანიზატორები ერთ ამბავში მაინც „ჩაიჭრნენ" — ევრაზიის მხოლოდ ევროპული ნაწილი ათამაშეს.

გასაგებია, რაგბი ჩრდილოეთში მაინც ევროპისაა, მაგრამ საქმე აზიის დახმარებას ეხებოდა და 33-კაცში ვინმე აზიელიც გამოერეოდა [illegible] არ იქნებოდა.

მატჩის დაწვრილებითი განხილვით თავს არ შეგაწყენთ. ერთს ვიტყვით, რომ კარგი რამ გახლდათ და რადგანაც ზედმეტი უხეშობისგან ყველამ თავი შეიკავა, კომბინაციური და სწრაფი რაგბის ნამდვილი ზეიმი ვიხილეთ. უპირატესობას თავიდანვე სამხრეთელები დაეუფლნენ და საბოლოოდ მოიგეს კიდეც დიდი ანგარიშით, 54:19.

სამხრეთელთაგან ორ-ორი ლელო ავსტრალიელმა კრის ლათამმა და სამოელმა სიტიიმ გაიტანეს. თითოჯერ ზელანდიელმა ტანა უმაგამ, სამოელმა ბრაიან ლიმამ და სამხრეთაფრიკელებმა, ჟაკ ფიურიმ და შალკ ბურგენმა იხეირეს. სულ 8 ლელო გამოვიდა და აქედან 7 გარდასახეს კიდეც. ექვსჯერ ეს სასარგებლო საქმე ენდრიუ მერთენსმა იკისრა, რომელიც ზელანდიელი გახლავთ, ერთხელაც ზემოთ ხსენებულმა ლათამმა გარდასახა.

ჩრდილოელებმა 3 ლელო გაიტანეს. ინგლისელებმა, ენდი ტიტერლმა და პეტ სანდერსონმა, თითოჯერ შეაღწიეს სამხრეთელთა ჩათვლის მოედანში, ერთხელაც იგივე იტალიელმა მირკო ბერგამასკომ მოახერხა. 2 გარდასახვა ირლანდიელი დეიდ ჰემფრისისა და უელსელი კრი სვინის ანგარიშზეა.

**ლადო ფულუკიძე**



# ნაცნობი ხარებისა და სხვათა ამბავი



ლარქემის ერთით მეტმა გარდასახვამ ხარებს წააგებინა

**შაბათს** სამხრეთელმა ვარსკვლავებმა ჩრდილოელებთან საქველმოქმედოდ რომ იბურთავეს, ამას ჩვენი გაზეთის ფურცლებზე წაიკითხავთ, მაგრამ სარაგბო შაბათი ამით არ ამოწურულა. ევროპელები თუ იქითა კვირამდე ისვენებენ და 6 ერის მატჩებს არ მართავენ, სამხრეთ ნახევარსფეროში სხვა ამბებია. აქ ზე-თორმეტი გახურებულა და მიუხედავად იმისა, რომ პარასკევ-შაბათის ტური მხოლოდ მეორე გახლდათ, ფავორიტები ნელ-ნელა გამოიკვეთნენ.

პარასკევს ჩატარებულ მატჩებზე გაკვრით შაბათის „სარბიელში" გამცნეთ, ახლა კი ცოტა უფრო დაწვრილებით გიამბობთ.

ოკლენდში იქაური „ბლუზი" ქუინსლენდის „რედსს" მასპინძლობდა და მიუხედავად იმისა, რომ პირველი 40 წუთი „წითლები" თავდაცვის გარდა არაფერს აკეთებდნენ, მაინც შეძლეს და ტაიმი 3:0 მოიგეს. მატჩის მეორე ნახევარში თამაში უფრო გაიხსნა და გუნდებმა ლელოების დადებაც დაიწყეს. პირველი ლელო სტუმრებმა გაიტანეს. ვენდელ სეილორმა შეტევის ლასკვნით ფაზაში ტუიტუპუც გააბითურა, მულიაინასაც გასცდა და მეათეს ჩამოიტოვა. შედეგად სრულიად ალოგიკური ანგარიში აენთო ტაბლოზე „ლურჯები", რომლებიც მთელი თამაშის განმავლობაში უტევდნენ, 10 ქულით ჩამორჩნენ სტუმრებს. კიდევ უფრო მიაწვნენ მასპინძლები და როგორც იქნა, შედეგს მიაღწიეს. მაკალისტერმა ორჯერ ზუსტად დაარტყა საჯარიმო და სხვაობა შეამცირა. ცოტა ხანში სამართალმაც იზეიმა, კარლოს სპენსერმა ლელო გაიტანა და მასპინძლები წინ გავიდნენ. სპენსერის ლელო მაკალისტერმა ვერ გარდასახა. სამაგიეროდ, მეორე ლელო თავად გაიტანა, რეალიზაციაც გაუკეთა და თამაშის ბედიც გადაწყვიტა. დარჩენილ დროში სტუმრებმა ერთი ლელოს გატანა შეძლეს, მაგრამ დამარცხებას ვერ გადაურჩნენ.

მეორე თამაში უფრო საინტერესო გამოდგა. შარშან გაჩემპიონებული „ბრამბისი" ავსტრალიაში პრეტორიულ „ბულზს" მასპინძლობდა. სამხრეთაფრიკელი „ხარები" ჩვენთვის კარგად ნაცნობი გუნდია. თბილის-რუსთავში ხომ მოიბურთავეს და ახლა ჩვენც თავისთან გვეპატიჟებიან. ამიტომაც საქართველოში ამ კლუბს ალბათ მეტი გულშემატკივარი ჰყავს. მათთვის სამწუხაროდ, „ხარებმა" ეს მატჩიც წააგეს, თუმცა დიდი ბრძოლა გაიჩალეს და საბოლოოდ მეტოქესთან მხოლოდ ორქულიანი სხვაობით დამარცხდნენ.

„ბულზმა" ამ მატჩში ანგარიშიც გახსნა და მრისხანე მეტოქისთვის არც არაფერი დაუთმია. ჟაკ კრონხემ, ბრაიან ჰაბანამ და ფრენსის ფან შუვენბერგმა მასპინძლები სამჯერ დაალელოვეს და აქედან ჰუგარდმა და ციმბამ მხოლოდ 2 გარდასახეს. წაგებაც ამის ბრალია.

„ბრამბისმაც" 3 ლელო გაიტანა, მაგრამ, მეტოქისგან განსხვავებით, სამივე გარდასახა.

დანარჩენი მატჩები შაბათს გაიმართა და პირველ შეხვედრაში რაგბისთვის იშვიათი შედეგი, ფრე დაფიქსირდა. „ჰაილენდერსმა" მომხვდურ „სტორმერს" თითო ლელო და გარდასახვა გაუტანა. ამას 3 ზუსტი საჯარიმო მიაყოლა და 16 ქულა მოაგროვა. სტუმრებმაც ამდენივე დააგროვეს, ოღონდ სხვანაირად. „სტორმერსმა" 2 ლელო გაიტანა, მაგრამ ერთიც ვერ გარდასახა და საჯარიმოც მასპინძლებზე ერთით ნაკლები დაარტყა ზუსტად.

ზე-თორმეტის ოთხგზის გამარჯვებული, ზელანდიური „ქრუზეიდერსი" შაბათს თვისტომ „ჩიფსს" მასპინძლობდა. პირველი მატჩის მსგავსად, „ბელადებმა" ვერც ამჯერად ივაჟკაცეს და ზედიზედ მეორე თამაში დათმეს. „ქრუზეიდერსმა" მეტოქეს შანსიც არ დაუტოვა და 50:18 მოუგო. მაუგერმა, ბრუმოლმა, გირმა, ჰამილტონმა, კარტერმა, რალფმა და კოპლანდმა შვიდჯერ შეაღწიეს სტუმართა ჩათვლის მოედანში. კარტერმა ექვსჯერ გარდასახა ზუსტად და ერთხელაც საჯარიმო გაიტანა. „ბელადთა" მხრიდან ტაგიქაბალუმ და ბეითსმა იჟოჩალეს. ამათ ლელოებს ჰილმა ერთი გარდასახვა და 2 საჯარიმო მიამატა.

მეორე ტურის შემდეგ ცხრილს სათავეში „ვარატასი" ჩაუდგა და ეს გასვლაზე, „შარქსთან" მოგებული თამაშის შემდეგ მოახერხა. ლოუთ თუქირიმ ორჯერ და როჯერსმა და ბერნმა თითოჯერ გაიტანეს ლელოები. როჯერსმა ორჯერ გარდასახა და 4 საჯარიმო გაიტანა. „ზვიგენებმა" რასელის ლელოთი და ჯეიმსის ! გარდასახვით და 2 საჯარიმოთი უპასუხეს.

„ვარატასს" ახლა 2 თამაშის შემდეგ 10 ქულა აქვს. გამარჯვებაზე აქ 4 ქულა იწერება, ხოლო თუ თამაშში ოთხ ლელოზე მეტი გაიტანე და ისე მოიგე, ან 7 ქულაზე ნაკლები სხვაობით წააგე, 1 ბონუს ქულა გერგება. ამიტომაა, რომ „ბულზს" მაგალითად, 2 წაგების შემდეგ 2 ქულა აქვს და არა 0.

ბოლო მატჩი „ქეთსმა" და „ჰურიკეინსმა" ითამაშეს და ყველაზე შედეგიანადაც. 3 ლელო მასპინძლებმა გაიტანეს, 5 სტუმრებმა, შეხვედრა კი 32:45 დასრულდა.

**ლადო ფულუკიძე**

4 მარტი. ოკლენდი

**ბლუზი 18:15 რედსი**

ბლუზი — 2 ლელო: სპენსერი, მაკალისტერი;
გარდასახვა: მაკალისტერი; 2 საჯარიმო: მაკალისტერი.
რედსი — 2 ლელო: სეილორი, პინანი;
გარდასახვა: ფლეტლი; საჯარიმო: ფლეტლი.

4 მარტი. კანბერა

**ბრამბისი 21:19 ბულზი**

ბრამბისი — 3 ლელო: ჩიშოლმი, რეთბოუნი, ფავა;
3 გარდასახვა: ლარქემი.
ბულზი — 3 ლელო: ჟ. კრონხე, ჰაბანა, ფან შუვენბერგი;
2 გარდასახვა: ჰუგაარდი, ციმბა

5 მარტი. ინვერსიგალი

**ჰაილენდერსი 16:16 სტორმერსი**

ჰაილენდერსი — ლელო: ნიუბი;
გარდასახვა: ბლერი; 3 საჯარიმო: ბლერი.
სტორმერსი — 2 ლელო: დევილიერი, ჩავანგა;
2 საჯარიმო: დუტუ

5 მარტი. ქრაისთჩარჩი

**ქრუზეიდერსი 50:18 ჩიფსი**

ქრუზეიდერსი — 7 ლელო: მაუგერი, ბრუმოლი, გირი, ჰამილტონი, კარტერი, რალფი, კოპლანდი;
6 გარდასახვა: კარტერი; საჯარიმო: კარტერი
ჩიფსი — 2 ლელო: ტაგიქაბალუ, ბეიტსი;
გარდასახვა: ჰილი; 2 საჯარიმო: ჰილი

5 მარტი. დურბანი

**შარქსი 13:36 ვარატასი**

შარქსი — ლელო: რასელი;
გარდასახვა: ჯეიმსი; 2 საჯარიმო: ჯეიმსი
ვარატასი — 4 ლელო: თუქირი (2), როჯერსი, ბერნი;
2 გარდასახვა: როჯერსი; 4 საჯარიმო: როჯერსი

5 მარტი. იოჰანესბურგი

**ქეთსი 32:45 ჰურიკეინსი**

ქეთსი — 3 ლელო: პრეტორიუსი, ვილემსე, ფან ჰეერდენი;
გარდასახვა: პრეტორიუსი; საჯარიმო: პრეტორიუსი.
ჰურიკეინსი — 5 ლელო: ნონუ (2), გოპერთი, სოოიალო, ფლატი;
5 გარდასახვა: გოპერთი; საჯარიმო: გოპერთი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვარატასი | 2 | 2 | 0 | 0 | 61:20 | 10 |
| ჰურიკეინსი | 2 | 2 | 0 | 0 | 69:42 | 9 |
| ბრამბისი | 2 | 2 | 0 | 0 | 53:40 | 9 |
| ბლუზი | 2 | 2 | 0 | 0 | 48:29 | 8 |
| სტორმერსი | 2 | 1 | 1 | 0 | 42:28 | 6 |
| ქრუზეიდერსი | 2 | 1 | 0 | 1 | 71:50 | 5 |
| ქეთსი | 2 | 1 | 0 | 1 | 55:62 | 5 |
| ბულზი | 2 | 0 | 0 | 2 | 36:44 | 2 |
| ჰაილენდერსი | 2 | 0 | 1 | 1 | 30:46 | 2 |
| რედსი | 2 | 0 | 0 | 2 | 25:42 | 1 |
| შარქსი | 2 | 0 | 0 | 2 | 25:62 | 0 |
| ჩიფსი | 2 | 0 | 0 | 2 | 25:75 | 0 |

# საქართველოს ბულგარული ეცხარა

დევისის თასი
**II ევროაფრიკული ჯგუფი**
**სოფია. ბულგარეთი. 4-6 მარტი**
**I რაუნდი**

**ბულგარეთი 4:1 საქართველო**

ლადო ჩიხლაძე (საქართველო) — ივაილო ტრავკოვი (ბულგარეთი) 7:6(5), 3:6, 7:6(3), 6:3
ტოდორ ენევი (ბულგარეთი) — ირაკლი უშანგიშვილი (საქართველო) 6:2, 6:3, 6:2
იორდან კანევი — ილია კუშევი (ბულგარეთი) — ლადო ჩიხლაძე — ირაკლი უშანგიშვილი (საქართველო) 6:4, 3:6, 6:4, 6:4
ტოდორ ენევი (ბულგარეთი) — დავით კვერნაძე (საქართველო) 6:2, 6:7(4), 7:6(0)


REUTERS

ბევრი იწვალეს ესპანელებმა რაფაელ ნადალმა და ალბერტ კოსტამ, მაგრამ სლოვაკებს ვერაფერი მოუხერხეს

**პარასკევს** კარგად დაწყებული საქმე ქართველმა ჩოგბურთელებმა შაბათ-კვირას ცუდად დაასრულეს. დევისის თასის მეორე ევრო-აფრიკულ ჯგუფში პირველ წრეში გელა ელერდაშვილის ნაკრები ბულგარეთს სოფიაში დაუპირისპირდა და ხუთმატჩიან სერიაში დამარცხდა.

ირაკლი ლაბაძის არყოფნაში გუნდის პირველ ნომრად არჩეული ლადო ჩიხლაძის პარასკევის ვაჟკაცობაზე უკვე მოგახსენეთ და ისიც გაცნობეთ, რომ პირველი დღის შემდეგ საერთო ანგარიში 1:1 იყო. მაშინვე გაირკვა, რომ პირველი ჯგუფის საგზურისთვის მებრძოლის ბედი ბოლო დღემდე არ გაირკვეოდა.

შაბათს კორტზე წყვილები გავიდნენ. ელერდაშვილმა ჩიხლაძე-უშანგიშვილი შეაამხანაგა, მასპინძელთა კაპიტამა კი, სახიფათო ანგარიშის მიუხედავად, მესამე-მეოთხე ნომრები დააყენა. მათაც ნდობა გაუმართლეს და ოთხსეტიან დაძაბულ ბრძოლაში ბულგარელთა და... აწინაურეს. საერთო გამარჯვების მომტანი ქულა კი გუნდის პირველმა ნომერმა ტოდორ ენევმა მიითვალა. მან ჩიხლაძეს ოთხ სეტში აჯობა და ბოლო შეხვედრა ფორმალობად აქცია. ორი დღის წინანდელი მოულოდნელი მარცხით შერცხვენილმა ივაილო ტრავკოვმა ქომაგების გული ჩვენებურთა მესამე ნომრის, დავით კვერნაძის ძლევით მოიგო.

ბულგარული მარცხის შემდეგ საქართველოს ნაკრების ერთადერთი საფიქრალი ჯგუფში ადგილის შენარჩუნებაა. ზაფხულის დასაწყისში საამისოდ განას დაუპირისპირდება. აფრიკელები პირველ ეტაპზე ფინეთთან განადგურდნენ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

დევისის თასი
**ოქროს ჯგუფი**
I რაუნდი
სლოვაკეთი 4:1 ესპანეთი
შვეიცარია 2:3 ჰოლანდია
ავსტრალია 5:0 ავსტრია
არგენტინა 5:0 ჩეხეთი
რუსეთი 4:1 ჩილე
საფრანგეთი 3:2 შვედეთი
რუმინეთი 3:2 ბელარუსი
აშშ 1:2 ხორვატია
(გვიან დამთავრდა)



FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

**ფორმულა 1. 56-ე მსოფლიოს ჩემპიონატი** პირველი ეტაპი

# დიდი ფორმულის ტექსიახლეები



**გუშინ** „სამეფო რბოლების“ მორიგი სეზონი იმდენი ტექსიახლით დაიწყო, უკვე პირველივე ეტაპზე ნათელი გახდა, რომ სარეგლამენტო ცვლილებები საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის ხელმძღვანელთა ვარაუდს გაამართლებს და მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ჩემპიონატის შედეგებზე.

სიახლეების მიზანი კი, როგორც არაერთხელ გვითქვამს, ფედერაციის თავკაცობის შეშფოთება გახდა. ბოლო დროს, განსაკუთრებით შარშან, ბოლიდების სისწრაფეები ისე გაიზარდა, ასე თუ გაგრძელდა, ტრასაზე ვინმე აუცილებლად დაიღუპებაო. ამიტომაც პრეზიდენტ მაქს მოსლის აქტიური მცდელობით შეიტანეს ცვლილებები, რომლებიც მიმართულია მძღოლთა უსაფრთხოების გასაზრდელად, ანუ მანქანების სისწრაფე შენელდება და თან საჯინიბოების შენახვა გაიაფდება.

არც ისაა საიდუმლო, რომ ეს ყველაფერი „ფერარის“ ტოტალური უპირატესობის ნიველირებისკენაა მიმართული. გაიაფება უმთავრესად ძრავა-საბურავებს ეხება. პოულ-რბოლისას პილოტებმა მხოლოდ „ფეხსაცმლის“ ერთი კომპლექტი უნდა იმყოფინონ, მოტორმაც ორ სარბოლო უიქენდს უნდა გაუძლოს, ყოველივე ამის გამო კი უმთავრესი ყურადღება მიექცა საიმედოობის გაძლიერებას, რასაც სიჩქარის შემცირება მოჰყვა.

ერთი სიტყვით, გუშინდელი სადებიუტო ეტაპის შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ მოსლიმ და კომპანიამ მიზანს მიაღწია — სიჩქარეც შენელდა და მძიმე ავარიაც არ მომხდარა. გუშინ წრეზე უსწრაფესის, ფერნანდო ალონსოს „რენომ“ 5,3-კილომეტრიან ტრეკს რეკორდსმენ მიხაელ შუმახერზე წამნახევრით გვიან, შესაბამისად თითქმის ხუთი კილომეტრით ნაკლები სიჩქარით შემოუქროლა.

ახალი საკვალიფიკაციო რეგლამენტი ფიზიკელასთვის ყოფილა „დაწერილი“. შაბათს პირველ საპოულე ცდისას ის-ის იყო, ფავორიტთა გამოსვლამდე საუკეთესო დრო აჩვენა, რომ ორიოდ წუთში ისე გაავდრდა, „ფიზიკოს“ შემდეგ ტრეკზე გასული „წითელი ბარონი“ საუკეთესო შედეგზე კი არა, წრის უავარიოდ დასრულებაზე ფიქრობდა, ამიტომაც 24 წამი წააგო და მეორე ცდის მიუხედავად, ნორმალურ სასტარტო პოზიციას გამოემშვიდობა. ამიტომ მეორე ცდაზე, რომელიც ახალი წესით რბოლამდე ოთხი საათით ადრე ტარდება, არც უცდია შებრძოლება, პირველი წრის მერე ბოქსში შეუხვია, რითაც საბურავებიც დაზოგა და ძრავაც. შედეგად, დაისაჯა და რბოლის დაწყება ბოლოსწინა ადგილიდან მოუხდა, თუმც იმხელა ჩაფლავების შემდეგ რა მნიშვნელობა ჰქონდა, სტარტზე მე-18 იდგებოდა, თუ ერთი-ორი ადგილით უკან.

ერთი სიტყვით, ორი ცდის ჯამში პირველი სასტარტო პოზიცია „ფიზიკომ“ დაიკავა, დასაწყისიდანვე უპრობლემოდ ჩაუდგა ქარავანს სათავეში, მთელი რბოლა უმაღლეს-უშეცდომო დონეზე წარმართა და დამსახურებული გამარჯვება იზეიმა. ჯანკარლომ მხოლოდ ორიოდ წრით, ბოქსში საწვავისთვის შევლისას დათმო მეწინავეობა და 142-რბოლიან კარიერაში მეორე დიდი პრიზი მოიგო.

და მიხაელი... „წითელმა ბარონმა“ დასაწყისში უიმედო ჩამორჩენა ისე შეამცირა, რომ 300-კილომეტრიანი დისტანციის ორი მესამედის მერე უკვე მეშვიდე იყო, მაგრამ ფინიშამდე 15 წრით ადრე შეცდა, თანამემამულე ნიკ ჰაიდფელდი მოსახვევში არ შეუშვა, ისიც ტრასას გადასცდა და უკან დაბრუნებული შვიდგზის ჩემპიონს შეეჯახა. შედეგად, ორივე გერმანელი ბრძოლას გამოეთიშა.

**გია ახალაძე**

**რბოლის შედეგები**

**ავსტრალიის დიდი პრიზი**
**6 მარტი. მელბურნი**
დისტანცია 57 წრე — 302,271კმ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | (1) | ფიზიკელა (რენო) | 1:24.17,7 ს (215,2 კმ/სთ) |
| 2. | (11) | ბარიკელო (ფერარი) | სეკუნდი 5,5 |
| 3. | (13) | ალონსო (რენო) | 6,7 |
| 4. | (5) | კულტარდი (რედ ბული) | 10,5 |
| 5. | (3)* | უებერი (უილიამსი) | 16,9 |
| 6. | (9) | მონტოია (მაკლარენი) | 35,6 |
| 7. | (6) | კლიენი (რედ ბული) | 39,0 |
| 8. | (10) | რაიკონენი (მაკლარენი) | 39,6 |
| 9. | (2) | ტრული (ტოიოტა) | 1:03,4 |
| 10. | (18) | მასა (ზაუბერი) | 1:04,4 |
| 11. | (8) | ბატონი (B.A.R) | 1 წრით |
| 12. | (16) | რ.შუმახერი (ტოიოტა) | 1 წრით |
| 13. | (4) | ვილნევი (ზაუბერი) | 1 წრით |
| 14. | (20) | სატო (B.A.R) | 2 წრით |
| 15. | (12) | კარტიკეიანი (ჯორდანი) | 2 წრით |
| 16. | (14) | მონტეირო (ჯორდანი) | 2 წრით |
| 17. | (16) | ფრიზახერი (მინარდი) | 4 წრით |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | | |
|---|---|---|
| (19) | მ.შუმახერი (ფერარი) | გაიარა 42 წრე |
| (7) | ჰაიდფელდი (უილიამსი) | 41 |
| (17) | ალბერსი (მინარდი) | 16 |

ფრჩხილებში საკვალიფიკაციო ადგილი

**პოული**
ფიზიკელა — 3.01,460

**საუკეთესო წრე**
ალონსო — 1.25,683 (228,8 კმ/სთ)


მიხაელ შუმახერმა სასტარტო რბოლა ავარიით დაასრულა

REUTERS


ჯანკარლო ფიზიკელამ ცხრაწლიან კარიერაში მეორე დიდი პრიზი მოიგო

# პრინცები თვიქნემში






REUTERS ფოტოები

ინგლისელი უფლისწულები ხშირი სტუმრები არიან სარაგბო თამაშზე. უილიამი (შავ ქუდში) და ჰარი ამ შაბათსაც თვიქნემში იყვნენ, სადაც საქველმოქმედო ბურთაობა შედგა. ქველმოქმედების სამიზნე ახლა ერთია: ცუნამისგან ტანჯული აზია, სადაც გაერო თავის კვების პროგრამას ახორციელებს.

უფლისწულთა თანმხლები გოგოშკების ვინაობა კი ვერ დადგინდა.

# მემუსიკენი შესვენებისას

ინდოეთი და პაკისტანი თუ უახლოვდებიან ერთმანეთს და პოლიტიკაში თუ რიგდებიან, ამაში კრიკეტის დიდი დამსახურებაა. ჩრდილოინდურ ქალაქ დჰარამსალაში ამ ორთა გუნდებს შორის სამდღიანი კრიკეტი გახურებულა და დიდი შესვენებისას ხალხს ხალხურად მემუსიკენი ატკბობენ.



REUTERS ფოტოები

# კოვბოი ფორმულაზე



REUTERS ფოტოები

ეს წუთია დამთავრდა ავსტრალიის დიდი პრიზის გათამაშება მეფორმულეთა შორის. მელბურნის ალბერტ პარკის წრეებზე „რენოს" ჯანკარლო ფიზიკელამ იმარჯვა. ამის დამსწრე კი კოვბოიდ ჩაცმული მსახიობი ნიკოლას კეიჯი და მისი ცოლი ალის კიმიც ყოფილან.



REUTERS ფოტოები

# არნის სახელობისა

არნი ადრე სწორედაც რომ ასეთი იყო, ახლა კი კალიფორნიის გუბერნატორია. ფლორიდაში „არნოლდ ფიტნეს უიქენდი" ჩატარდა და დამჯილდოებლადაც ცხადია, თავად შვარცნეგერი იყო. გამარჯვებულს კი ოქსტერ ჯექსონი ჰქვია.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კახა ინასარიძე, ილია ნაჭიბაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, გიორგი ღარიბაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეშვილი, ლადო ხიძირიძე, კაკო ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge